ნუნუ ებანოიძე

თოვლით პოეტის მუზე

თბილისი
2018

წიგნი ეძღვნება
გალაკტიონის
შემოქმედების დიდ
მოამაგეს, პროფესორ
ინესა მერაბიშვილს

რედაქტორი
ეთერ გელაშვილი

ილუსტრაციების ავტორი
ცისანა (ციცი) გაღდავაძე

ტექსტზე იმუშავა
ნინო რეხვიაშვილმა

დიზაინერი:
დალი ჯვარშეიშვილი

კორექტორი:
გვანცა შანავა

წიგნი დაკაგადონდა
„ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობაში“

დიდი პიროვნებების ნაკლისა და ღირსების ანალიზისთვის შეუფერებელია ჩვეულებრივ ადამიანთა განსჯის მოტივაციის კრიტერიუმების გამოყენება.

ედგარ კარი

ერთ-ერთი მითის მიხედვით, მაღალი პარნასის მთების მახლობლად წმინდა შენაკადი მოედინებოდა, რომელიც იყო კიდეც პოეზიის მფარველი მუზების წყარო. ვინ ბედნიერიც ამ შენაკადის წყალს შესვამდა, მუზები პოეტური შთაგონებით ასაჩუქრებდნენო.

ეს მითი მშვენივრად მიესადაგება პოეტების მეფეს. თითქოს მას პოეზიის მფარველი მუზების ის წმინდა წყალი შეესვას, რომელმაც პოეტურ შთაგონებას აზიარა.

დაე, მაისის ხატავდეს ხელი
ფლორას, გრაციებს, მუზას და ეროსს,
რომელი იყო ჰოეტი წრფელი,
რომ სიყვარულზე არ დაემღეროს?

გალაკტიონ ტაბიძე იმ ხელოვანთა თანატოლია, რომლებიც ღვთითბოძებული ამოუწურავი ენერგიის წყალობით ბედნიერებას მხოლოდ საკუთარ სამყაროში პოვებენ. „ლექსის ვირტუოზს“ აქვს სიტყვების ინსტრუმენტირების უნიკალური უნარი, რაც ლექსს ჰარმონიულ მეტყველებას ანიჭებს. ამიტომაც იწოდება ის „უტყუარი სმენის პოეტად“:

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

მომავალმა თაობებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ გენიალური პოეტის ცხოვრების შესახებ. გალაკტიონის შემოქმედებაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მისი პიროვნება კი ნაკლებად არის ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. წინამდებარე წიგნში წარმოდგენილი ეპიზოდები გალაკტიონის ცხოვრებიდან პოეტის ხასიათს სხვადასხვა კუთხით გააშუქებს.

გალაკტიონმა ცხოვრების მეტად საინტერესო და რთული გზა განვლო. პოეტი იგონებს თავის ბავშვობას: „საღამო ხანია. წაბლის ხისგან ნაგები და ყავრით გადახურული სახლის გვერდით პატარა ფართობია. უყვარს ერთ პატარა ბავშვს ეს ფართობი, განსაკუთრებით საღამო ხანს, როდესაც მზე უკვე ჩასულია... ბავშვი საათობით თავგამოდებით გარბის და გამორბის, დროგამოშვებით ახტება და დახტება, ხან რაღაც სიმღერას მღერის, ხან შეჩერდება, ყურს უგდებს სოფლის სიმშვიდეს. შემდეგ ისევ განაგრძობს სირბილს, შეძახილს. თვითონაც არ იცის, რად ემართება ასე, რას ნიშნავს ეს განუწყვეტელი სირბილი, ეს გულის აჩქარებული ძგერა... თქვენ იტყვით, ეს ყველაფერი ბავშვობაა, სხვა არაფერი... მაგრამ, ამავე დროს, სოფლის ყველა ბავშვს სძინავს, ან გარს შემოსხდომიან კერას და მოხუცთა მონაყოლს ან ძველ ზღაპრებს ისმენენ. ეს ბავშვი კი ისევ ისარივით გარბის და გამორბის. ამ დროს მთვარეც ამოდის. ბავშვი შეხედავს ამომავალ მთვარეს და უეცრად მეზობელი გოგონას ხმამაღალი ძახილი მოესმის: გა..., გა... გალოკტიანე გამოშტრილი!

„გამოშტრილი“ – გამოშტერებული, არანორმალური, სულელი. გოგონასგან მსგავსი შეძახილი კი ნიშნავდა, რომ ის დიდი ხანია თვალყურს ადევნებდა ბავშვის უჩვეულო გარბენა–გამორბენას, სიმღერებს...

Notre dame

გოგონა ამ დაძახების შემდეგ სწრაფად გარბის თავისი სახლისკენ, რათა მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავი დაიცვას, მოთამაშე ბავშვი კი იმ წუთშივე წყვეტს თამაშს და სახლისკენ მიეშურება.

– ნუთუ, მე ვიყავი ეს ბავშვი?"

* * *

გალაკტიონის და ტიციანის – ორი დიდი პოეტის ურთიერთობა ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის წლებით იფარგლება და აღსავსეა ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით, რაც მკაფიოდ აირეკლება კიდეც გალაკტიონის დღიურებსა და მემუარულ ჩანაწერებში. ცნობილია, რომ გალაკტიონი და ტიციანი მკვიდრი ბიძაშვილები იყვნენ, საერთო მშობლიურ გარემოში იზრდებოდნენ. ამ ნათესაობას ხატოვნად გადმოგვცემს ტიციანის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძე":

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტუუბის ცალი,
ერთად ლბებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი.
ორბირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უკმურები
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...

გალაკტიონს და ტიციანს ძალიან უყვარდათ თავიანთი მშობლიური სოფელი საჩინო. მათი სოფლიდან კარგად მოჩანს ხვამლის მთა, ხოლო რიონის გაღმა, შორს, კავკასიონის მარად თოვლიანი მთა–გორები. ტიციანის მამა მღვდელი იყო, გალაკტიონისა კი – ჯერ დიაკვანი და შემდეგ მღვდელი. სამწუხაროდ, იგი მალევე გარდაიცვალა. დედამ, მაკრინე ადეიშვილმა, ობლობაში გაზარდა შვილები. გალაკტიონის მამის გარდაცვალების შემდეგ ტიციანის

მამა საჩინოში დაბრუნდა და მღვდლობა განაგრძო. მაგრამ დიდხანს ვერც მან იცოცხლა და საუბედუროდ, ტიციანიც თავის ოთხ და–ძმასთან ერთად დაობლდა.

და მოღუნული აცსობს საკურთხს აქ ორი დედა,
რომელსაც ცრემლი მარტო ერთი თუ დააკურთხებს...

გალაკტიონი რვა წლამდე სოფელში იზრდებოდა. წყნარი, მუდამ ჩაფიქრებული და მორიდებული ბიჭი თანატოლებისგან ყოველთვის გამორჩეული იყო. მას მხოლოდ ტიციანის გვერდით თუ იხილავდით. ორივე „მეოცნებე ბავშვმა" ბავშვობის პერიოდი რიონის პირას გაატარეს. ისინი ერთად წერდნენ, კითხულობდნენ და თევზსაც ერთად იჭერდნენ.

მართალია, გალაკტიონი და ტიციანი სისხლით ნათესავები იყვნენ, მაგრამ ორივე დიდი პოეტი რთული პოეტური ბუნებისანი, თავისთავადი, ხასიათით და ტემპერამენტით განსხვავებული ინდივიდუალები იყვნენ. ეს მათ კონკრეტულ ქცევა–მოქმედებაშიც ვლინდებოდა როგორიცაა: – გალაკტიონის სიმშვიდე, ხოლო ტიციანის სიფიცხე და მოუთმენლობა. ამას ცხადყოფს ერთი ფრაგმენტი გალაკტიონის წერილიდან: „ტიტემ თევზების დასაჭერად ანკესები იყიდა, მე კი ანკესები ვიშოვნე. ანკესს თევზი მოეკიდება თუ არა, ბავშვები მოგვპარავენ... ტიტემ არ იცის რა ჰქნას, ბრაზობს და ნერვიულობს. მაგრამ როცა ხედავს, რომ სრულიად გულდამშვიდებული ვარ, უფრო უარესად ცეცხლდება. ყველაფერი ეს ძალიან მახალისებს..."

გალაკტიონმა, როგორც ცნობილია, სიჭაბუკის პერიოდი ქუთაისში, უქომერიონზე გაატარა. დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის კერძო მოსამზადებელ სკოლაში სწავლობდა. 1900 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. გალაკტიონის თანაკლასელი, პედაგოგი ალექსან-

დრე უკლება, იგონებდა: „გალაკტიონი და მე სასულიერო სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით. ამხანაგებისგან გამოირჩეოდა – გულჩათხრობილი, სერიოზული და საოცრად გულკეთილი იყო. განსაკუთრებით უყვარდა ქართული ენა. ხშირად ესარჩლებოდა ამხანაგებს. ერთ დღეს მასწავლებელმა ფხაკაძემ მერხებს შორის ჩამოიარა, არ მოეწონა ჩემი ნაწერი და სილა გამაწნა. გალაკტიონი გამომესარჩლა. მასაც უთავაზა და გარეთ გააგდო.“



პოეტი დიდად აფასებდა თავისი მასწავლებლის ქალიშვილს, ლიტერატურული გემოვნებით დაჯილდოვებულ რაისა ჩიხლაძეს. სთხოვდა, გამოეთქვა აზრი მისი ახალი ლექსების შესახებ. ერთხელ რაისას გალაკტიონისთვის უთქვამს, – აბა, რომ ამბობენ, გალაკტიონი ძალიან ნიჭიერი პოეტიაო, მოსინჯეთ, ყმაწვილო და ერთი ლექსი დამიწერეთ! გალაკტიონს ფიქრი დიდხანს არ დასჭირვებია და სულ მალე ლექსიც მზად იყო:

რომ არ ვიცი, რა დავწერო,
რომ არ ვიცი, რა გიმღერო,
გული არ მაქვს, რომ ასევე
ავიღელვო, ავიმგერო.
და როდესაც განახლდება
ჩაბნელებულ გულის მგერა,

ნიაღვარად გადმომსკდება
ჩემი კვნესა და სიმღერა,
მანამდე კი, ჩემო კარგო,
რა გიამბო, რა გიმღერო,
არც გული მაქვს, რომ ასევე
ავიღელვო, ავიმგერო.

საგულისხმოა, რომ უკვე ამ ლექსში ჩანს გალაკტიონის დიდი მუსიკალობა. პოეტის განსაკუთრებული სიყვარული მუსიკისადმი მისი ბუნებრივი მონაცემებითაც აიხსნება. 1910 წელს, როდესაც კომპოზიტორმა ნიკო სულხანიშვილმა 15 წლის გალაკტიონს მოუსმინა, უთქვამს: „რა სუფთა ალტია, გასაოცრად ხავერდოვანი, წკრიალა და ძლიერი. უნაზესი ლირიკაა!"

კომპოზიტორს გალაკტიონი მომღერალთა გუნდში ჩაურიცხავს.

გალაკტიონის სიყვარული დედისა და ძმის მიმართ განსაკუთრებული იყო. როდესაც ოცი წლის ჭაბუკი გალაკტიონი ქუთაისში ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა, მხსნელად თავისი ძმა, აბესალომი მოევლინა. ამ დროს გალაკტიონი სხვადასხვა გაზეთების რედაქციებთან თანამშრომლობდა. მცირე ჰონორარი, რასაც ქუთაისის გაზეთებში გამოქვეყნებული ლექსებით იღებდა, არ ჰყოფნიდა. აბესალომმა გალაკტიონის გასაჭირი გაიგო თუ არა, დედის თანხმობით ქუთაისში ჩავიდა და სოფელში ძალით წაიყვანა. ამის შესახებ გალაკტიონი თავის მეგობარს, მიხა ბოჭორიშვილს სწერდა: „ნამდვილად შევიშლებოდი, ჩემი ძმა რომ არ ჩამოსულიყო და ძალისძალით არ წავეყვანე სოფელში..."

დღიურებსა და მოგონებათა სერიაში გალაკტიონი ხშირად იგონებს დედას, ძმას და გულითადი მიმოწერა აქვს

მათთან. დედისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულებაა გალაკტიონის წერილი: „ძვირფასო დედა! შენმა წერილმა მე მომკლა! დედიკო, რატომ იწერები, რომ მე შენთვის სანატრელი ვარ? არა, შენ გენაცვალე, ჩემზე ნუ ფიქრობ. თუ არ მოვკვდები, სწორედ შეურცხვენლად გავატარებ ჩემს ახალგაზრდობას. შენ იწერები „შენგან მოძულებული“ (!). ძვირფასო დედა, შენ არ შეგფერის თქვა „შენგან მოძულებულიო“. რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, ჩემთვის ეხლა ჩამოსვლა ძალიან ძნელია, დედიკო! რა ვქნა, სწორედ ეხლა იბეჭდება ჩემი ოთხი წიგნი, შეიძლება ორი მაინც მალე გამოვიდეს. წიგნების დაბეჭდვის შემდეგ მე შენთან ვარ, მშვიდობით, დედიკო!“

გალაკტიონის ჩანაწერებში ხშირად შეხვდებით ტიციანს და მის დედას – ელისაბედს. გალაკტიონი იგონებს: „ერთხელ ბიცოლა ელისაბედი დედაჩემის სანახავად მოვიდა. მე ვუჩვენე მას გაზეთი „კომუნისტი“, რომელშიც ტიციანის სტატია იყო დაბეჭდილი. მინდოდა გამეხარებინა. მან კი მითხრა, ეგ ხომ თქვენი საქმეა – წერა!“

აბესალომი თავის უმცროს ძმას სიცოცხლის ბოლომდე სითბოს და სიყვარულს არ აკლებდა. როდესაც გალაკტიონი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო, აბესალომი, რითაც კი შეეძლო, ეხმარებოდა. ამიტომაც არის ესოდენ მადლიერებით აღსავსე აბესალომთან დაკავშირებული ყოველი სიტყვა გალაკტიონისა. „ძმაო აბესალომ! ყველაფრისთვის დიდი მადლობა, – წერდა პოეტი, – ძალიან მიშველა თუმანმა. თუ როგორმე კიდევ გამოგზავნი, ძალიან დამავალებ. მალე ახალი ფეხსაცმელების ყიდვაც დამჭირდება...“

გალაკტიონმა საყვარელი ძმის გარდაცვალებით დიდი მწუხარება განიცადა. მისთვის ეს თავზარდამცემი უბედურება აღწერილია პოეტის ორ ლექსში – „აბესალობის

ხსოვნას" და „ვით ვინუგეშო თავი" პირველში ის ხაზგასმით აღნიშნავს აბესალომის დიდ მამულიშვილობას, ერისკაცობას, სამასწავლებლო და სახალხო–საზოგადოებრივ მოღვაწეობას. განსაკუთრებით გამოყოფს მის ამაგს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. იგი ასე მიმართავს აბესალომს: „მოწაფეებს, ასე გულწრფელად რომ სტირიან, გრძნობებს, რომლის ფესვები ასე ღრმაა, ესმით, როცა სულს ლევდი, მათთვის გასანდობი შენი უკანასკნელი სიტყვა იყო „სამშობლო"

გალაკტიონის მეორე ლექსში – „ვით ვინუგეშო თავი" მძაფრად არის წარმოჩენილი მგოსნის ტრაგიკული განცდა.

ძმა დავკარგე, მერე რა ძმა
უკეთესი, ერთად ერთი,
გაჭირვების ხანაშია მე მიცავდა
მისი მკერდი,
ნუგეშს მცემდა, მამხნევებდა,
მარიგებდა, როცა ვწერდი.
ეკლის ნაცვლად მისგან მქონდა
აბრეშუმი და ხავერდი.

ამ ლექსებით პოეტმა უკვდავი ძეგლი აუგო თავის უფროს ძმას.

* * *

1916 წელს გალაკტიონი ქვემო დიმში გადასახადების ამკრეფად მუშაობდა, ამავე წელს მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერა. ამ ღონისძიებაში გალაკტიონიც იღებდა მონაწილეობას. დედაჩემი, ნინო კვირიკაძე, იგონებდა, რომ გალაკტიონი პირველად ბიბლიოთეკაში ნახა, როდე-

საც ახალი გაზეთების წასაღებად მივიდა. კარი შეაღო თუ არა, უცნობი ყმაწვილი წამოხტა და დაიძახა: ეს რა მტრედი მოფრენილა!

მისი სითამამე ნინოს არ მოეწონა, მკაცრად შეხედა, გაზეთები აიღო და წამოვიდა. ნინო ზემო დიმის ქაშუეთის წმინდა გიორგი–ძალდიდებულის ეკლესიის დეკანოზის – სიმონ კვირიკაძის ასული იყო. სილამაზით და ნიჭით გამოირჩეოდა. ნინოს თაიგულივით, სუფრის დასამშვენებლად პატიჟებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ნინოს უთხრეს გალაკტიონს შენი გაცნობა უნდაო. „როდესაც ეკლესიის ეზოში მივედით, – ყვებოდა ნინო, – გალაკტიონი საფლავის ქვაზე იყო ჩამომჯდარი, ხელში უბის წიგნაკი ეჭირა და წერდა. გრძელი შავი თმა ისე ჩამოშლოდა, რომ თავადაც შავი მომეჩვენა. როგორც კი მივუახლოვდით, მაშინვე წამოხტა, თავი გადასწია და თმა დავარცხნილივით ლამაზად უკან გადაეყარა. ყმაწვილი ბიბლიოთეკიდან ვიცანი. ხელი რომ გამომიწოდა, უნებლიედ წამომცდა – თქვენ ის გალაკტიონი ხართ?



– დიახ, ის, – მიპასუხა და გაიცინა.“

მაშინ ახალგაზრდებს თავშეყრის ადგილი არ ჰქონდათ.

ეკლესიის ეზოში ან მდინარე ხანისწყლის ნაპირზე იკრიბებოდნენ. გალაკტიონმა ეს რომ გაიგო, მათ დაუახლოვდა და ახალგაზრდებთან სიარულს მოუხშირა. სულ მალე პოეტი მათი გართობების სული და გული გახდა. ნინოს მეხსიერებაში შემორჩა ერთი ულამაზესი საღამო: ანტიკური ქანდაკებასავით აღმართული ლამაზი ჭაბუკი დადგა ხანისწყლის პირას ამაღლებულ ადგილზე და ანთებული, ჭკვიანი თვალებით, შთაგონებული მზერა მიაპყრო ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და განსაკუთრებული ინტონაციით, წამღერებით დაიწყო ლექსების დეკლამირება.

მრავალი წლის შემდეგ გალაკტიონი ამ საღამოებს ასე იხსენებდა: „დაუვიწყარია ჩემთვის მთვარის შუქით განათებული ხანისწყლის პირას მომღერალი სამი ასული...“ ერთ–ერთი მათგანი ნინო იყო.


ერთხელ ასეთი რამ მომხდარა: ნინოს გრძელი ნაწნავები ჰქონდა. გალაკტიონს ჩუმად ხელი მოუკიდია მისი ნაწნავისთვის და უკოცნია. მათ უკან მიმავალ ახალგაზრდებს არაფერი გამოჰპარვიათ. ატყდა სიცილ–ხარხარი, რადგან ნინომ ვერაფერი შეამჩნია. გალაკტიონი მაშინ ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პოპულარული იყო. ის სხვებს არ ჰგავდა და ცდილობდნენ, ყველაფერში მისთვის მიებაძათ.



ნინო კვირიკაძე

ნინომ ერთი ეპიზოდი გაიხსენა: „მაშინ ოცი წლის ვიყავი და ხშირად ვმონაწილეობდი საქველმოქმედო წარმოდგენებში. ერთხელ, როდე-







საც „ქრისტინეს“ წარმოდგენა მიმდინარეობდა, მოულოდნელად ზემოდან წითელმა ვარდებმა სცენაზე დაიწყო ცვენა. სწორედ ამ დროს სცენაზე გალაკტიონი ამოიჭრა და ხელები დამიკოცნა. მაშინვე ფარდა დაეშვა და წარმოდგენა ჩაიშალა. გალაკტიონს ორი ბიჭი დაექირავებინა და კალათით მოტანილ ვარდებს ქანდარიდან ყრიდნენ.

ამის შესახებ რაიონული გაზეთი წერდა: „დასაგმობია ხულიგნური გამოხტომა პოეტ გალაკტიონ ტაბიძისა, რომელიც სცენაზე აუვარდა მსახიობ ქალს, ნინო კვირიკაძეს და წარმოდგენა ჩაშალა“

„ხულიგანი“ პოეტი მაშინ ოცდაოთხი წლის იყო. შემდეგ ამაზე გალაკტიონი ხშირად ხუმრობდა, მეხვეწებოდა ის გაზეთი მოვძებნოთო.

მხიარული ზაფხული დამთავრდა. ახალგაზრდები მიმოიფანტნენ. მე სასწავლებლად თბილისში წავედი, ჩემი ძმა კი – პეტერბურგში. გალაკტიონის ბედი გამიზნულად აღარ მიკითხავს, რადგან გადავწყვიტე, მასზე აღარ მეფიქრა. მას შემდეგ გალაკტიონი 27 წელი აღარ მინახავს.“

ბევრი, ძალიან ბევრი ხილული თუ უხილავი ძაფებით იყო პოეტის ცხოვრება დაკავშირებული ქუთაისთან, რომელმაც პირველი სიხარული მიანიჭა – პირველი წიგნი, პირველი ლიტერატურული საღამო, რომელსაც აკაკი

ამშვენებდა. აქ ჩაეყარა საფუძველი გალაკტიონისა და კონსტანტინე გამსახურდიას მეგობრობას.

გალაკტიონი ქუთაისში გატარებულ წლებს თავისი ცხოვრების უბედნიერეს ხანად თვლიდა: „მაშინ ქუთაისი იყო პოეზიის დედაქალაქი. აკაკი დილით ლექსს რომ დაწერდა, საღამოს მთელმა ქუთაისმა იცოდა. პოეზიის საღამოები ხომ ქუთაისისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო! ჩემს გვერდით მაშინ იყვნენ ჩემი ძმები – ტიციანი და პაოლო. ყველა ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი ჩემი პაოლო იყო. იგი ადამიანებთან ურთიერთობის დიდი ტალანტით გამოირჩეოდა.

ერთხელ პაოლო ჩვენთან მოვიდა და გაგვახარა: – ბიჭებო, ერთ კვირაში პოეზიის საღამოს ვაწყობ. მერე ჩვენი ტანსაცმელი ეჭვის თვალით შეათვალიერა, – არა, ამ კოსტიუმებით საზოგადოების წინაშე ვერ წარვსდგებით, იქნებ რამე მოვიფიქროო, თქვა და სადღაც წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა და სამკერვალოში წაგვიყვანა. იქ რომ შევედით, მკერავს ეუბნება; – ნახე, მზეჭაბუკები მოგიყვანე. ესენი შენს შეკერილ კოსტიუმებში სცენაზე რომ გამოჩნდებიან, უკეთეს რეკლამას ვერც იოცნებებო.

როდესაც პაოლომ მკერავს ჰონორარზე ლაპარაკი დაუწყო, მე გარეთ გამოვიპარე. ცოტა ხანში ისინიც სიცილ–ხარხარით გამოვიდნენ, რადგან ჩემი სიმორცხვე მათ ძალიან ამხიარულებდა.

– შეხედე, შეხედე, გატუნიას ყურებიც კი გაწითლებია, – სიცილით თქვა პაოლომ. მე მაინტერესებდა, რით დამთავრდა მკერავთან მოლაპარაკება, ისინი კი იცინოდნენ და არ მპასუხობდნენ. ბოლოს პაოლომ ამიხსნა, მკერავს

გასამრჯელოს საღამოზე შემოსული თანხიდან გადავუხდითო.

საღამო დიდებული გამოვიდა. პაოლო არწივივით თავს დაფვსტრიალებდა. ყველას სიამაყით გვევსებოდა გული, რადგან ხალხის დიდ სიყვარულს ვგრძნობდით. სწორედ პოეზიის საღამოებმა გამოწრთვნა ახალგაზრდა თაობები. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია აღარ გრძელდება."

მწერალი დავით კასრაძე იგონებდა: „გალაკტიონი პირველად ქუთაისში მაისის ულამაზეს თვეში გავიცანი. იგი პოეტის საყვარელმა აღმზრდელმა ია ეკალაძემ გამაცნო.

მეორე დღეს გელათში ავედით. საღამოს რკინიგზის სადგურზე გამაცილა. თბილისში ზღაპრული სიხარული, სიმსუბუქე და მშვენიერება მიმქონდა."

გულისტკივილით ეთხოვება გალაკტიონი ქუთაისს, უმძიმს იმ ქალაქთან დაშორება, სადაც მისი სიჭაბუკე რჩება. ეს დიდი სევდა ლექსის სტრიქონებში გამოიხატა:

გემშვიდობებით, მშობლიურო ჩვენო გორებო,
თქვენც, ნანგრევებო ბაგრატის ტაძრის,
გემშვიდობებით, მეძნელება ეს განშორება,
როგორც ლოდინი ბრძოლების მკაცრის.

გალაკტიონსა და ტიციანში ბუნებრივად შერწყმული იყო სიბრძნე და გულუბრყვილობა. ორივე გმობდა სიყალბესა და მოჩვენებითობას. მთელი მათი არსება, სიცოცხლე პოეზიით სუნთქავდა.

ტიციანი ერთ–ერთი პირველთაგანი შეეხმიანა გალაკტიონის მხატვრული გენიის გამობრწყინებას – ლექსების პირველი წიგნის გამოსვლას. სიტყვიერ ხელოვნებაში გალაკტიონს და ტიციანს თან რაღაც ფარული მეტოქეობის გრძნობა ახლდა. ისინი ხშირად ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ ტიციანმა ასეთი ლექსი დაუწერა:

ეს საფსულიც მიიწურა,
შემოდგომა აბიჯებს,
მოკვდეს ბიჭი, თუ არ ჯობდეს
გალაკტიონ ტაბიძეს!

გალაკტიონმა ლექსი ნაიკითხა, გადააბრუნა ფურცელი და იქვე ექსპრომტად მიუწერა:

ტიციანო, ტიციანო,
რა ბიჭიც სარ, იციანო!

ტიციანმა დიდად განიცადა ერთი შემთხვევა: „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი მისი ლექსის – „ყვავილის“ ავტორად გამოცხადებული ყოფილა გალაკტიონი, ასეთი ლექსი კი მას არც დაუწერია და არც დასაბეჭდად მიუტანია რედაქციაში. თვითონაც არ იცოდა, როგორ მოხდა ყოველივე. ერთხელ სოფელში ჩასული გალაკტიონისთვის ტიციანს უსაყვედურია – რას მერჩოდი, ჩემი ლექსი რომ მიგისაკუთრებიაო.

გალაკტიონს განუმარტავს, რომ მას მაშინვე უთქვამს მეგობართა წრეში – ეს ლექსი მე არ მეკუთვნის, არც ის ვიცი, თუ ვინ დაანათლა ამ ლექსს ჩემი სახელიო. როგორც შემდეგ გარკვეულა, იმხანად რედაქციის მუშაკს, იოსებ გრიშაშვილს, ტიტეს ნაცვლად დაუწერია გალაკტიონი, რადგან, მისივე თქმით, იგი მხოლოდ ერთ პოეტს – გალაკტიონ ტაბიძეს იცნობდა.

პროფესორი იოსებ მეგრელიძე იხსენებს: „პეტერბურგში ყოფნისას გალაკტიონს ერთი რუსი მხატვარი ქალი გავაცანი, რომელმაც მითხრა: „ტიციანი (პირადად იცნობდა) უფრო ჰგავს პოეტს, ვიდრე გალაკტიონი. გალაკტიონი უფრო ბრძენს ჰგავსო.“

სიბრძნე და იდეური სიღრმე არც ტიციანს და მის შემო-


გალაკტიონი და ტიციანი

ქმედებას აკლია, მაგრამ ამ ურთიერთშედარებით, ისიც რუსი ხელოვანი ქალის მიერ, მინიშნებულია არა მხოლოდ გარეგნული, არამედ არსებითი, სიღრმისეული განსხვავება. გალაკტიონმა ადრე გაითქვა სახელი, მიიქცია დიდი აკაკის ყურადღება, აკაკიმვე აღიარა მომავლის დიდ პოეტად.

ერთხელ გალაკტიონი და ტიციანი დუქანში ცალ–ცალკე მსხდარან, რადგან ერთმანეთთან უბრად ყოფილან. ერთ–ერთ მოქეიფეს გალაკტიონისთვის ჩხუბი აუტეხია. ტიციანს ვერ მოუთმენია და თავის ბიძაშვილს გამოსარჩლებია.

მურმან ლებანიძემ მშვენივრად გადმოსცა გალაკტიონისა და ტიციანის ახლო მეგობრობა ლექსში „ლეგენდად დარჩეს“

გალაკტიონთან ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი:
ჰოეტი მეფე ვერც მიმხვდარა, რატომ და რისთვის,
უკადრებია რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის...
აჰფეთქებია აქ ტიციანს უცრად დენთი,
წამოვარდნილა ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჯიქა, შეუსწორებია კისერზე ბანტი
და უსეთქია რეგვნულ შუბლში რეგვნისთვის კვანტი.

გალაკტიონს მძიმე წუთებში გული ღვინისკენ მიუწევ-

და, თითქოს შვებას ღვინოში ეძებდა. იუმორისტულ ლექსში თავის თავს ასე ახასიათებს:

ჰირველი მგოსანია,
უველას მოსაწონია,
მაგრამ ერთი ნაკლი აქვს:
ღვინო უუვარს მგონია.

მწერალი ნიკა აგიაშვილი იგონებდა: „იციან თქმა, გალაკტიონს დალევა უყვარდაო, მაგრამ ყველამ იცის, უზომო სმას და თავაწყვეტილ ღრეობას რომ არ ეწეოდა; პირიქით, ეს ძალზე ეზიზღებოდა. ახლობელ მეგობრებთან ქეიფობდა თავშესაქცევად, დიდ სასმისებს არ ეტანებოდა და უფრო წვრილ–წვრილ ჭიქებს ეთამაშებოდა, მაგრამ ცოტა სასმელიც მალე ეკიდებოდა. თუ რამე დიდი საქმე ჰქონდა, ვთქვათ, რომელიმე წიგნის გამოცემა ან საიუბილეო დღისათვის სამზადისი, მაშინ დიდი ხნის განმავლობაში წვეთსაც არ დალევდა. როცა საქმეს მორჩებოდა, მეგობრებს ეტყოდა – მოდი ვიქეიფოთ, ბევრი სიმღერა და მხიარულება მინდაო.“

გალაკტიონი შინაგანად მუდამ იმაღლებდა ხმას ტირანიის წინააღმდეგ. 1917 წლის რევოლუციას ის, როგორც ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, აღტაცებით შეხვდა.

იმ ხანებში გალაკტიონი ქუთაისიდან დედას ასე ეხმიანებოდა: „ახლა, გამაგრდი დედა! მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით, შენც უნდა იყო მხიარულად. მე კარგად ვარ... შენი ერთგული და მუდმივად მოყვარული შვილი გალაკტიონი.“

1917 წლის რევოლუციას პოეტმა მიუძღვნა ლექსი

„დროშები ჩქარა!“, რომელიც ქუთაისში დაწერა. ლექსის შექმნის იდეა გალაკტიონს ერთმა შემთხვევამ შთააგონა: „საღამო ხანი იყო. ქუჩაში არავინ სჩანდა. მე მაინც ფრთხილად მივდიოდი, რომ არავის დავენახე. თეატრს შორიდან მოვუარე. იქ უჩვეულო რაღაც ხდებოდა. თეატრის კულისებში მსახიობებთან შევედი.

– რა მოხდა? – ვიკითხე.

– რევოლუცია, მგოსანო! – იყო პასუხი.

– რას ამბობ! გაიმეორე!

– რევოლუციაა, მგოსანო!

შევედი თუ არა დარბაზში, აუდიტორიამ იმწამსვე შემამჩნია და „გაუმარჯოს რევოლუციასო“ შეძახილით გარს შემომეხვივნენ. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მყისვე ხელში ამიტაცეს და ასე რამდენჯერმე შემომატარეს დარბაზში. ისმოდა მქუხარე ტაშისცემა და შეძახილები: „გაუმარჯოს რევოლუციას! დროშები!“

სწორედ ამ მომენტში დაიბადა ჩემი ლექსი „დროშები ჩქარა!“

მაგრამ პოეტი მალე მიხვდა, რომ ხალხის იმედები არ გამართლდა. ერთგული შვილები ტოვებდნენ სამშობლოს, დანარჩენებს აპატიმრებდნენ, ხვრეტდნენ. გალაკტიონს არ შეეძლო ელიარებინა პარტია, რომელიც ანადგურებდა მისთვის ახლობელ ადამიანებს. არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტი მან თავისებურად გამოხატა – არ შევიდა პარტიაში, თუმცა აძალებდნენ.

გავიდა მრავალი წელი. როდესაც გალაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, პოეტმა ერთ–ერთ პარტიულ ხელმძღვანელს უთხრა: „პარტბილეთს თქვენ ჯიბით

ატარებთ, მე კი ჩემი „პარტბილეთი“ – ლენინის ორდენი – მკერდზე მაბნევიაო“.

გალაკტიონი განსაკუთრებულ, სათუთ სიყვარულს იჩენდა ბავშვებისადმი. პოეტი გულითად სტრიქონებს უძღვნის პატარებს. ომების ტრაგიკული ყოფის სურათების გასამძაფრებლად იგი განუმეორებელი ოსტატობით გამოსახავს „საოცნებო ბავშვის“ სახეს – ხან თავისი ტკბილი, უშფოთველი ზმანებებით, ხან კი – შეუბრალებლად განწირულს, გათელილს ცხოვრების მტვერში. ასეთია მისი ლექსი „ბავშვები კაფეში“:

მშიერი სახით კაფეში შედის
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი,
მათი თვალები აღარ იცინის,
ხედვაში ხანჯლის არის ციება,
- არ ეპატიოს, - კვნესენ ისინი,
- ქვეყანას ჩვენზე შურისძიება.

პოეტი არა მარტო მოსიყვარულე გულის, სათუთი განცდის ადამიანია, არამედ, უწინარესად, ღრმა ჰუმანიზმით განმსჭვალული თავისი დროის დიდი მოქალაქეა. მას არ ძალუძს მკაცრი პროტესტით აღუდგეს იმ სისასტიკეს, ომების საშინელებას, რაც ბავშვის უზრუნველ სიცოცხლეს, მათ სიხარულს წინ ეღობება.

პოეტის ხმაში, ამასთანავე, არ შეიძლება მშვიდობისადმი მისი დაუცხრომელი სწრაფვაც არ შევიგრძნოთ. ერთ–ერთ ლექსში აღტაცებით ამბობს: „რა ახალია ეს დედამიწა“. როდესაც ზღვისპირად აღტყინებული მოჟრიამულე ბავშვებს გასცქერის, ეს საამო ხმაური, მათი ბედნიერი სიცილ–კისკისი ღრმა განცდით იჭრება პოეტის სულში.

ზეცის სიმწვანეს,
მიწის სირბილეს
აერთებს ეს ხმა
მზიური ვერცხლის.

მშვიდობის სიყვარული და მისი ფასის ცოდნა კარგად სჩანს შემდეგ უსათაურო ლექსში, რომელიც გალაკტიონს 1956 წელს, გარდაცვალებამდე სამიოდე წლით ადრე დაუწერია:

უველაფერი შეიძლება მოხდეს:
მთა მთას შესვდეს, მზე მთის იქით მოსვდეს,
ვარდი დაჭკნეს, როს ბულბული მოსხლტეს, -
უველაფერი შეიძლება მოხდეს!

შეიძლება, როს დაბნელდეს არე,
ხეებს იქით გადაქანდეს მთვარე,
შეიცვალოს ვარსკვლავების არე, -
უველაფერი შეიძლება მოხდეს!

შეიძლება შხამით სავსე სასმისს
გაწვდიდეს ხმა მეგობართა რაზმის,
თან საშინელს გიმზადებდეს რასმეს, -
უველაფერი შეიძლება მოხდეს.

სამშობლოს წინ უოველ ვალთა მოხდის,
მშვიდობის წიგნს გვირგვინს ვერვინ მოხდის,
მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს,
არა, ეს არ შეიძლება მოხდეს!

გალაკტიონმა დედის გარდაცვალება მწვავედ განიცადა. ის წერდა: „დავკარგე დედა და მასთან ერთად დავკარგე იმედი, ნუგეში, თანაგრძნობა... უდედოდ ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, მაგრამ ვაი... დავტოვე ჭყვიში და მასთან ერთად დავტოვე დედის ახლადშეზვინული საფლავი... წუხელის ძილში ვწუხდი, რომ უკვე აღარავისთვის ვარ ისე ძვირფასი, როგორიც ვიყავი ჩემი დედისთვის... ვწუხდი, ჩემი მომხრე, თანამგრძნობი და დამცველი არავინ არის– მეთქი.

ამ დროს ჩემი ოთახის ფანჯარას დედაჩემი მოადგა და მითხრა – გატუნია, შვილო, რამ დაგაღონა, ბიჭო! შენ, შვილო, ყველასათვის ხარ საჭირო და თუ დაგჭირდა, დამცველი და თანამგრძნობიცა გყავს. გაიხსენე შენი ლექსი, შენი ჭირიმე: „ო, ნანა, ნანა...“.

დედაჩემი გაჰქრა, გამომელვიძა. მაშინვე ავდექი, ავიღე ჩემი ლექსთა კრებული და მოვძებნე ლექსი „ო, ნანა, ნანა...“.

დედაჩემი, ალბათ, ამ სიტყვებს გულისხმობდა:

კედლით გიმღერის ექვსი
მგოსნის ძვირფასი ქნარი:
რუსთაველს, გურამიშვილს,
ბარათაშვილს და ვაჟას
წერეთელს, ჯავჯავაძეს
სურთ დაგიჯირონ მხარი.
და კიდევ დედაშენის
ნანა არ გიცავს, განა!

* * *

როდესაც გალაკტიონმა მოსკოვის უნივერსიტეტში განათლების მისაღებად წასვლა გადაწყვიტა, დახმარებისთვის (სტიპენდიის მისაღებად) წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ პასუხისმგებელ მდივანს, ვარლამ ბურჯანაძეს მიმართა წერილით: „პატივცემულო ვარლამ! ოდესღაც ერთმანეთს ვიცნობდით, არ ვიცი გახსოვართ თუ არა და ამიტომ ცოტა უხერხულობას ვგრძნობ, რომ გაწუხებთ... ჩემი მდგომარეობა საშინელზე უსაშინლესია და ამიტომ ნუ გეწყინებათ, რომ წერილით თავს გაწყენთ... ქუთაისის წერა–კითხვის საზოგადოების გამგეობის განყოფილებამ მიშუამდგომლა მთავარ გამგეობასთან ჩემთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. ახლა გთხოვთ დამეხმაროთ. პირდაპირ გავიტანჯე ამ საშინელი სიღარიბით... მე მივდივარ მოსკოვში უნივერსიტეტში სასწავლებლად; ეს არის ჩემი თხოვნა. იმედია ამისრულებთ.

მარადის და მარადის იქითაც თქვენი გალაკტიონ ტაბიძე“.

ვარლამ ბურჯანაძემ სათანადო დახმარება გაუწია სწავლამოწყურებულ მგოსანს და წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელშეწყობით 1917 წელს გალაკტიონი მოსკოვში სასწავლებლად გაემგზავრა

პოეტს ბოლო წლებამდე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვარლამ ბურჯანაძესთან. „როდესაც˙ მამა გარდაიცვალა, – იგონებდა ვარლამის ქალიშვილი თამარი, – გალაკტიონი პანაშვიდზე მობრძანდა და ცრემლშეუმშრალი მდუმარედ დიდხანს იდგა კედელთან...“.

პოეტი იქვე ამზადებდა წიგნს, რომელიც გამოიცა 1918 წელს სათაურით – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. გალაკტიონი ამბობდა: „მე მშიერი ვიყავი, მაგრამ უკანასკ-

ნელი გროში უსათუოდ ყვავილებზე მიდიოდა. ჩემს ბინაში ყოველთვის იყო ყვავილები და ეს მმატებდა ენერგიას.“

ამ სიტყვებში გარკვეულად არის მინიშნებული ეპოქის ძნელბედობაზე, პოეტის ცხოვრების რთულ გზაზე, მის პიროვნულ თვისებებზე.

გალაკტიონის ერთ–ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ლირები ვუსახსოვრე ორ ქალს. ისინი აღტაცებაში მოვიდნენ. ასეთივე ლირები უნდა წავუღო თბილისში ჩემს რამდენიმე მეგობარს. შესაძლოა, ერთ–ერთი წიგნი გამოვცე ლირით. ლირა უნდა ჟღერდეს!

ლუვრში, კონგრესზე მიწვეულ რამდენიმე დელეგატთან ერთად, ვათვალიერებდი მსოფლიო მნიშვნელობის კოლოსალურ კოლექციას. მითხრეს, რომ აქ ყოველდღე დადიოდა ერთი მოხუცი ფრანგი. იგი დიდხანს იდგა ვენერა მილოსელის ქანდაკების წინ და ამბობდა, ამ მოკლე ხანში ომის ნიშნების ხმა არ გაისმისო.

როდესაც ვკითხეთ თუ საიდან იცოდა ეს, მან სთქვა: თუ აქ ვენერა მილოსელი თავის ადგილას დგას, თუ იგი არ შეუხვევიათ და სარდაფში არ დაუმალავთ, ცხადია, საშიში ჯერჯერობით არა უნდა იყოს რაო.“

* * *

გალაკტიონის პოეტური გენია ერთნაირად მოიცავს ხელოვნების ნებისმიერ დარგს. პოეტი ღრმად სწვდება მსახიობის, ფერმწერის, მოქანდაკის სულის მოძრაობას. რა სიღრმით ხატავს იგი ჯოკონდას მეტყველ სახეს:

შენს თეთრ შუბლზე თვით ვენიის
სვეტიური მირონია,
მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის
ღვთაებრივი ირონია.

თბილისში სამხრეთ ოსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა რომ გახსნილა, გალაკტიონი მეორე დღესაც მისულა და დეტალურად დაუთვალიერებია ოს მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. როგორც სჩანს, მზის ჩასვლის პეიზაჟი მოსწონებია, რადგან მას დიდხანს ყურადღებით უმზერდა.

„უდიდესი გეგმა" – ასე ეწოდება იოჰანეს ბეჰერის ლექსს, რომლის მშვენიერი თარგმანი გალაკტიონს ეკუთვნის. საინტერესოა, რომ ამ ლექსის ლირიკული გმირი თითქოს ნათლად გამოკვეთს გალაკტიონის ამაღლებულ სულს.

მიმსედვარე
ათასწლებისკენ
ის სედავს,
ის დგას
დასაწყისთან.



ტაბიძეების სახლი ჭყვიშში

* * *


კონსტანტინე ბალმონტი, ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონის შემოქმედებას საფუძვლად უდევს ქარტეხილიანი საუკუნე. დგება დრო, როდესაც იწყება პოეტური ენის ნაძალადევად შეცვლა. გალაკტიონი აღნიშნავდა: „წინათ ქართველ ბაირონს მეძახდნენ, ეხლა მთხოვენ ვწერო მაიაკოვსკივით“

იმ ცინიკურ ეპოქაში, როდესაც ლექსი სხვისი კარნახით იწერებოდა, გალაკტიონმა შეუძლებელი შეძლო – ის გახდა ახალი პოეზიის ფუძემდებელი. იყო მრავალი განადგურება, ლექსის სიკვდილი კი – არასდროს!

პროფესორ ინესა მერაბიშვილის ფუნდამენტურ, მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფიაში – „გალაკტიონის ენიგმები“ (თბილისი, 2002) გონებამახვილურად არის განთავსებული ორი ფოტოსურათი – გალაკტიონის პატარა სახლი ჭყვიშში და მის გვერდით – ლორდ ბაირონის სასახლე. გალაკტიონი პატარა სახლს იდუმალს უწოდებს:

პატარა სახლი, როგორც ნალია,
დიდ სასახლეზე იდუმალია.

მართლაც, საოცრებაა! როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ამ პატარა სახლში, პოეზიის „თავბრუსხვევამდე“ დიდი გალაკტიონი დაბადებულიყო.

ეს ორი დიდი პოეტი განსხვავებული გზებით მივიდნენ დიდებამდე, მაგრამ მათ ერთი რამ აქვთ საერთო – ჭეშმარიტი პოეზიის ამაღლებული სული. გალაკტიონის პოეზია არის „სულის ნამდვილი არისტოკრატი“, რაც მას ბაირონთან აახლოვებს:

უამიდობით თუ ამიდებით
დიდება მერგო მე სხვაზე მეტი;
ეხლაც ანათებს ძველი მითებით,
შემობურული სივრცე და ვონი?

იგი ქარს ებრძვის გაბეჯითებით.
ვაჲ, დრონი, დრონი!

* * *

აი, როგორ იხსენებს ნინო კვირიკაძე დიდ მგოსანთან ნაგვიანევ შეუღლებას: „გავიდა წლები. სამხედრო ინჟინერზე გავთხოვდი, ორი შვილი შემეძინა. ვცდილობდი, ჩემი ახლობლები, ნათესავები და მეგობრები უყურადღებოდ არ დამეტოვებინა, რადგან ქვეყანაში დიდი გაჭირვება იყო. ამის საშუალებას მაძლევდა ის დიდი დახმარება, რასაც მაღალი ჩინის ოფიცრები მთავრობისგან იღებდნენ.

სტუდენტობის ბოლო წელი იყო და ლექციას პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი გვიკითხავდა. ის სტუდენტების კერპი იყო, რადგან გამორჩეულად მაღალი სულის ადამიანი ბრძანდებოდა. მას ყოველი სტუდენტის ცხოვრება აინტერესებდა და დახმარებისთვის მუდამ მზად იყო. ლექციის დასრულების შემდეგ ბატონმა ლუარსაბმა გამომიძახა და აუდიტორიას მიმართა: – მინდა ნინო კვირი-

კაძეს საჯაროდ მადლობა მოვუხადო იმ სიკეთისთვის, რასაც წლების მანძილზე თანაკურსელების მიმართ იჩენდა. შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: „იცოდე, სიკეთე უკვალოდ არასდროს ქრება და აუცილებლად დაგიფასდება“.

1943 წელი იყო. ომი მძვინვარებდა. ქალაქში გამოცხადებული იყო სამხედრო რეჟიმი ხალხმრავალ ადგილებზე მორიგეობა იყო დაწესებული. ნინო ამ ამბავს ასე იგონებდა: „მაშინ იურისკონსულტაციაში ადვოკატად ვმუშაობდი და იმ დღეს ვერის ბაღში ვმორიგეობდი. როგორც კი ბაღში შევედი, დავინახე – გალაკტიონი და შალვა დადიანი მოსეირნობდნენ. დავიბენი და შევეცადე თვალი ამერიდებინა, მაგრამ გალაკტიონმა დამინახა თუ არა, ჩემთან მოვიდა და მკითხა: „ნინო?“ მე გავიღიმე და ვუპასუხე: „დიახ, ნინო“.

მან ხელები მხრებზე მომხვია და შუბლზე მაკოცა. ასეთმა უბრალო, მეგობრულმა შეხვედრამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ცრემლები ძლივს შევიკავე. გალაკტიონმა ხელი მომკიდა და სკამისკენ წამიყვანა. როდესაც დავსხედით, გალაკტიონმა შალვას უთხრა; – ნინო ჩემი ახალგაზრდობის ტკბილი მოგონებაა. წარმოიდგინე, შალვა, მთვარის შუქით განათებული ვერცხლისფრად მოელვარე ხანისწყალი, იქვე მახლობლად მადლიანი ქართული სუფრა. ისმის დალოცვილი ქართული ჰანგები. დაბალ ხმაზე მღერის სამი მშვენიერი ქალიშვილი. ერთ–ერთი მათგანი ნინოა.

შალვა იცინის და ამბობს; – გალაკტიონ, სადაც შენ ხარ, იქ სილამაზეა. ნამდვილი ესთეტი ხარ. შენს მიერ დახატული ეს მშვენიერება როგორ იპოვე პატარა სოფელში...

ეტყობა, გალაკტიონს შალვას ნათქვამი ძალიან ესიამოვნა და გადაიხარხარა. მე უკვე აღარ მახსოვდა, გალაკტიონს გროტესკული სიცილი ჩვევად რომ ჰქონდა.

– იცი, შალვა, – გალაკტიონმა განაგრძო, – პარიზში რომ ვიყავი კონგრესზე, ბალმონტი ვნახე, ძალზე მოხუცებულა. და მომაგონდა მისი სიტყვები: «Откуда приходишь ты, красота?!»

მალე მეგობრული გარემო შეიქმნა. შემდეგ გალაკტიონმა მკითხა:

– ნინო, მე და შალვას ძალიან გვაინტერესებს, როგორ ცხოვრობდი ეს წლები? განსაკუთრებით კი ბატონ შალვას აინტერესებს უცნობი ქალის ისტორია, არა?

შალვამ მითხრა:

– ქალბატონო ნინო, სწორედ მწერალს აინტერესებს ყოველი ადამიანის ისტორია. თქვენ გამორჩეული პიროვნება ბრძანდებით.

– როგორ ფიქრობ, შალვა, ნინო გამორჩეული პიროვნება რომ არ ყოფილიყო, პოეტის დატყვევებას მოახერხებდა? – ჰკითხა გალაკტიონმა.

– ბატონო შალვა, ნინო გამორჩეული პიროვნება რომ არ ყოფილიყო, პოეტის დატყვევებას მოახერხებდა?! – ირონიულად გავიმეორე მეც.

გალაკტიონმა გაიღიმა – დამცინი, ნინო?

– შენს დაცინვას ვინ მოახერხებს? ოლიმპიურ სიმაღლეებს მიაღწიე.

– ნინო, გეყოფა, ნუ აჭარბებ!

– გალაკტიონ, შენ რომ დაგინახე, ამან ძალიან ამაღელვა. მომაგონდა ის უდარდელი ნინო, რომელსაც არაფერი საერთო აღარა აქვს ცხოვრებისაგან განადგურებულ ქალთან. მე 37 წლის მსხვერპლი ვარ.

– ნინო, რა ბედნიერებაა, რომ გადარჩი, – თანაგრძნობით მითხრა გალაკტიონმა.

– დიახ, შემთხვევით გადავრჩი. ჩემი მეუღლე დახ-

ვრიტეს. შენც იგივე ბედი გეწია, გალაკტიონ. შენი ტრაგედია მთელმა საქართველომ იცის. რაც შემეხება მე, თუ როგორ გადავრჩი, ჩემთვის დღესაც აუხსნელია... 1937 წლის საშინელ პერიოდში ჩემი ცხოვრება საკმაოდ მძიმედ წარიმართა. როგორც ათასობით ქართველის ოჯახმა, ჩვენმა ოჯახმაც დიდი ტრაგედია გადაიტანა – ჩემი მეუღლე დახვრიტეს, ბინიდან გამოგვასახლეს და ერთი პატარა ოთახი მოგვცეს მთაწმინდის ძირში. მე ორი ბავშვით მარტო დავრჩი.

დაიწყო რეპრესიები. გამუდმებით შიშის რკალში ვართ მოქცეული – ველით დაპატიმრებას. „ხალხის მტრების“ მეუღლეებს ღამით აპატიმრებდნენ. ყოველი ღამის მოახლოება ჩვენთვის სიკვდილის ტოლფასია.

შუაღამეა. აკაკუნებენ. შემოდის ფორმიანი კაცი. მე და ჩემი ორი შვილი შიშისგან დაზაფრულები ველით განაჩენს. მაგრამ, აი, საოცრება – უცნობი მაფრთხილებს: „თქვით, რომ მაღალი სიცხე გაქვთ, დაწექით!“

ამის თქმას ასწრებს და ოთახში კიდევ სამი „ჩეკისტი“ შემოდის. დამხვდური მოახსენებს, რომ მე მძიმე ავადმყოფი ვარ და ადგომა არ შემიძლია (იმ დროსაც იყვნენ მათ შორის ნამდვილი ადამიანები). რამდენიმე შეკითხვით მომმართავენ. მე ვდუმვარ, მეტყველების უნარი დაკარგული მაქვს. მთელი ბინა გაჩხრიკეს, მაგრამ სამხილი რომ ვერაფერი იპოვნეს, წავიდნენ.

გავიდა ხანი და მეგონა, ჩემი არსებობა „ჩეკისტებს“ დაავიწყდათ, მაგრამ მოულოდნელად უწყება მივიღე – მეორე დღეს „ჩეკაში“ უნდა გამოვცხადებულიყავი. ძნელი წარმოსადგენია, რა განვიცადეთ. ჩემს შვილებს ვამშვიდებდი და ვეუბნებოდი, რომ სანერვიულო არაფერი იყო. ჩემი დაპატიმრება რომ სდომოდათ, სახლში მომაკითხავდნენ.

რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვების მე თვითონაც არ მჯეროდა. შემდეგ მათ ვურჩიე, ქაშუეთის ეკლესიაში წასულიყვნენ და იქ დამლოდებოდნენ. ვიფიქრე, თუ უბედურება დამატყდებოდა თავს, მოძღვარზე უკეთესად მათ ვინ დაამშვიდებდა?..

როდესაც „ჩეკაში“ გამოვცხადდი, კამერის მსგავს უფანჯრო ოთახში შემიყვანეს. იქ ხუთი საათი ვიმყოფებოდი, შემდეგ გამომიძახეს და ბოდიში მომიხადეს „შეცდომისთვის“. ბესიკის ქუჩაზე სირბილით დავეშვი. ქაშუეთში რომ შევედი, ეკლესია ისე იყო სანთლებით გაბრწყინებული, რომ უნებლიედ თვალებზე ხელები ავიფარე და ჩემი შვილები ვერ დავინახე. უცებ მათი განწირული ხმა მომესმა – „დედა!“ და შემომეხვივნენ. ამის გაგონებაზე გული ამიჩუყდა. შემდეგ მითხრეს, რომ, მოძღვარის თხოვნით, იქ მყოფ ხალხს სანთლები ნინოს სახელზე დაენთოთ. ამან უდიდესი სიხარული მომანიჭა. ყველა მილოცავდა და უხაროდათ ქართველი დედის გადარჩენა.

ორი წლის განმავლობაში სამსახურში ვერ მოვეწყე, რადგან „ხალხის მტრის“ მეუღლეს იურისტად მუშაობა ეკრძალებოდა. მაგრამ თანაკურსელები დამეხმარნენ და იურისკონსულტაციაში მომაწყეს. მეგობრებს მოვაგონე პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სიტყვები: „იცოდე, სიკეთე უკვალოდ არასოდეს ჰქრება და აუცილებლად დაგიფასდება“.

ნელ–ნელა ცხოვრება თითქოს კალაპოტში ჩადგა. ჩემმა ვაჟმა ქუთაისის ავტოქარხანაში მუშაობა დაიწყო, ხოლო ქალიშვილი სტუდენტი გახდა.

მე ვერის ბაღიდან წასვლა დავაპირე. გალაკტიონმა გამაჩერა და ღიმილით მითხრა, ნინო, 27 წელი კიდევ გაუჩინარდები? მე არ გიშვებ, ამის უფლება მაქვს თუ არა...



– ამის უფლებას გაძლევ, – ვუპასუხე.

შალვას ეჩქარებოდა და დაგვშორდა. როდესაც მარტო დავრჩით, გალაკტიონმა მითხრა – ნინო, ორივესთვის ცხადია, რომ ჩვენ აღარ უნდა დავშორდეთ, რადგან ბედმა ჩვენ ერთმანეთს კვლავ შეგვახვედრა. დარწმუნებული ვარ, რომ ერთმანეთს გავუგებთ.

ბოლოს შემომთავაზა ისე, რომ ჩემი აზრი არ უკითხავს – შენ და ნუნუ ხვალ ჩემთან გადმოდით. შენზე ახლობელს მე ჩემს გვერდით ვერავის ვხედავ, შენ ხომ ჩემი ახალგაზრდობის ნაწილი ხარ, შენი მჯერა.

შემდეგ მთხოვა, წიგნის გამოცემაში დავხმარებოდი. დეტალურად ამიხსნა, რა დახმარება უნდა გამეწია. გამეხარდა, რომ გალაკტიონი იმდენად იყო დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში, რომ თავის ყველაზე უფრო სანუკვარ საქმეს – პოეზიას მაზიარა. გამეცინა და ვუთხარი; რამდენიმე საათის წინ ნინოს არსებობა არც კი გახსოვდა და რას მივაწერო, რომ მთელი გულით მენდე. შენმა შემოთავაზებამ ბედნიერება მაგრძნობინა, მაგრამ ასეთ მცირე დროში ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემთვის მეტად რთულია. ამის მიზეზი ჩემი შვილები არიან. უკანასკნელი ექვსი წელი მე მათთვის დედაც ვიყავი და მამაც. ჩვენ არაჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობა გვაქვს და ახალი ადამიანის მიღება ჩვენს ოჯახში, თუნდაც ეს გალაკტიონი იყოს,

ასე ადვილი არ იქნება. ხვალ ათი დღით ნუნუსთან ერთად ბორჯომში მივემგზავრები. როდესაც დავბრუნდები, ჩვენი პრობლემა მაშინ მოვაგვაროთ.

გალაკტიონს ეწყინა და მითხრა: – შენ განგებ ხომ არ ართულებ გარემოებას? მახსოვს, როგორ შეუბრალებლად მაქციე ზურგი და გაუჩინარდი...

– გეთანხმები, და აი, რატომ: შენი შეყვარება ძალიან ადვილი იყო. მზეჭაბუკს ჰგავდი და უკვე დიდი გალაკტიონი იყავი. ჩვენი ურთიერთობა იმ პერიოდში სერიოზული ვერ იქნებოდა. ჩემს თავს უფლება არ მივეცი გრძნობას ავყოლოდი და შენი ცხოვრებიდან წასვლა ვამჯობინე. რაც შეეხება ჩემს გულგრილობას, რაც შენ მომაწერე, ეს სიმართლეს არ შეეფერება. გახსოვს, შენს იუბილეზე ლამაზი პორტსიგარი რომ მიიღე, რომელზედაც ვარდი იყო ამოტვიფრული, ხოლო მეორე მხარეს ეწერა – დიდ გალაკტიონს. მეგონა მიხვდებოდი, რომ ვარდი სიმბოლო იყო იმ ვარდებისა, რომლებიც თავზე გადმომაყარე სცენაზე.

გალაკტიონი სდუმდა, დიდხანს ხმა არ ამოუღია. ალბათ, ცდილობდა მოეგონებინა, სად და როდის დაკარგა პორტსიგარი. იმდენად შეწუხებული სახე ჰქონდა, რომ მკლავზე ხელი მოვკიდე და ვუთხარი, ნუ დარდობ, ზუსტად ისეთ პორტსიგარს კიდევ შევუკვეთავ.

შემდეგ გალაკტიონი ჩემს მეზობელ ანეტა პეტრიაშვილთან წავიყვანე, რომელთანაც დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. იქ კარგა ხანს დავყავით. ანეტა შესანიშნავი რაჭული ღვინით გაგვიმასპინძლდა, მაგრამ გალაკტიონმა უარი თქვა, რადგან რამდენიმე დღის წინ შეუძლოდ ყოფილა და ექიმმა სასმელის დალევა აუკრძალა.

ათი დღის ნაცვლად ორი კვირის შემდეგ ჩამოვედი. რადგან ჩამოსვლა დავაგვიანე, გალაკტიონი ორჯერ მი-

სულა ანეტასთან და ჩემს შესახებ უთქვამს: მისმა ასეთმა ყურადღებამ ძალიან მასიამოვნაო.

შემდეგ გადავწყვიტე, ჩემი და გალაკტიონის ამბავი ჩემ მეგობარ მარიამ გარიყულისთვის გამენდო და რჩევა მეკითხა (მარიამი და გალაკტიონი მწერალთა სახლში ცხოვრობდნენ). მარიამმა დინჯად მომისმინა და მითხრა – ნინო, წარმოდგენა თუ გაქვს, რა დიდ პასუხისმგებლობას კისრულობ? შენ ნაზი ბუნების ქალი ხარ, ფუფუნებაში ცხოვრებას იყავი მიჩვეული, გქონდა შესანიშნავი, სტუმართმოყვარე ოჯახი... გალაკტიონთან არაფერი ეს არ გექნება. მას რომ ვერ შეეგუო და დაშორდე, ამან შეიძლება პოეტი დეპრესიაში ჩააგდოს.

გამეცინა: შენ მე კი არ მიცავ, გალაკტიონს იცავ ჩემგან. ისეთი როგორი ადამიანია, რომ ვერ გავუგო?

– რას ლაპარაკობ! მის პიროვნებას მე არ ვეხები. პირიქით, ისეთ ბრწყინვალე ადამიანს, როგორიც გალაკტიონია, მე არ შევხვედრივარ. მის შესახებ ერთ ეპიზოდს მოგიყვები და თვითონ განსაჯე, როგორი პიროვნებაა. ჩემი ვაჟი, შალვა, ფრონტზე მიდიოდა. დილით სახლი ახლობლებით იყო სავსე, მათ შორის გალაკტიონიც იყო. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ შვილს რამდენჯერმე წასვლის დრო მოვაგონე. შალვას გოგონა უტანდარი მხიარულად დარბოდა. მაგრამ, როდესაც შალვა წასასვლელად ადგა და დაგვემშვიდობა, უტანდარი მამას კისერზე ჩამოეკიდა, ტიროდა და ეხვეწებოდა, ნუ წახვალო. თითქოს ბავშვი გრძნობდა, რომ მას უკანასკნელად ხედავდა. ეს გულისამაჩუყებელი სურათი იყო. მე ღონემიხდილი ფანჯარასთან დავჯექი და უაზროდ ეზოში ვიყურებოდი, სადაც უეცრად ეტლი შემოგრიალდა, ჩვენს სადარბაზოსთან გაჩერდა და იქიდან გალაკტიონი გადმოვიდა. ზევით რომ

ამოვიდა, გვითხრა – მე და უტა ქალაქში გავისეირნებთ და მალე მოვალთო. როგორც სჩანს, გალაკტიონმა ბავშვის ცრემლებს ვერ გაუძლო და შეეცადა, როგორმე დაემშვიდებინა, გაერთო. გალაკტიონის გარდა ვინ მოიფიქრებდა ამას...

ამ ამბის მოსმენის შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ გალაკტიონის ცხოვრების იდუმალი მოკარნახე მისი სიკეთით ანთებული გული იყო. ასეთმა კეთილშობილურმა საქციელმა საბოლოოდ გაფანტა ჩემი ეჭვები.

გალაკტიონს ჩვენს შესახებ უბის წიგნაკში ეწერა: „ნინო ლამაზი და ჭკვიანი გოგოა. ქმარი დაუპატიმრეს. თავის ორ შვილთან ერთად ნათესავთან ცხოვრობდა. მოვკიდე ხელი და სახლში წამოვიყვანე“.

ასე დაიწყო ჩვენი ოჯახური ცხოვრება. იყო მძიმე დღეები, უძილო ღამეები, მაგრამ ბედნიერი დღეები მაინც ჭარბობდა. 16 წლის მანძილზე არასდროს მინანია, რომ ეს ნაბიჯი გადავდგი.“

* * *

აი, როგორ იგონებდა ნინოს ოჯახის გამოსახლებას პროფ. ნოდარ კაკაბაძე: „ქალბატონი ნინოს მეზობელი ვიყავი და მას კარგად ვიცნობდი. ის გახლდათ დარბაისელი და უაღერსად კეთილშობილი ქალბატონი. ყოველთვის ინარჩუნებდა სიდინჯეს და სიმშვიდეს. ოჯახში მას შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რითაც მთელი ეზოს მაცხოვრებლები სარგებლობდნენ. არასდროს დამავიწყდება ეს შემაძრწუნებელი სურათი: როდესაც მათ რეპრესირებულ ოჯახს – ჩვენი სახლიდან ასახლებდნენ, „ენკავედელები“

ძვირფას წიგნებს ქუჩაში ყრიდნენ და ცინიკურად იღრიჯებოდნენ. ქალბატონ ნინოს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სიამაყის და ღირსების გრძნობა. ის მდუმარედ იდგა".

* * *

ჯერ კიდევ ბევრი უცნობი ფურცელია ამოსაკითხი გალაკტიონის ბიოგრაფიაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ფაქტს. ამ მხრივ ნინოს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი: გალაკტიონი ზომიერი, მშვიდი ცხოვრების შემდეგ მძიმე სულიერ მდგომარეობაში ვარდებოდა , შვიდი–რვა თვე ჩვეულებრივად ცხოვრობდა, დანარჩენი დრო კი მძიმე ავადმყოფობის კლანჭებში ექცეოდა. ეს პროცესი ნელ–ნელა ვითარდებოდა. საჭირო იყო მისთვის რაიმე წაგვეკითხა, გვესაუბრა (მას ჰქონდა მოსმენის უდიდესი კულტურა), რომ როგორმე გადაგვეფიქრებინა „სუფთა ჰაერზე" გასვლა. ის შეუპოვრად ებრძოდა საკუთარ თავს, იმედს არ კარგავდა, რომ დასძლევდა... რა გახდა ასეთი ძლიერი სტრესის ბიძგი? ალბათ, ჩვენთვის ძნელია ვიმსჯელოთ, რას გრძნობდა, რას განიცდიდა იგი... ზოგჯერ უმნიშვნელო ფაქტსაც კი შეიძლებოდა კორექტივები შეეტანა მის ბობოქარ ხასიათში.

ამის საილუსტრაციოდ ნინო ერთ ფაქტს იხსენებს: „ერთ დილას გალაკტიონი მწერალთა კავშირში წავიდა. ამ პერიოდში თავს კარგად გრძნობდა. მითხრა, ახალგაზრდა პოეტებს რაღაც ინცინდენტი მოსვლიათ და მათი საკითხი უნდა განხილულიყო, მთხოვეს, მწერალთა კავშირში მივსულიყავი.

გალაკტიონს სახლში მოსვლა დააგვიანდა. მე რატომღაც ავღელდი. როგორც იქნა, გაისმა გალაკტიონის ჩვეული გაბმული ზარი. კარი გავაღე და მივხვდი, რომ რაღაც უსიამოვნება შეემთხვა. დავიღუპეთ, ნასვამია, – წავჩურჩულე ნუნუს.

გალაკტიონი ოთახში შემოსვლისთანავე სკამზე მოწყვეტილი დაეშვა და თქვა: ნინო, დღეს მწერალთა კავშირში იყო მცდელობა ჩემი განადგურებისა. თავმჯდომარემ ბოროტი თვალებით შემომხედა და გამოაცხადა – რა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს ახალგაზრდებს, როდესაც გალაკტიონს და ჟურულს ხშირად ნასვამ მდგომარეობაში ხედავენო...

მე შეურაცხყოფისგან სუნთქვა შემეკრა და გამოვედი. ფეხით წამოვედი და ვაღიარებ, გაბრაზებულ გულზე ერთ ახალგაზრდა პოეტთან ერთად ორი კათხა ლუდი დავლიე. შემდეგ მათ ჩემი გულისტკივილი გავანდე. ახალგაზრდამ ხელები მხრებზე მომხვია და თავი შუბლზე მომადო. მე გულში ჩავიკარი. მჯერა ახალგაზრდების. ისინი უღალატონი არიან.

ეს დაძაბული მდგომარეობა რომ განემუხტა, ნუნუმ გალაკტიონს მიმართა:

– ბატონო გალაკტიონ, ნებას დამრთავთ, რომ გითხრათ, რა პასუხი უნდა გაგეცათ?

– თქვი, ნუნუ, შენ სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ და ახლაც გინდა გამამხიარულო.

– იცით, თქვენ რა უნდა გეთქვათ? ძამიკო, დალიეთ რამდენიც გსურთ, ამის უფლებას გაძლევთ, მაგრამ მოახერხეთ და დაწერეთ „ლურჯა ცხენები“.

გალაკტიონმა გადაიხარხარა, მე კი გულზე მომეშ-

ვა და დავუმატე, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მოცარტი ვარაუდობს სალიერს და ხელოვნებაში ეს ხაზი მარადიულია.

გალაკტიონი ჩაფიქრებდა შემომხედა და ლექსად მითხრა:

საშინელება, სიბნელე, გესლი,
დემონიური ცეცხლის ჰროფილი.
ბოროტო, სუნთქვა ნუ გამიძნელე,
მადლობელი ვარ, ვარ კმაუოფილი.

ნუნუმ დრო იხელთა და, მისი ყურადღება სხვა საგანზე რომ გადაეტანა, უთხრა: – ერთ რამეს შემოგთავაზებთ. ლიკამ და ლეილამ გურული ღვინო მოგართვეს. არ გავსინჯოთ? ხომ იცით, გურულები ღვინის დაყენების როგორი ოსტატები არიან?

გალაკტიონს თვალები გაუბრწყინდა და მე დამიძახა: – ნინო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები სადილად გურული ღვინო რომ გავსინჯოთ?

– ბრწყინვალე იდეაა!

სუფრის გაშლა რომ დავიწყეთ, გალაკტიონი საბოლოოდ „გალღვა“ და გვეუბნება, ვერაფრით მოვიშორე იმ „ბრალმდებლის“ ბოროტი გამოხედვა, სულ თვალწინ მიდგას. იცით, რა ვქნათ? მინდა ჩემ გვერდით კეთილ სახეებს ვხედავდე. მაშინ იქნებ მოვიშორო იმ ბოროტი თვალების აჩრდილი.

ძალიან გამეხარდა, რადგან უნდოდა თავს როგორმე მორეოდა და ჩემი კარის მეზობლები ლენა კვანტალიანი და მარიამ გარიყულის რძალი, ნადია რატიანი, შემოვიყვანე. გალაკტიონი ფეხზე წამოდგა, ორივეს ხელი მოხვია და მაგიდასთან დასვა. პირველი ჭიქა ტრადიციულად გახსენ-

ება იყო. გაიხსენა ოლია, ჩემი მეუღლე დავითი, ტიციანი. მათი თამადობით ყველა ისინი – „უდანაშაულო დამნაშავენი", რომლებიც 37 წელს შეეწირნენ. ასე ნელ–ნელა, ერთიანი ძალით, შევძელით გალაკტიონის დამშვიდება. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ დავიშალეთ. მე დიდი მადლობა მოვუხადე ჩვენი ოჯახის ერთგულ ქალებს."

მწერალთა კავშირის კულუარებში კი შეიძლება ყური მოგეკრათ მსგავსი დიალოგისთვის: **კოლაუ ნადირაძე: – გალაკტიონი გიჟია! მისი ლექსების უმრავლესობა არანორმალურია. ხალვაში: – თქვენ ამტკიცებთ, რომ იგი გიჟია? მეც ასე ვფიქრობ, დიახ, გიჟია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ გიჟმა ახალი პოეზია შექმნა! კონსტანტინე გამსახურდია: - ქართველი ხალხი ამაყობს თავისი სამი გენიოსით - რუსთაველით, ვაჟა-ფშაველათი, გალაკტიონით. ხანდახან მიფიქრია, რომ ისეთ ლექსს ვერც ერთი დაწერდა, როგორსაც წერდა გალაკტიონი. იგი ლექსის ვირტუოზი იყო. გალაკტიონი: –პოეტი რომ მოკლა, ტყვია არ არის საჭირო. მას სიტყვა კლავს და სიტყვა აცოცხლებს.**

ძალზე საგულისხმოა ნინოს სიტყვები: „სიტყვის ძალა გალაკტიონის მრწამსია. ის პოეზიით ცოცხლობდა და სუნთქავდა. იქ, იმ „ღვთიურ სამყაროში", გრძნობდა თავს თავისუფლად და ლაღად. სტანჯავდა და აბნევდა ყოველდღიურობა, ამიტომ ჩანდა ასეთი უცნაური და გაუგებარი, ასეთი რთული – აქ, დედამიწაზე."

* * *

პოეტების მეფემ შემოქმედებაში ზღვის თემატიკას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო, მისთვის „ფირუზისფერი ტყის და ნაპირის“ აფხაზეთი პოეტური შთაგონების წყარო იყო, რამაც შესანიშნავი ლექსები დააწერინა.


გალაკტიონი აფხაზეთთან გენეტიკურად იყო დაკავშირებული და სიამაყით აცხადებდა: „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების, შერვაშიძეთა გვარიდან. ჩემი დიდი დედის, გურული ქალის, ბერიძის დედა შერვაშიძის ასული იყო. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი – აფხაზის, გურულისა და იმერლის“

აფხაზეთის სიყვარულით გალაკტიონმა სოხუმში, ფუნიკულიორთან ახლოს, მაღლობზე, ორსართულიანი სახლი აიშენა, რათა ხანდახან იქ ჩასულიყო და ზღვით დამტკბარიყო.

გალაკტიონს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სახალხო პოეტ დიმიტრი გულიასთან. გალაკტიონი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ დ. გულიამ მისი სათაყვანებელი „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ენაზე თარგმნა.

მაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც გალაკტიონის დიდბუნებოვან ადამიანობაზე მეტყველებს. გალაკტიონი და ნინო სოხუმში უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ მოულოდნელად ნინოს ძმა ჩამოუვიდა. გალაკტიონს სოხუმში მე გავყევი, რადგან მას იქ საქმიანი შეხვედრა ჰქონდა დანიშნული და აუცილებლად უნდა ჩასულიყო.

სოხუმის სახლში რომ მივედით, ბუნებრივია, ყველა ფანჯარა და კარები გასანიავებლად გავაღე. ჩვენ მისაღებ



ნუნუ ებანოიძე, ნინო კვირიკაძე და გალაკტიონი სოხუმში

ოთახში ვისხედით. მოულოდნელად ღია კარებში ბავშვები შემოცვივდნენ, ოთახებში სირბილი დაიწყეს და გაუთავებლად ხმაურობდნენ. ვიცოდი, გალაკტიონს ხმაური სასტიკად ღლიდა. შევწუხდი და კარების დახურვა დავაპირე, მაგრამ გალაკტიონი მაშინვე წინ გადამეღობა და ნება არ დამრთო, კარები დამეხურა, ნუნა, – მითხრა, – გამიგე, ეს ბავშვები „ბარაკებში" ცხოვრობენ. წარმოიდგინე, რომ ამ ლამაზ, თეთრ სახლს აღტაცებით უყურებენ და მათ წარმოდგენაში ეს სახლი სასახლეა. ჩვენ რომ ახლა ისინი აქედან დავითხოვოთ, ვიცი, საკუთარ თავთან კონფლიქტი მომივა და ვერ მოვისვენებ. ამიტომ ასე მოვიქცეთ: ეს ბავშვები მაღაზიაში წაიყვანე და ტკბილეული უყიდე. მაგრამ, ვფიქრობ, ამ პრობლემას მარტო მე და შენ ვერ მოვერევით. დროებით სასტუმრო „აფხაზეთში" გადავიდეთ

და ნინოს იქ დაველოდოთ. დარწმუნებული ვარ, ნინო ამ საკითხს ბავშვების მშობლებთან უპრობლემოდ მოაგვარებს. ნინო კვირიკაძეს რად უნდოდა იურიდიულის დამთავრება, კვირიკაძეები, ყველა, ისედაც იურისტები არიან, – ხუმრობით დაუმატა.

დაუჯერებელია, არა? მაგრამ, ეს ხომ გალაკტიონია?! მისი ფილოსოფიური კრედოა ადამიანების მიმართ უაღრესად ფაქიზი დამოკიდებულება. იგი ყოველთვის ცდილობს, გული არავის ატკინოს. კეთილშობილება, განუზომელი სიკეთე – აი, ის უზადო თვისებები, რაც მას დონ კიხოტთან აახლოვებს.

ამის ილუსტრაციაა სესილია კალანდაძის ნაამბობი: „მამაჩემი, შიო მღვიმელი, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი ახლო მეგობრები იყვნენ. ყველანი შეჭირვებულად ცხოვრობდნენ – ერთმანეთისგან თითო მანეთს სესხულობდნენ. გალაკტიონი კარგად მახსოვს, საოცრად გულჩვილი კაცი იყო. ერთხელ აღდგომა დღეს გვესტუმრა. საუბრისას ერთ–ერთი სტუმარი აუხირდა, ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გალაკტიონმა იტირა.“


გალაკტიონი დიდხანს უპალტოოდ დადიოდა, სიცივისგან იყინებოდა. როგორც იქნა, ძლივს იყიდა პალტო. გავიდა კვირა და რას ვხედავთ! გალაკტიონი ისევ აკანკალებული მოვიდა ჩვენთან. დედაჩემს ელდა ეცა – რა უყავი პალტო, გალაკტიონ? – ჰკითხა.

გზაში მათხოვარი შეხვედრია, შებრალებია, პალტო გაუხდია და მისთვის უჩუქებია!

* * *

ნინო იხსენებს: „გალაკტიონს მარტო მუშაობა არ უყვარდა, ამიტომ კაბინეტიდან არ გამოვდიოდი. ზოგჯერ შუადღემდე ჩაის დალევასაც ვერ ვახერხებდი, რადგან ვეხმარებოდი – ლექსების სიას ვუდგენდი, ვუბეჭდავდი, ვუთარგმნიდი... ამგვარი თხოვნით ხშირად მომმართავდა – ნინო, გთხოვ, ნახე ეს სიტყვა ბროქჰაუზის ენციკლოპედიაში, ან რა კონტექსტში მაქვს ნახმარი ესა თუ ის სიტყვა და ა.შ. ამ მუშაობის დროს „მექანიკური თანაშემწე“ ნამდვილად სჭირდებოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, ისე ბროქჰაუზის ენციკლოპედიაც გალაკტიონს სასთუმალთან ედო. გალაკტიონს ასეთი ჩვევა ჰქონდა: თუ შეწყვეტდა მუშაობას, უკან აღარ უბრუნდებოდა. ამიტომ მე კაბინეტში ვრჩებოდი და გალაკტიონი იძულებული იყო, მუშაობა განეგრძო; ან ამდენ საქმეს მარტო როგორ გაართმევდა თავს? ხანდახან ერთი ფურცლის პოვნას საათები ეწირებოდა და გალაკტიონი როგორი მადლიერი იყო ჩემი, როდესაც დიდი ხნის ძებნის შემდეგ საჭირო ფურცელს მივაგნებდი. მას, რომელსაც ახასიათებდა გულგრილობა მოვლენების



მიმართ, მხოლოდ და მხოლოდ თავისი საქმე აღელვებდა. ასეთი მდიდარი არქივი არავის ექნება – მარტო ექვსასამდე უბის წიგნაკია.

როდესაც გალაკტიონი მუშაობას იწყებდა, არ სურდა ამ განწყობილებიდან რაიმე სხვაზე გადართვა, თუნდაც ეს ქუჩის ხმაური ყოფილიყო. მას უყვარდა წერის დროს რომანტიკული გარემოს შექმნა: ხანდახან დარაბებს დახურავდა და სანთლის შუქზე წერდა. მუშაობის დროს ოთახში აქეთ–იქით დადიოდა, საკუთარ თავს უსმენდა, საჭირო სიტყვას ბუტბუტით ეძებდა. მას ეძინა მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალზე იღლებოდა, მიუხედავად იმისა, დღე იყო თუ ღამე.

თექვსმეტი წლის განმავლობაში პოეტის თითქმის ყველა ლექსი ჩემ თვალწინ იქმნებოდა. როდესაც წიგნზე მუშაობას იწყებდა, მას ჰქონდა ძალთა მომენტალური მობილიზაციის უნარი; იგი განუწყვეტლივ ფიქრობდა. მას სავსებით აკმაყოფილებდა საკუთარი სამყარო, მის იქით არაფერს ეძიებდა. სიტყვებთან ჭიდილს საათებს ანდომებდა. ამიტომ მისი ლექსიკონიდან სიტყვა „მოწყენილობა" ამოღებული იყო – მუშაობა არასოდეს სწყინდებოდა. აზრები, სიტყვები – აი, ეს იყო გალაკტიონის პოეტური გარემო.

ერთხელ წიგნს გამოსაცემად ვამზადებდით და გვეჩქარებოდა. თითქმის მთელი დღე კაბინეტიდან არ გამოვსულვართ. სულ ბოდიშს მიხდიდა, რადგან გალაკტიონი წარმოუდგენლად მორიდებული ადამიანი იყო და ჩემიც კი ერიდებოდა, საათობით კაბინეტში რომ მაჩერებდა. ლექსს რომ დაწერდა, წამიკითხავდა და ზოგჯერ მეტყოდა: შენგან არ მიკვირს, ნინო? ამაზე უკეთეს საქმეს რას გააკეთებ საქართველოსთვის? – ეხმარები სახალხო პოეტს!



იმ დღეს ბევრი ვიმუშავეთ და ხუმრობით ვუთხარი, – მახსოვს პირველივე შეხვედრისას რომ მითხარი, „ნინო, წიგნზე მუშაობის დროს უნდა დამეხმარო“. და კიდეც შეასრულე, კაბინეტიდან არ მიშვებ, – ხმამაღლა გამეცინა, გალაკტიონიც ამყვა.

პოეტს შთაგონება როდესაც ეწვეოდა, წერდა ყველგან და ყველაფერზე – ბაღში, კაფეში, თეატრში, სიგარეტის კოლოფზე, ხელსახოცზე... ერთხელ, სოხუმში ყოფნისას კაფეში ხელსახოცზე დაწერილი ლექსი დარჩა, რომელიც იქაურმა მსახიობებმა იპოვეს და მეორე დღეს გალაკტიონს ზეპირად შეაგებეს. მგოსანს ძალიან ესიამოვნა.

ერთ დილას გალაკტიონი ლოჯიიდან მეძახდა. მივედი და მეუბნება – მოუსმინე! ბავშვები ტირიან: „დედა, დედა, თვალები გაახილე“ ბავშვები ძალიან პატარები იყვნენ და ბინის კარების გაღება არ შეეძლოთ, ამიტომ შეშფოთებულმა გალაკტიონმა ლოჯიის კარის საკეტი გატეხა. როდესაც ოთახში შევედით, დავინახეთ, რომ ახალგაზრდა ქალი საწოლზე გრძნობადაკარგული იწვა. „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. ეს ქალბატონი ლენა კვანტალ აღმოჩნდა იანი, რამდენიმე წლის წინ წაღვერში ერთად ვისვენებდით. მე არ ვიცოდი, რომ ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ამან ძალიან გამახარა. ჩვენს ბინებს სხვადასხვა სადარბაზო ჰქონდათ, ხოლო ჩარაზული ლოჯიები გვერდი-გვერდ იყო.

მეორე დღეს გალაკტიონმა მითხრა: – ნინო, კარგი იქნებოდა, ჩვენს ბინებს შორის მდებარე ლოჯიების კარები დაკეტილი არ იყოს. ნათქვამია, კარგი მეზობელი ზოგჯერ ნათესავზე უკეთესიაო.

ჩემს მეზობლებს გალაკტიონის შეთავაზება რომ ვუთხარი, ძალიან გაუხარდათ. ამის შემდეგ ლოჯიის კარები აღარ ჩაკეტილა და თითქმის ერთ ოჯახად ვცხოვრობ-

დით. გალაკტიონს კრიზისულ მდგომარეობაში ჩვევად რომ ჰქონოდა ხმაური, შფოთვა, აგრესიულობა, მეზობლები როგორღა დათანხმდებოდნენ ჩვენს ერთ ოჯახად, ღია კარში ცხოვრებას?! ეს ეპიზოდი იმიტომ გავიხსენე, რომ, როდესაც გალაკტიონის ხასიათის დადებით თვისებებზე მივუთითებდი, მავანნი და მავანნი ირონიულად მეკითხებოდნენ: როგორ უძლებ გალაკტიონს? ან – მართალია, რომ პოეტი მხოლოდ ნასვამი წერს? მე მოკლედ ვპასუხობდი: გალაკტიონი ნასვამი სამუშაო ოთახში არც შედის და ლექსებსაც მთვრალ მდგომარეობაში არასდროს წერს-მეთქი.

რატომ არის დაუჯერებელი, რომ გალაკტიონს თავისი მშვიდი, გაწონასწორებული და უაღრესად კეთილი ბუნება არ ღალატობდა კრიზისულ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც? ეს უაზრო კითხვები საშინლად მაღიზიანებდა. შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ გალაკტიონის ხასიათს მეტად შელამაზებულად ვხატავ, მაგრამ, როდესაც მასზე მესაუბრებიან, იგრძნობა, რომ გალაკტიონს, როგორც პოეტს, კერპად მიიჩნევენ, მაგრამ სრულიად მცდარი შეხედულება აქვთ მის პიროვნებაზე, რაც მათი ფანტაზიის ნაყოფია და რეალურ გალაკტიონთან საერთო არაფერი აქვს.

როდესაც გალაკტიონის კრიზისული მდგომარეობა დიდხანს გრძელდებოდა და პიკს აღწევდა, რასაკვირველია, ყველაზე მძიმე იყო უძილო ღამეები, რადგან თვითონ რომ ვერ იძინებდა, განუწყვეტლივ მესაუბრებოდა" – ამთავრებს მოგონებას ნინო.

* * *

ახლა ჩემს მოგონებას მოგახსენებთ: გალაკტიონი ავადმყოფობას დიდხანს რომ ვერ ერეოდა, „სცენარი“ კარდინალურად იცვლებოდა.

გამოვდივართ „სუფთა ჰაერზე“ ძალიან ახლოს სახლთან არის ლუდის ბარი. გალაკტიონი მეუბნება:

– ყელი მიხმება, ხომ არ გეწყინება, ერთი კათხა ლუდი რომ გადავკრა?

ერთ კათხას მოყვება მეორე, მეორეს მესამე და ა. შ. მე დავდივარ პლეხანოვზე და ველოდები. როდესაც ძალიან დავიღალე, ვიფიქრე, ჩავაცივდები, რომ წამოვიდეს და იქნებ გამომყვეს-მეთქი. ვეუბნები:

– ბატონო გალაკტიონ, წამობრძანდით რა.

კათხას გადადებს გვერდით და ხმამაღლა ამბობს:

– ვინ არის ეს ქალი? ქალბატონო, რატომ აძლევთ თავს უფლებას, მყუდროება დაურღვიოთ სახალხო პოეტს?

ქომაგები:

– ქალბატონო, რას აშავებს? დგას თავისთვის წყნარად და ლუდს მიირთმევს.

ქომაგებს არ ვპასუხობ. მივუახლოვდი გალაკტიონს და ჩუმად ვეუბნები:

– სახალხო პოეტო, გტოვებ!

და ნელა მოვდივარ ბარიდან.

ცოტა ხნის შემდეგ გაისმა გალაკტიონის ძლიერი



ბარიტონი: „ნუნა“. მე გამოვიქეცი. ან სად ვიყავი წამსვლელი. ძალიან გაკვირვებული სახით შემხედა.

– გოგონიჩკა, გეწყინა? მე ხომ გეხუმრე.

– არა, გოგონიჩკას არ წყენია, გოგონიჩკა მიხვდა, რომ ეხუმრე.

ხელი მოვკიდე და ვეუბნები:

– ახლა, ბატონო გალაკტიონ, ხომ არ აგველო გეზი 4 ნომრისაკენ?

– ნუ, რა გაეწყობა... თუ გარემოება მოითხოვს, უნდა დავემორჩილოთ...

გალაკტიონი ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან და ამიტომ დედამ მთხოვა, მას პოეზიის საღამოზე წავყოლოდი. მშვენიერი საღამო ჩატარდა. პოეტებმა შესანიშნავი ლექსები წაიკითხეს; მოხსენებები საინტერესო იყო. გალაკტიონი სიამოვნებით უსმენდა, მაგრამ, რატომღაც, ერთი პოეტის მოხსენება არ მოეწონა და საკმაოდ ხმამაღლა მითხრა: ნუნა, რას ამბობს, გესმის? აი, ტიპიური დიდყურა ვირი!

ასეთი უცნაური საქციელი ახასიათებდა პოეტს მხოლოდ ეიფორიულ მდგომარეობაში.

გალაკტიონის შესახებ მცდარმა წარმოდგენამ ნინოს გადააწყვეტინა სიმართლე დაეწერა გენიალურ პოეტზე და მითხრა, – მე და შენ რომ გალაკტიონს ვიცნობთ, ისე არავინ. ჩვენ ვალდებულება გვაკისრია გალაკტიონის წინაშე, თუნდაც შენ, რომელსაც შვილი გაგიზარდა და უაღრესად კეთილი იყო შენ მიმართ. ამიტომ უნდა დამეხმარო ნამდვილი გალაკტიონის სახის წარმოჩენაში.

გალაკტიონს ჰქონდა არაჩვეულებრივი ხიბლი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხიბლი მისი უბრალოების, კაცთმოყვარეობის, წყნარი ხასიათის საწ-

ინდარი იყო. ჩემმა ძმამ დუთუმ გვიამბო: „მე და გალაკტიონი კოჯორში მივდიოდით. გაზეთებს ვათვლიერებდი, წავიკითხე ინფორმაცია ბერიას დაპატიმრების შესახებ. ეს ამბავი მაშინვე გალაკტიონს ვუთხარი და გაზეთი მივაწოდე. მან მძღოლს მანქანის გაჩერება სთხოვა, გადავიდა და ეს ინფორმაცია ხმამაღლა წაიკითხა. მანქანაში რომ ჩაჯდა, თქვა – აბა, მაგას რა ეგონა, შერჩებოდა?!

ეს იყო მთელი მისი აგრესია, მას სხვანაირს ვერავინ და ვერაფერი გახდიდა. როგორც თვითონ იტყოდა, ვერც ერთი ჩემი მტერი ვერ მაიძულებს, კაცთმოძულე გავხდე. ძალიან აღელვებული კი ჩანდა. სახლში რომ მივედით, სადილზე უარი თქვა და გავიფიქრე, ალბათ, მოგონებები სტანჯავდა.

– ადამიანს ცხოველისაგან რწმენა განასხვავებს... ჯალათს განა აქვს რწმენა? – აღშფოთებით თქვა, – მაგან ტიციანი ფიზიკურად გაანადგურა, მაგრამ პოეტს რას მოერეოდა?! მომავალი თაობები ტიციანს ყოველთვის სიყვარულით და სიამაყით მოიგონებენ.

ნინო იგონებდა: „გალაკტიონი ოჯახში სრულიად შეუმჩნეველი იყო. ყოფიერება მას სრულიად არ ეხებოდა. არაფრის მოთხოვნილება არ ჰქონდა – ისიც კი უნდა შეგეხსენებინა, რომ ჭამის დრო იყო. გალაკტიონი ყოველთვის დიდ ანგარიშს მიწევდა, ამიტომ, როდესაც უწყვეტი რეფრენის ფორმით ავადმყოფობა უბრუნდებოდა, საშინლად იტანჯებოდა – ჩემი ერიდებოდა. ამ პერიოდში საუზმე ძალიან უჭირდა. როდესაც მაგიდასთან დავსხდებოდით, გალაკტიონი პურს და ყველს აიღებდა, ადგებოდა და სიარულს იწყებდა. ამ სიარულის დროს ჩემს დასანახად თითქოს ჭამდა, მაგრამ პური და ყველი ბავშვივით მუჭებში ჰქონდა დაგროვილი და ამბობდა – გაწვალებთ, ხომ? გტანჯავთ,

ხომ? მეც რომ ვიტანჯები? რამდენჯერ აღმოხდენია გალაკტიონს ეს სასოწარკვეთილი სიტყვები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან. ამ პერიოდში ოჯახური ცხოვრების რიტმი ძირეულად ირღვეოდა. როდესაც სმას იწყებდა, ჩემთვის რომ ესიამოვნებინა, სხვადასხვა ლექსით მომმართავდა. ხშირად უყვარდა ერთი უცნობი ავტორის ლექსის საკუთარი თარგმანის ციტირება სახელი „ნინოს" ჩანაცვლებით:

თუმც დაილია ვარსკვლავი ჩემი,
თუმც დაილია ცისფერი ღვინო,
ნუგეშისმცემი უკანასკნელი
ერთადერთი ხარ შენ მაინც, ნინო.

ახლა ისევ მე ვაგრძელებ თხრობას – ნუნუ: გალაკტიონს როდესაც კრიზისი ეწყებოდა, უნივერსიტეტში დამირეკავდა და მთხოვდა – გრიპი მეწყება, აქა და აქ ვარ, მოდი და სახლში წამიყვანეო. მე ვიცოდი, რომ ეს ავადმყოფობა „გრიპი" არ იყო. მეც მივდიოდი და მომყავდა. გალაკტიონი ცდილობდა ჩემთან ერთად მოსულიყო სახლში, რადგან თავისი „სისუსტის" გამო პირველ დღეებში ნინოსი ძალიან ერიდებოდა. მან იცოდა, რომ ეს ნინოსთვის სიკვდილის ტოლფასი იყო.

მე და დედა ვცდილობდით ყოველმხრივ შეგვეწყო მისთვის ხელი. გალაკტიონი არავისთან ისე თავისუფლად არ გრძნობდა თავს, როგორც ჩვენთან – ამის შესახებ არაერთხელ უთქვამს. ჩვენთან იყო გულგახსნილი, მშვიდი და გვენდობოდა – ის იშვიათად ენდობოდა ვინმეს.

ეიფორიულ მდგომარეობაში გალაკტიონი ხშირად იგონებდა იმ უმძიმეს 37 წელს. მის ნაამბობში სინამდვილე და ფანტაზია ერთმანეთში ირეოდა. ის „პოეზიად ხდიდა ჩვენი

დროების პროზას" ერთი რამ უტყუარია – გალაკტიონმა ამ პერიოდში გადატანილ სულიერ ტკივილს წლების მანძილზე თავი ვერ დააღწია.

ლანდები ცვიან აყრუებენ ფიალებს,
სივრცეა მაღალი და სულის ტკეპნა.

გალაკტიონის ცხოვრებაში შესუსტდა მისი პოეტური ენერგია, სისხლმა და ძარღვებმა შეიგრძნო ავადმყოფური შიშის სიმძაფრე, ეუფლება კრთომა და უძლურება ამოუცნობი დემონის წინაშე, რომელიც შთანთქავს მისთვის უძვირფასეს ადამიანებს. მის წარმოსახვაში ხშირად ჩნდება ილუზიები.

ღამეა. სახლში ბრუნდება. სადარბაზოსთან ხედავს ლანდს... ხედავს, თუ როგორც იქმნება ილუზია მთვარის შუქზე... სირბილით მტკვრისკენ ეშვება. გადის საათი, ორი, სამი... სახლში ბრუნდება – ლანდი აღარ ჩანს. ფრთხილად აღებს კარს და იქვე, დერეფანში, სკამზე ჯდება. სმენა დაძაბული აქვს.



– ვიღაც ამოდის კიბეზე, ნამდვილად მესმის ნაბიჯების ხმა, – თავისთვის ამბობს. თავს ძალას ატანს და კარს აღებს. იქ არავინაა.

– დღეს გადავრჩი, მგონი. მე არც წარსულის და არც მომავლის არ მეშინია, – და თავის სიტყვებზე მწარედ ეცინება.

გალაკტიონს ქალაქგარეთ ხეტიალი, ბუნების წიაღში ყოფნა უყვარდა. აისზე, მზის

ამოსვლისას, მიდიოდა მთებში, მინდორ–ველებში, ტყეში, რომ ენახა, როგორ იღვიძებდა ბუნება.

ოჯახის მეგობარი დავით გეგეშიძე გალაკტიონს ასე ახასიათებდა: „ღმერთის რჩეული გალაკტიონი ქარიზმატული პიროვნება იყო. ამის დადასტურებაა ბუნებრივი მოვლენების, სტიქიის (მზის ამოსვლა, ქარიშხალი, სეტყვა, წვიმის თქეში, ზღვის უკიდეგანო სივრცე, მზის ჩასვლის საოცარი სიდიადე, მწუხრის სიმშვენიერე, ელვა, ქუხილი და ა.შ.) დროს მისი უჩვეულო აბობოქრების, უზომო აღტკინების, თვალნათლივი გარდასახვის ფაქტები. ამით ზებუნებრივი ძალების ნაწილის – გალაკტიონის, თავის საწყისში გადასვლა სახიერდებოდა, რაც მუზასთან შეყრის ფიზიკური გამოხატულება იყო".

აღნიშნულს თვითმხილველთა მონათხრობი ადასტურებს.

ნინოს მოგონებიდან: – „სოხუმში, სასტუმრო „აფხაზეთში" დასვენების დროს, შუაღამისას საშინელი ქარი ამოვარდა. თვალისმომჭრელ ელვას და გამაყრუებელ ქუხილს კოკისპირული წვიმა ახლდა. თითქოს ცა და დედამიწა შეერთდა. ზღვის უზარმაზარი ტალღები ეხეთქებოდნენ ნაპირს და ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდნენ.

სტიქიის ამ ორომტრიალს საოცრად აბობოქრებული გალაკტიონი ღია აივნიდან შეუერთდა. ფაფარაშლილი ლომივით, ზეცისკენ აპყრობილი ხელებით და ფართოდ გახელილი, სიხარულის სხივით ანთებული თვალებით, მთელი ხმით შესძახოდა არსთა გამგებელს:

– ო–ჰო–ჰოჰოოო!!! – თითქოს შეუერთდა სტიქიას, ერთმანეთს ერწყმოდა ციდან მეხის ქუხილი და პოეტის გულიდან ვულკანივით ამოხეთქილი გრძნობის ქარიშხ-

ალი, თითქოს ზეცა უხმობდა თავისკენ და პოეტის სულიც მისკენ მიისწრაფოდა.

შეშფოთებულმა ჩემი ნათესავი გავაღვიძე – მიშველე, გალაკტიონს ვერ ვიმორჩილებ-მეთქი. მხოლოდ სტიქიასთან ერთად დაცხრა გალაკტიონის პოეტური მღელვარება და სრულიად სველი, მაგრამ დამშვიდებული შევიყვანეთ ოთახში."

პოეტი ალეკო შენგელია იგონებს: „ერთხელ, გაზაფხულზე, წყნეთში მზის ამოსვლის სანახავად ადრე დილით, თითქმის გათენებამდე, ტყის ბილიკს ავყევი. უეცრად, ცოტა მოშორებით, დავინახე, ვიღაც მაღლა როგორ მობობღავდა. მაღლობს ის–ის იყო მზის პირველი სხივები ეპარებოდა, რომ ჩემს სმენას უჩვეულო შეძახილი მოსწვდა:

– ეჰე–ჰე–იიი!!! – შევცბი, წინ წავედი და ტოტებს ამოვეფარე. მაღლობზე უცნობი იდგა. მალე მზეც ამოვიდა და მისი სხივები უცნობს თავზე გვირგვინად დაედგა. ეს გალაკტიონი იყო.

– ეჰე–ჰე–იიი!!! – ისევ შესძახა გალაკტიონმა ამ მარადიულ საოცრებას და ხელები წინ ისე გაიშვირა, თითქოს მზეს თავისკენ უხმობსო. გაოგნებული ვიდექი და ვგრძნობდი რაღაც დიადს, განუმეორებელს, ახალი ლექსის დაბადებას.... მას შემდეგ ბევრჯერ შემხვედრია გალაკტიონი, მაგრამ ერთხელაც არ დამცდენია სიტყვა, რაც მაშინ ვნახე. ეს ამბავი მარტო მას ეკუთვნოდა."

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირებულია ვინმე მერძევე ქალის მონათხრობში: წყნეთში, სოფლის გზაზე გამოსულს, პოეტის ეზოსთან ჩაუვლია. გალაკტიონი მარტოდმარტო მდგარა. მთებიდან ნელ–ნელა ამოდიოდა დიდი, ნათელი ბურთი. პოეტი მას შეჰყურებდა და უეცრად, ხელგაშვერილს, უჩვეულო ხმით შეუძახია – მზე!!!



ქალი ამ სურათს შეუძრავს.

ეს ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ გალაკტიონს ჰქონდა მეექვსე გრძნობა, რომლის საშუალებითაც იგი ესიტყვებოდა, კავშირს ამყარებდა ზებუნებრივთან, კოსმიურთან. რასაკვირველია, ეს კავშირი ქარიზმატულობით ხასიათდებოდა. ეს საიდუმლო კავშირი გალაკტიონის საკუთრება იყო.

კიდევ ერთ ანალოგიურ შემთხვევას გავიხსენებ მის მეგობარ ნიკა აგიაშვილის მონაყოლიდან: – „ჭყვიშში ჩასულებმა ვახშმობა გვიან დავამთავრეთ და, რასაკვირველია, ღვინის დალევა ცოტა მეტი მოგვივიდა. დილით, ნაბახუსევზე, ადრე ავდექი და ეზოში გამოვედი. შევნიშნე, გალაკტიონი სახლის უკან მიდიოდა. საკმაო დრო გავიდა. გალაკტიონი არ ჩანდა და ეზოში გავაკითხე, სადაც საოცრებას წავაწყდი – გალაკტიონი თავის ბავშვობის „მეგობრებს“, უკვე წამოზრდილ ხეებს კოცნიდა, ეხვეოდა და ესაუბრებოდა.“

გალაკტიონს სჯეროდა რიცხვთა მაგიისა; ერთხელ აღნიშნა – ჩვენთვის, მწერლებისთვის, მოუციათ დიდებული ხელოვნების სასახლე, მხოლოდ ძლიერ მაფიქრებს, რომ ამ სასახლის ნომერი არის 13.

აი, როგორ ახასიათებს ნინო თავის მეუღლეს: „გალაკტიონი საოცრად მშვიდი და უწყინარი ხასიათისაა, ბავშ-

ვივით მიმნდობი, მაგრამ, როდესაც საქმე მის შემოქმედებას ეხება, იგი უაღრესად პრინციპულია. გალაკტიონს სულ პატარა მიზეზიც გულის სიღრმემდე შეძრავს, ააღელვებს, ააბობოქრებს. მისი მოუსვენარი გული, მშფოთვარე სული ჭეშმარიტად გაუნელებელი ცეცხლით იწვის. ის პოეზიის ტრფიალია, თავისებურად, გალაკტიონისებურად, საოცრად ემოციურად განიცდის პოეზიის ბედს. გალაკტიონის დაუოკებელი სულიერი განწყობილება არასოდეს აისახება მის ხასიათში; მასზე ვერ იტყვი – „ცუდ ხასიათზეა, გავერიდოთო“ იგი თანაბარია, უაღრესად თავაზიანია და აქვს მოთმინების უდიდესი უნარი (მხოლოდ თავის საქმეში – არა); გააჩნია თანდაყოლილი დელიკატურობა და სათნოება; არის უაღრესად თბილი, სიტყვატკბილი და ღვთისნიერი. მის გვერდით ყველა თავს თავისუფლად გრძნობს.

გალაკტიონი გამუდმებით ფიქრობს. მუშაობს თუ ფიქრობს – ყოველთვის სავსეა, არასდროს იფიტება. ის გრძნობს თავის სიდიადეს. ამას ყოველთვის ამჟღავნებს და სამართლიანადაც ამაყობს თავისი სწორუპოვარი პოეტობით; პოეზიას ყველაფერზე მაღლა აყენებს.“

გალაკტიონი ყოველთვის ეწეოდა პაპიროს „ყაზბეგს“.

– ნინო, „ყაზბეგი“ გამითავდა, უნდა წავიდე და ვიყიდო, – იტყოდა ხოლმე. რა მოჰყვებოდა მის გარეთ გასვლას, კარგად ვიცოდით...

– აქ არ არის ნუნუ? წავა და მოგიტანს, – პასუხობდა ნინო.

– არა, ნუნუს როგორ შევაწუხებ ამაზე, – ესეც გალაკტიონის ზედმეტი თავაზიანობის გამოვლინება იყო.

მე შევდიოდი ოთახში და ვეტყოდი – კარგი რა, ბატონო გალაკტიონ, რას ლაპარაკობთ, როგორ! მე თქვენ პაპიროსის საყიდლად გაგიშვებთ?!

ეს „მიზანსცენა" ხშირად მეორდებოდა.

გალაკტიონი იყო განსაკუთრებული ხასიათის კაცი, ნამდვილი ჯენტლმენი. ჩემთვის ის იყო უსაყვარლესი ადამიანი, პატარა წყენაც არ მახსოვს მისგან და ყოველთვის ვცდილობდი, როგორც კი შემეძლო, მისთვის მესიამოვნებინა. ბევრჯერ ყოფილა, ღამე გავუღვიძებივარ და უთხოვია ქუჩაში გავყოლოდი. მე უარი არასდროს მითქვამს. არ ვივიწყებდი, რომ ბატონი გალაკტიონი გენიოსია და ჩვეულებრივი ადამიანის ქცევის ნორმებით ვერ იფარგლებოდა.

ნინოს მონათხრობიდან: – „ცხოვრების მძიმე პერიოდში გალაკტიონის გვერდით უდრტვინველად ვიტანდი ბევრ გაჭირვებას და მთელი ძალ–ღონით გალაკტიონის დეპრესიული მდგომარეობის შემსუბუქებას ვცდილობდი. ამ ხნის მანძილზე არც ჩივილი დამცდენია და არც საყვედური . როდესაც გალაკტიონი ეიფორიულ მდგომარეობაში იყო, არ მინდოდა შეემჩნია, რასაც განვიცდიდი. მაგრამ იმდენად კარგად მიცნობდა, რომ ვერაფერს გამოვაპარებდი. ის ყოველივეს ხედავდა და ყოველთვის ცდილობდა, კარგ ხასიათზე ვყოფილიყავი. ხშირად მეხუმრებოდა და ამდაგვარ კალამბურს მეუბნებოდა:

ისა სჯობია, ძვირფასო ნინო,
ყვავს რომ კაკალი გააგდებინო.

ანდა საქებარ სიტყვებს მეტყოდა – ნინო, შესანიშნავი ქალი ხარ და იცი, რაში გამოიხატება ეს? პირველი – სხვა ქალების მსგავსად არ გჩვევია ისტერიული გამოხტომები; მეორე – ფლობ გულგრილობის თავისუფლებას იმ მოვლენების მიმართ, რომლებსაც იცი, რომ ვერ შეცვლი; მესამე – ხარ ნახევრად პოეტი ქალი, გახასიათებს ფილოსოფიური სიდინჯე, არ ჩქარობ განაჩენი გამოუტანო სახალხო პოეტს!" – დაამთავრა მოგონება ნინომ.

ერთხელ გალაკტიონის მკურნალ ექიმს ვკითხე – გალაკტიონი ნასვამ მდგომარეობაში ოდნავადაც არ ხდება აგრესიული, ეს რით აიხსნება?

და იცით, რა მიპასუხა? – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალიან ჯანმრთელი ორგანიზმი აქვს, მეორეც – გულკეთილია. ვისაც შინაგანად აქვს ბოლმა, სიბრაზე, ის ხდება აგრესიული.

გალაკტიონი, მართლაც, ძალიან ჯანმრთელი იყო. არ მახსოვს, რომ გულს შეეწუხებინოს ან წნევას დაეტანჯა. მინდა გავიხსენო ერთი პატარა დეტალი ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან: გალაკტიონმა ჩემს შვილიშვილებს – კაკინას და ზურიკოს წყნეთში სალამურები ამოუტანა, რითაც ბავშვები ერთობოდნენ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: ზურიკო მოულოდნელად წაიქცა. პირში სალამური ჰქონდა, რომელმაც ტუჩი გაუჭრა და სისხლმა იფეთქა. გალაკტიონმა ბავშვს ხელი სტაცა, აღმართი სწრაფი ნაბიჯით აიარა და ექიმთან მივიდა. მე ძლივს ვეწეოდი. ამან ძალიან გამაკვირვა. როდესაც ექიმთან მივედით, დაღლილობა სულ არ ემჩნეოდა. ბავშვს სისხლის დენა შეუჩერეს, მაგრამ შეშინებული ხმამაღლა მაინც ტიროდა. ექთანმა სისხლიანი სალამური გაწმინდა და ზურიკოს მიაწოდა. მაგრამ ის მაინც ტიროდა. მაშინ გალაკტიონმა ზურიკოს სალამური გამოართვა და სასიამოვნო მელოდია ააჟღერა. მუსიკის მომნუსხავმა ძალამ ბავშვი დააწყნარა.

გალაკტიონს ბავშვობაში და სიყმაწვილეში სალამურის დაკვრა უყვარდა.

გალაკტიონი დღენიადაგ პოეზიის საღამოზე ოცნებობდა, რადგან უყვარდა თავის მკითხველთან ცოცხალი კონტაქტი და ხშირად მომმართავდა – ნუნა, დარაზმე შენი მეგობრები და პოეზიის საღამო მომიწყვეთ.

და მართლაც, „დავრაზმე" ჩემი მეგობრები და მოვუ-



წყეთ პოეზიის ორი საღამო – ერთი მარჯანიშვილის თეატრში, მეორე – პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ჩემს კლასელ ლენა ყიფშიძეს ვთხოვე, მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობას მოლაპარაკებოდა და გალაკტიონთან შეხვედრა მოეწყოთ. მსახიობებმა დიდებულად ჩაატარეს საღამო. გალაკტიონი აღტაცებული დარჩა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელები მეტოქეები ვიყავით. იმ დროს ეს გუნდები საქართველოში უძლიერესები იყვნენ; მაგრამ ჩვენ ერთმანეთთან ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. ამიტომ გალაკტიონს პოეზიის საღამო ერთიანი ძალით მოვუწყეთ.

მკითხეს, პოეტს რომელი ყვავილები უყვარსო.

ვარდები-მეთქი, – ვუპასუხე.

როდესაც გალაკტიონი დარბაზში შემოვიდა, სტუდენტები ორ მწკრივად იდგნენ და გზაზე ვარდებს უფენდნენ. ის ცდილობდა ყვავილები ფეხით არ გაეთელა და ჩემს მხარზე დაყრდნობილი ძლივს მივედით ადგილამდე. პრეზიდიუმში რომ დაჯდა, წვერზე ხელს ისვამდა, რაც მისი კმაყოფილების გამომხატველი ჟესტი იყო.

სტუდენტები სიტყვით გამოვიდნენ, გალაკტიონის ლექსები წაიკითხეს. ბოლოს, ერთი სტუდენტი გამოვიდა და გალაკტიონის შემოქმედება ორ პერიოდად დაყო. უცებ პოეტი წამოდგა და კატეგორიულად განაცხადა: ჟურნალ–გაზეთებით დავამტკიცებ, რომ გალაკტიონთან არავითარი ორი პერიოდი არ არსებობს, გალაკტიონი ერთია და შემოქმედებითი გზაც ერთი აქვს! გაორების მწარე შიში არ მიგრძვნია და ჩემი ცხოვრების მთელი გზა ასე გავატარე. მე არა ვარ სიმბოლისტი. მერე მიუტრიალდა იმ სტუდენტს და უთხრა, თქვენ არაფერ შუაში ხართ. ამას თქვენი მასწავლებლები გასწავლიან...

გალაკტიონი ამ ამბავმა საშინლად გააღიზიანა. როდესაც დაჯდა, ჩუმად მითხრა, ახლა გარეთ რომ არ გავიდე, არ შემიძლია, სული მეხუთება. მეც ასევე ვუპასუხე: ახლა რომ ადგეთ და წახვიდეთ, ისეთ ტირილს მოვრთავ, რომ მთელ დარბაზს თავზე დავიხვევ.

აღარ წავიდა, მაგრამ მეორე განყოფილებას უხალისოდ უსმენდა.

მარჯანიშვილის თეატრში „მაია წყნეთელი" დაიდგა. მაიას როლს ლენა ყიფშიძე ასრულებდა, ხოლო ერეკლე II-ს – ვასო გოძიაშვილი. ლენამ პრემიერაზე დაგვპატიჟა. წინა რიგში ლენას გულშემატკივრები ვისხედით. პიესა წარმატებით ჩატარდა. გალაკტიონი აღტაცებული დარჩა და ყვიროდა: „ბრავო, ყიფშიძე!" მას მაყურებელიც აჰყვა.

სახლში რომ მივედით, გალაკტიონმა, როგორც ყოველთვის, როცა რამეზე ფიქრობდა, ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. შემდეგ შეჩერდა და გვითხრა: ლენამ მაიას როლი ბრწყინვალედ შეასრულა, შემდეგ დაუმატა – ჩემს მეგობარ მოქანდაკე თოფურიძეს მინდა ვთხოვო, გამოაქანდა-

კოს მაია წყნეთელი, რომელსაც ლენას სახე ექნება, და ეს ქანდაკება წყნეთის შესასვლელთან დაიდგას.

მეორე დღეს ლენა ჩვენთან მოვიდა. გალაკტიონს დიდი მადლობა მოუხადა მისი ასეთი დაფასებისათვის და სიცილით დაუმატა – თეატრში ახლა ასე მესალმებიან: „ბრავო, ყიფშიძე!“

ვახტანგ გურგენიძესთან, ცენტრალური არქივის დირექტორთან შევიარე მისი ახალი წიგნის, „გალაკტიონის“ წამოსაღებად. მან გალაკტიონის რამდენიმე ჩანახატი მაჩვენა. ერთ-ერთს ქვემოთ მიწერილი ჰქონდა – „ნინო საავადმყოფოში“. მან მთხოვა, პატარა მოგონება დამეწერა. ეს მოხდა 1949 წლის ზაფხულში. მე კალათბურთის ჩემპიონატზე რუსეთში წავედი. სახლში რომ დავბრუნდი, საზარელი ამბავი დამხვდა – დედა მძიმე მდგომარეობაში ქალაქის I საავადმყოფოში მოეთავსებინათ. კარი რომ შევაღე, პალატაში პირველად გალაკტიონი მომხვდა თვალში – მაგიდასთან იჯდა და კითხულობდა. დედა მეტად შეცვლილი მეჩვენა. ერთხანს ვისაუბრეთ, შემდეგ გალაკტიონმა მანიშნა, გარეთ გავყოლოდი. ბევრი ილაპარაკა, თუ რა გადახდა თავს, ბოლოს სიამაყით მითხრა – ნინო სიკვდილს ხელიდან გამოვტაცეთო.

ამ დროს ექიმების ჯგუფი გამოჩნდა (დილის ჩამოვლის დრო იყო), რომელსაც ცხონებული დასტაქარი, პროფესორი ალექსანდრე წულუკიძე მოუძღოდა. იგი მოვიდა გალაკტიონთან, მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

– ბატონო გალაკტიონ, მე და თქვენ ერთიანი ძალით ავადმყოფობა დავამარცხეთ.

გალაკტიონმა კმაყოფილებით გაიღიმა:

– ბატონო ალექსანდრე, ჩემი აზრით, ავადმყოფმაც ხელი შეგვიწყო. ასეთი არაისტერიული ქალი, როგორიც

ნინოა, მთელს დუნიაზე არ მოიძებნება.

– სწორი ბრძანდებით, ქალბატონმა ნინომ ავადმყოფისათვის უჩვეულო მოთმინება გამოამჟღავნა. რა მძიმე მდგომარეობაში იყო და ერთთავად ამბობდა, არა მიშავსო, აქეთ გვაწყნარებდა.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

– დედათქვენი უაღრესად კეთილშობილი მანდილოსანია. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ბატონმა გალაკტიონმა კი აქ ყველა გაგვაოცა, მას ერთი დღითაც არ დაუტოვებია ქალბატონი ნინო. იგი არა მარტო ბუმბერაზი პოეტია, ბუმბერაზი ადამიანიც ყოფილა. მისმა სულიერმა ენერგიამ, დარწმუნებული ვარ, ავადმყოფს ძალიან უშველა. ნამდვილად უიმედო ავადმყოფი იყო. ახლა ამაზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან ყველაფერი კარგად დამთავრდა.

დედასთან გახარებული შევედი და პროფესორის სიტყვები გადავეცი.

– შვილო, კარგი იქნება, საქართველოში ისეთი დიდებული ექიმები გვყავდნენ, როგორიც ბატონი ალექსანდრეა. როგორ ცდილობდა, გალაკტიონისთვის ყოველგვარი პირობები შეექმნა. პირველ დღესვე შემოუტანა საწერი მაგიდა და თავის ხელით ფანჯარასთან დაუდგა.

გალაკტიონი ოთახში დადიოდა, შემდეგ გაჩერდა, მაგიდაზე დაწყობილ ფურცლებზე მიმითითა და მითხრა – აქ ნინოს ორი ლექსი დავუწერე, მოეწონა, ახლა შენ მომისმინე:

ჟღერს აღმართი

ბარათაშვილის ჟღერს აღმართი:
ოცნებას მე ვის მოვახმარდი,
თუ არა თბილისს - ულამაზესს?!
არ მიფიქრია სულ ამაზეც...
აღმართს ცრემლი სდის და ამინდი
კი ბრწყინვალეა. დინამიტი
კლდეებს აფეთქებს. ამავე დროს
როსმე უვალ გზად, აწ საერთოს,
ახალთა მერანთ ჩანს ნავარდი.
ბარათაშვილის ჟღერს აღმართი.

აღმართი

სწრაფდახმარების ეტლი,
ნიში ნათელის მცემლის,
ზეაფენილი ღელვა
ლელის, ისლის და ტუემლის,
გახსოვს? სიდეს რომ გავსცდით -
თითქო გულს დასცეს გრდემლი...
ბარათაშვილის აღმართს
ღვარად გადმოსკდა ცრემლი.
ნუთუ ეს არის შენი
ახალგაზრდობა, მეგი?

მუდამ შიმშილი, სუსხი
და სიღარიბის ლექი?
მთლად გაბზარული გული
და აგერ უცებ... ჭლექი!
ბარათაშვილის აღმართს
ღვარად ჩამოსდის ცრემლი.

უნდა მოშორდე ისანს.
ჩქარა! წავიდეთ ზღვაზე,
უნდა იცოცხლო, უნდა.
მე არას ვფიქრობ სხვაზე.
აქ კი, ისანთან, მწარე
მოგონებებით სავსე -
ბარათაშვილის აღმართს
ღვარ-ღვარად მოდის ცრემლი.

ჩქარა! წავიდეთ ზღვაზე
ვძლიოთ შავბედის წურომა,
გადავარჩინოთ გული,
რომ დაგვისერა ომმა!
ისევ ბრძოლა და ისევ
გაჯანმრთელება, რომა
ბარათაშვილის აღმართს
შვების გადმოსკდეს ცრემლი!

ერთი ლექსის უკანა მხარეს ლურჯი მელნით მიწერილია: „ნინოსთვის, არამიანცის საავადმყოფო". შეგხვედრიათ მამაკაცი, რომელიც მეუღლის პალატაში ერთი თვის განმავლობაში მუდმივად ეცხოვრა? - მაგრამ, ეს ხომ გალაკტიონია!

გალაკტიონის განსაკუთრებული ბუნება უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატებოდა, რომ ადამიანის წყენა არ შეეძლო. ენით უთქმელი, განუმეორებელი ზრდილობა ჰქონდა, კამათს გაურბოდა, საკუთარ აზრს თავზე არ მოგახვევდა. თუ არ იზიარებდა თანამოსაუბრის აზრს, ყოველ შემთხვევაში, აგრძნობინებდა, რომ პატივს სცემდა მის მოსაზრებას. ის იყო რბილი ხასიათის, მიმტევებელი ადამიანი. მისთვის შენიშვნები და ჭკუის დარიგება სრულიად მიუღებელი იყო. ბავშვსაც კი არასოდეს აძლევდა შენიშვნას. როდესაც ჯანმრთელად იყო, სახლში მისი ყოფნა სრულიად არ იგრძნობოდა, მაშინაც კი, როდესაც ეიფორიულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ხასიათი იშვიათად ეცვლებოდა.

გალაკტიონი ჯიუტი ხდებოდა, მაშინ როცა ქუჩაში გასვლა უნდოდა, ჩვენ კი ვცდილობდით სახლში დაგვეკავებინა. რა ხერხს არ მივმართავდით ამისათვის! მაგონდება ის აბსურდული დიალოგები, რომლებსაც თავს ვახვევდი (მას, როგორც ვთქვი, მოსმენის უდიდესი კულტურა ახასიათებდა), ვიცოდი, ამყვებოდა, არ შემაწყვეტინებდა. ჩემი მიზანი კი ერთი იყო – დრო გამეყვანა, თუ იგი შუაღამისას ატყდებოდა, „სუფთა ჰაერზე" უნდა გავიდეო.

თუ შევძელი, მინდა ამ პატარა ილუსტრაციით კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი მის უცნაურ ბუნებას, რა მოთმინებას იჩენდა ავადმყოფობის დროსაც კი.

წარმოვიდგინოთ სუსხიანი ზამთრის ღამე; მეღვიძება მეორე ოთახში. მესმის, გალაკტიონი ბოლთას სცემს და ბუზღუნებს – ამ სახლში ხმის გამცემი არავინ ჰყავს პოეტს. ყველა სდუმს. გავისეირნებ „სუფთა ჰაერზე“, იქნებ შემხვდეს ღვთისნიერი ადამიანი და ხმა გამცეს.

– გალაკტიონ, იცი, რომელი საათია? არ გესმის, რა ამბავია გარეთ? ქარი ანგრევს ყველაფერს, გინდა, ავად გახდე? (ეს დედაჩემი ნინოა).

– ნინო, შენგან არ მიკვირს?! სწორედ რომ ქარშია ძილი მიუწვდომელი. მაინც, რა არის ქარი? საშინელება? - არა, ხანდახან კაცის მშველელიც! – მიდიხარ ქუჩაში, ქარს გახურებულ შუბლს მიუშვერ და მწყობრში ჩადგება ათასობით სიტყვა, ახლა? ახლა კი ჩემს სულში აუხსნელი ქაოსია... და საერთოდ, რა ჰქვია იმ ძალას, რომელიც აღუდგება წინ სახალხო პოეტს? – ამბობს განრისხებული ტონით. მალე იცინის და ამბობს – ნინო, არ გეწყინოს, იცოდე, გალაკტიონი ის ბიჭია, შენი ფასი რომ იცის, ты одна не дала себе права, поносить и тревожить меня

მიდის ფანჯარასთან და გაჰყურებს, თუ როგორ აწვენს ქარი ხეებს.

იწყება ჩემი გამოსვლა – საღამო მშვიდობისა, ბატონო გალაკტიონ!

– ოჰ, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! ნუნა, მე და ნინო ვმსჯელობთ, ქარში სჯობია სეირნობა, თუ წყნარ ამინდში. მგონია, რომ ქარში...

– დიახ, ზოგჯერ ქარში სჯობია სეირნობა. მიუშვერ გახურებულ შუბლს ქარს და მწყობრში ჩადგება ათასობით სიტყვა – ხუმრობის ტონით ვპასუხობ მისივე სიტყვებით.

– ნუნა, გასაკვირია, ხუმრობის ხასიათზე რამ დაგაყენა ამ შუაღამეს, რაშია საქმე?

– ბატონო გალაკტიონ, ერთი კითხვით მინდა მოგმართოთ, რა აზრისა ხართ თოჯინების თეატრზე? (წინა დღეს მარინე გვყავდა თეატრში).

– შესანიშნავია, დიდებულია!

– რას გულისხმობთ, მსახიობთა თამაშს თუ ფანტასმაგორულ სამყაროს?

– ალბათ იმას, რომ ჩემი უდარდელი ბავშვობა თოჯინების თეატრის მიღმა დარჩა.

– გასაგებია, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბავშვობა იმიტომ გქონდათ უდარდელი, რომ თეატრს არ იცნობდით?

– არამც და არამც! თქვენ, ქალბატონო ნუნა, კრიტიკულ წერილებს ხომ არ წერთ? მაშინ, რატომ არ გინდათ სწორად გაიგოთ პოეტის აზრი?

ჩვენი საუბრის თემას მეორე მოჰყვებოდა, მეორეს – მესამე და ა.შ. ამასობაში კიდეც თენდებოდა. ხანდახან ეს ხერხი იმარჯვებდა, ხანდახან – ვერა.

„ერთ ზაფხულს გალაკტიონი და მე შოვში ვისვენებდით, – იგონებს ნინო, – ზღაპრული ბუნება და განსაკუთრებული გარემო, რომელიც გალაკტიონს იქ შეუქმნეს, მას სამუშაოდ განაწყობდა. ნაძვნარში საგანგებოდ მისთვის გაკეთებულ მაგიდაზე წერდა. უყვარდა უბრალო ხალხში ტრიალი, მარტოობას ვერ იტანდა. იქ გაიცნო დურგალი (რომელმაც მაგიდა გაუკეთა) და ყოველდღე ხვდებოდა მას.

გალაკტიონს ჰქონდა ხასიათის ერთი მშვენიერი თვისება – ერთნაირი პატივისცემით ექცეოდა მეეზოვეს და აკადემიკოსს... ამ ხასიათმა მას უდიდესი შემოქმედებითი სიხარული მოუტანა.

დურგალს განსაკუთრებით უყვარდა ნიკორწმინდა, ყოველი ჩუქურთმა ზეპირად იცოდა. დაუსრულებლად

ლაპარაკობდა ნიკორწმინდაზე. გალაკტიონს ძალიან უნდოდა ამ შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლის ნახვა, მაგრამ ამინდი მოულოდნელად შეიცვალა და ეს ვეღარ მოახერხა. მიუხედავად ამისა, დაწერა ლექსი „ნიკორწმინდა". ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ლექსი გალაკტიონმა ნიკორწმინდის უნახავად შექმნა, მაგრამ ეს ასეა. იქნებ, სწორედ ამაშია მისი უნიკალური ნიჭი!"

ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,
ის ჰოეზიას ჩემსას გაიგებს.

ჩვენს ოჯახურ არქივში ინახება გალაკტიონის და ნინოს ფოტოსურათი, გადაღებული შოვში, სადაც ნინო მაგიდასთან, საბეჭდი მანქანის წინ ზის, ხოლო გალაკტიონი მის უკან დგას და რაღაცას კარნახობს. სწორედ მაშინ შეიქმნა ეს შედევრი – „ნიკორწმინდა".

ნინომ და გალაკტიონმა შოვიდან ნინოს დედის, ეკატერინე ღვინჯილიას სანახავად ბაღდადში გაიარეს. ეკატერინე 90 წელს მიღწეული მაღალი ტანის, გამხდარი მანდილოსანი იყო. იგი დღენიადაგ სახლსა და ეზო–კარმიდამოში ფუსფუსებდა. გალაკტიონს ძალიან უხაროდა მოხუცის სიჭარმაგე. თბილისში დაბრუნებისთანავე ეკატერინეს ბარათით ასეთი ლექსით გაუგზავნა:

მადლობა დედას

მე ჩემს ნინოში გხედავ,
ჩემო ქართველო დედავ,
შენი ხელების კოცნას
სწორედ ამიტომ ვბედავ...
ბევრი გვეოლოდნენ მსგავსნი,
ო, ნეტავ, ნეტავ, ნეტავ!

(დაცულია ლიტერატურის მუზეუმში)

ნინომ ერთი საინტერესო ამბავიც მოიგონა: „ერთ საღამოს დედაჩემი ეკატერინე, გალაკტიონი და მე ეზოში ვისხედით. საუბარი მაიაკოვსკს შეეხო. გალაკტიონმა გვიამბო: ერთხელ, რუსთაველზე სეირნობისას შევნიშნე მაიაკოვსკი პოეტებთან ერთად მიდიოდა. მასთან მისვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ ქუჩაში მისი გაჩერება მომერიდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემთან შეხვედრა მასაც სასიამოვნო მოგონებად დარჩებოდა. რომ მცოდნოდა, როდის მივიდოდა პოეტი მწერალთა კავშირში, აუცილებლად ვნახავდი. მაგრამ მისი იქ მისვლა არავინ შემატყობინა. გული ძალიან დამწყდა, რომ ჩვენი შეხვედრა ვერ შედგა.

ეკატერინემ გვითხრა: – მაიაკოვსკის ოჯახი ჩვენს სახლთან ძალიან ახლოს ცხოვრობდა. ჩემი მეუღლე სიმონი და მაიაკოვსკის მამა ვლადიმერი დიდი მეგობრები იყვნენ. ვლადიმერი მეტყეველად მუშაობდა. ის ჩვენი ხშირი სტუმარი იყო. ჩემს შვილს – კალისტრატეს უბრძანეს, მამამისს ანაფორა გაეხადა. სიმონი უაღრესად კეთილშობილი პიროვნება იყო და, ბუნებრივია, ოჯახისთვის თავი გაწირა – ეკლესია დატოვა. მაგრამ ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. ის აღდგომა დღის გარიჟრაჟზე გარდაიცვალა. აივანზე რომ გავედი, დავინახე ეზოში და გზაზე უამრავი ხალხი სანთლებით ხელში. ყველას სწამდა, რომ აღდგომა დღეს იმიტომ მიიბარა დეკანოზის სული უფალმა, რომ წმინდა ადამიანი იყო.“

პროფ. ეთერ გელაშვილს მიაჩნდა, რომ ვერავინ ისე ვერ გრძნობდა გალაკტიონის გულისტკივილს (რაც მას, სამწუხაროდ, არ აკლდა), როგორც მისი მეუღლე, ქალბატონი ნინო. მართალი ბრძანდებოდა ვახტანგ გურგენიძე, როდესაც თქვა: „ეს სპეტაკი, სათნო ადამიანი – ქალბატონი ნინო რომ არა, ალბათ, კიდევ უფრო ადრე შეიმოკლებდა

სიცოცხლეს საუკუნის უპირველესი პოეტი – მეფე პოეტებისა..."

გალაკტიონი დაუმთავრებელ მემუარულ ჩანაწერებში, სადაც საუბრობს ქართველ მწერლებზე, ვაჟას წარმოგვიდგენს, როგორც თვითმყოფად შემოქმედს, ხალასი ნიჭის პატრონს. გალაკტიონმა მაღალი შეფასება მისცა ვაჟას შემოქმედებას თავის სიტყვაში კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესზე, პარიზში 1935 წელს.

პოეტის სიტყვებია: "განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ლიტერატურაში გენიალური პოეტის ვაჟა–ფშაველას შემოქმედებას. ვაჟა თავისებური პანთეისტია, რომელიც განასულიერებს ბუნებას. ვაჟას ლექსები შედევრებია. ისინი თავისუფალი, ლაღი და ხალისიანია. მისი ლექსებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც „ვეფხისტყაოსნის" გმირებიდან. ვაჟა ბუნების, მზისა და სიყვარულის მგოსანია. მზე ვაჟასთან სინათლისა და შთაგონების სათავეა. იგი ბუნების მშვენიერებას თავისებურად აღიქვამს, შეიმეცნებს და შემდეგ თავის დიდებულ პოეზიაში რთავს"...

ვაჟას შემოქმედებითი მღელვარება გალაკტიონმა სულ ორი სიტყვით გამოხატა: „დამშვიდება და ვაჟა?"

ქართული პოეზიის ამ ორი არწივის – ვაჟასა და გალაკტიონის ესთეტიკურ ნააზრევში არის მსგავსება. ბუნების საწყისების ძიება და აღმოჩენა ვაჟას და გალაკტიონის მხატვრული ხედვის საერთო ნიშანია. თავისი არსით ბუნება სიკეთის საწყისია, როგორც ისინი ვარაუდობენ.

ვაჟას მსგავსად, სიყვარულს უმღერის გალაკტიონი ლექსში „უსიყვარულოდ". გალაკტიონს ღვთისაგან ჰქონდა ბოძებული მგრძნობიარე სული. მისთვის ძალზე ძნელი იყო ცხოვრებისეული ბარიერების დაძლევა, ვერა და ვერ

ისწავლა რეალურ ცხოვრებასთან შებმა. იგი პოეტური ფანტაზიით შექმნილ სამყაროში ცხოვრობდა. ფანტაზიის საშუალებით სურდა შეუძლებლობის კატეგორია არ დაენახა, არაფრად ჩაეთვალა, გადაეხაზა. ხშირად ფანტაზიის წყალობით ცდილობდა, არ შეემჩნია რეალური წინაღობები, უნდოდა ყველა პრობლემა პოეტურ ენაზე გადაეწყვიტა, ამიტომაც ზოგჯერ მარცხდებოდა.

გალაკტიონი მუდმივად პოეზიის საღამოებს გეგმავდა. ერთ–ერთი თემატური საღამო დაგეგმა კონსერვატორიაში, მაგრამ მწერალთა კავშირს არ შეუთანხმდა. აფიშებიც თვითონ გააკეთა, სადაც მარტო „გალაკტიონი“ დააწერა. სამწუხაროდ, საღამო არ შედგა. საცოდაობა იყო, როდესაც ნახევრად ცარიელი დარბაზი დახვდა. საშინლად განიცადა. ოცდახუთი წლის შემოქმედებითი საღამო რომ ჰქონ და ოპერის თეატრში, იმდენი ხალხი მივიდა, რომ შენობას ცხენოსანი მილიცია იცავდა და ამის შემდეგ... თითქმის ცარიელი კონსერვატორია.

როგორი მძიმე გადასატანი იყო გალაკტიონისთვის ეს საშინელი მარცხი. თავის სიცოცხლეში ასეთი დამცირება პირველად განიცადა – განუსაზღვრელი იყო მისი პოეტური სიამაყე.

მეორე დღეს გალაკტიონი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მტკვარს და ასევე აუჩქარებლად შეაბიჯა მდინარეში. ამჯერად, განგებამ არ გაწირა – შეამჩნიეს და გადაარჩინეს. ქალაქში უკვე მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

ეს რომ გავიგე, სუნთქვაშეკრულმა მივირბინე საავადმყოფოში ეთერთან ერთად, თან ვფიქრობ: „პალატაში რომ შევიდე, რა ვუთხრა გალაკტიონს? ალბათ, არავის დანახვა არ სურს“.

მაგრამ მასთან შესვლა საჭირო იყო და შევედით. გალ-

აკტიონი თავის საყვარელ პოზაში იწვა – მარჯვენა ხელზე დაყრდნობილი. ასეთი შინაურული, ასეთი საყვარელი... გული საშინლად შემეკუმშა და ცრემლები ძლივს შევიკავე. შესვლისთანავე გალაკტიონი ხარხარით შეგვეგება – სპორტსმენებს გაუმარჯოს! მოვიდნენ სახალხო პოეტის სანახავად. იცით, წლეულს მე გავხსენი სპორტული სეზონი, მაგრამ, როგორც ჩანს, უხეირო მოცურავე გამოვდექი – საავადმყოფოს საწოლზე აღმოვჩნდი.

ატმოსფერო მყისვე განიმუხტა. ის მხიარული იყო და თავის ახალ წიგნზე გვიყვებოდა. დაუჯერებელია, არა? მაგრამ, ეს ხომ გალაკტიონია!

არასდროს დამავიწყდება პოეტის თითქოს სასხვათაშორისოდ ნათქვამი – ნუნა, იცი, რად მოიკლა თავი მაიაკოვსკიმ? მან მოაწყო თავისი შემოქმედებითი გზის გამოფენა, მაგრამ დაირაზმნენ მტრები (ეს სიტყვა უყვარდა) და ჩაუშალეს, მნახველები არ შედიოდნენ. ქართულ მიწა-წყალზე შობილმა, შეითვისა ჩვენი წინაპრების ამაყი სული, ვერ გადაიტანა ეს დამცირება და დაიმსხვრა... ალბათ, იფიქრა, ჩემი პოეზია არავის სჭირდებაო.

ჩემთვის ნათელი გახდა, რა განიცადა გალაკტიონმა, როდესაც კონსერვატორიაში მისი პოეზიის საღამო ჩაიშალა. ეს სიტყვები თითქოს მისი გულისტკივილის ანარეკლი იყო.

გალაკტიონს სჭირდებოდა ყურადღება და მზრუნველობა. ის უნიკუმი იყო – ერთადერთი, რომელიც არავის და არაფერს ემორჩილებოდა. ესეც კარგად იცოდა ნინომ. გალაკტიონის საუკეთესო თვისებებს ყველაზე კარგად ნინო ხედავდა – მას ხომ ადამიანებთნ ურთიერთობისას უდიდესი ტაქტი ჰქონდა, რაც სახალხო მგოსნის რაფინირებულ ინტელიგენტობაზე მიუთითებდა. გალაკტიონი ამ-

ბობდა: „ადამიანს ის სიტყვა არ უნდა უთხრას კაცმა, რის გაგონებაც თვითონ არ ესიამოვნება“.

ამიტომაც იცოდა გალაკტიონმა არაჩვეულებრივი შეხვედრა. პირქუში, საერთოდ, მე იგი არ მინახავს, არ მახსოვს. როგორ ხასიათზეც არ უნდა ყოფილიყო, ხმას არასოდეს აუწევდა, გაღიზიანებით ლაპარკი არ სჩვეოდა. თითქმის არ ისვენებდა, გამუდმებით მუშაობდა. ვფიქრობ, მისი დასვენება სწორედ სიტყვებთან ჭიდილში გამოიხატებოდა.

გალაკტიონს თავისი ბიოგრაფიის სიწმინდის სწამდა – „ჩემი ცხოვრება უანკარეს ღვინის ფერია“.

უებარი წამალი, რომელსაც პოეტი უმძიმესი სულიერი განწყობილებიდან გამოჰყავდა, როგორც ნინო ამბობდა, შოთა რუსთაველი იყო. მისი მომნუსხავი ზეციური ჰანგებ-ამშვიდებდა. გვთხოვა, წაგვეკითხა და ჩაფიქრებული გვისმენდა... საერთოდ, გალაკტიონს შეკითხვებით არ ვაწუხებდით, არც პირველი გამოველაპარაკებოდით იმიტომ, რომ ხშირად ღრმა ფიქრებში იყო წასული.

ვახტანგ გურგენიძე აღნიშნავდა, „ნახევრად პოეტმა“ ქალმა ყველაზე უკეთ გაუგო ამ გამოუცნობ და უთქმელ ადამიანს – დიდ პოეტს. კარგად იცოდა მისი ფასი!

გალაკტიონის პოეტური სულის გააზრება მეტად რთული საქმეა, რადგან მისი წაკითხვა მზა ენობრივი ფორმულებით შეუძლებელია. არც მისი შეცნობა და დანახვა შეიძლება სრულად, იგი არ გვეცხადება ერთსახოვნად, განსხვავებულია სხვათაგან.

ნინოს ძმისშვილის, ეთერ კვირიკაძის მოგონებიდან:

„გალაკტიონი და ნინო მისი ვაჟის – დუთუს სანახავად ქუთაისში გაემგზავრნენ. დუთუ მაშინ ავტოქარხანაში

ინჟინრად მუშაობდა. ქარხნის დირექტორს, ბუკიას, დუთუსთვის უთხოვია, გალაკტიონი რომ ჩამოვა, გამაცანიო. დუთუს გალაკტიონის წარდგენისას უთქვამს: „ჩემი მამააო". ამ სიტყვებს ისე აუღელვებია გალაკტიონი, რომ ნინოსთვის მიუმართავს: გაიგე, რა თქვა დუთუმ ჩემზე? ნინომ უპასუხა; – რა გიკვირს, გალაკტიონ! შენ არ დააქორწინე დუთუ და შენ არ იყავი მისი ოფიციალური მეჯვარე? სხვაგვარად დუთუ ამ გადაწყვეტილებას ასე სწრაფად არ მიიღებდა."

არ დამავიწყდება დედას სიტყვები: „ყოველთვის მახსოვდა, ჩემ გვერდით ვინ იყო. გალაკტიონი ხშირად თავისებურად, სხვაგვარად მოქმედებდა. მის ყოველ გადაწყვეტილებას პატივს ვცემდი. არასდროს ვეკამათებოდი, ხმააწეული ლაპარაკი არასოდეს გვქონია, რადგან არ დავუშვებდი იმას, რომ ანერვიულებულიყო. მჯეროდა, რომ გალაკტიონი განუმეორებელი იყო და უზარმაზარი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ჩემ თავს არასდროს ვაძლევდი უფლებას, დამევიწყებინა, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანი არ იყო და ბევრი რამე უნდა მეპატიებინა."

გალაკტიონს ლექსების ბეჭდვას ურთულებდნენ და ხშირად სრულიად უსამართლოდ აკრიტიკებდნენ. ერთხელ ძლიერი სულიერი ტკივილი განიცადა. პოეტმა დაწერა პოემა ალექსანდრე ყაზბეგზე; თვითონ ამ ნაწარმოებით აღტაცებული იყო. მწერალთა კავშირში მიიტანა. რამდენიმე დღის შემდეგ პასუხისთვის რომ მიაკითხა, რედაქტორმა უთხრა , გალაკტიონ, ხომ იცი, რომ გრძელი ლექსების წერა არ გეხერხება?

და წითელი ფანქრით უღვთოდ აჭრელებული პოემა დაუბრუნა. გალაკტიონმა უსიტყვოდ გამოართვა ნაწარმოები. შემდეგ აი, რა საშინელება მოხდა – განადგურებუ-



ლი პოეტი თავს ვერ მოერია და, როგორც თვითონ აღნიშნა, აიღო პოემა და ფურცელ–ფურცელ დაწვა:

– ასეთი ტკივილი ჩემს ცხოვრებაში არასდროს განმიცდია. ლექსის სიკვდილით, ნეტავი, ვის რას ვუმტკიცებდი... ეს იყო ჩემი აუხსნელი სისუსტე, რასაც ჩემ თავს ვერ ვაპატიებ, – ნაღვლიანად თქვა მგოსანმა.

მახსოვს, ერთხელ გალაკტიონი საშინლად დაღლილი მოვიდა სახლში და გვითხრა:

– თვრამეტი სტამბა შემოვიარე და ძლივს მივეცი წიგნი დასაბეჭდად.

– ამდენი სტამბა კი არის თბილისში? – ჩაილაპარაკა ნინომ.

– რატომ, მეტიც არ არის? – უპასუხა.

– თუ ასე ბევრი სტამბაა, წიგნის დაბეჭდვა ასე რატომ გიჭირს?

გალაკტიონმა პასუხი არ გასცა.

როდესაც ნინოს ჰკითხეს, რატომა არ ბეჭდავთ გალაკტიონზე მოგონებებსო, – მაგის დროც მოვაო, უთქვამს ნინოს. მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ყველაზე მაღლა ეროვნული გრძნობები იდგა. მამაჩემმა, დეკანოზმა სვიმონ კვირიკაძემ მიანდერძა, ისე არ გამეტარებინა

ჩემი ცხოვრება, რომ ერისათვის რაიმე სასარგებლო არ გამეკეთებინა. მე მგონია, გალაკტიონს რომ ცხოვრების მძიმე წლებში გვერდით ვუდექი, ამით ნაწილობრივ მაინც შევასრულე მამის ანდერძი. ჩემთვის მთავარი ესაა და სხვა არაფერი მაინტერესებს.

ნინოს სტატია დაიბეჭდა გალაკტიონის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ. ალბათ, ამასაც ჰქონდა თავისი ახსნა; ნინო ამგვარად განმარტავდა – „მავანს და მავანს ეგონა, რომ გალაკტიონი გულახდილად მიზიარებდა თავის გულისტკივილს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ გალაკტიონის გარდაცვალების შემდეგ გამოვაქვეყნებდი ზოგიერთებისთვის არასახარბიელო ფაქტებს, მაგრამ მე კატეგორიული უარი განვაცხადე ინტერვიუს მიცემაზე, რადგან გალაკტიონს ისეთ პატივს ვცემდი, რომ რაც მან საჭიროდ არ ჩათვალა საჯაროდ ეთქვა, მე რა უფლებით უნდა მელაპარაკა?“

* * *

პროფესორი თემურ პეტრიაშვილი იგონებს: – „როდესაც ნუნუს შვილი შეეძინა, გალაკტიონმა საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა. დილის 7 საათზე ჩემი ბებიის, ანეტას, ფანჯარაზე დააკაკუნა და სიამაყით უთხრა, შვილიშვილი შემეძინაო. სთხოვა, ძიძის პოვნაში დახმარებოდა, შვილიშვილი რომ გაეზარდა. დიახ, შვილიშვილის, რადგან გალაკტიონი მარინეს თავის შვილიშვილად თვლიდა.“

ძიძა დიდი კონსტანტინეს მეუღლის, მირანდა გამსახურდიას რეკომენდაციით ავიყვანეთ, მისი შვილების – თამარისა და ზვიადის გამზრდელი. ძიძა ეროვნებით ოსი იყო

და ქართულ სიტყვებს სწორად ვერ წარმოთქვამდა – გალაკტიონს ეძახდა გალაციოს. გალაკტიონს ეს ძალიან ახალისებდა და ხშირად ეკითხებოდა: „რა მქვია? რა მქვია?“ ძიძაც გახარებული იყო, დიდი პოეტი უყურადღებოდ რომ არ ექცეოდა და ეხუმრებოდა.

– შვილიშვილი რომ შემეძინა, –იგონებდა ნინო, – გალაკტიონმა მითხრა: „ბავშვი ჩვენთან გადმოვიყვანოთ, რადგან ნუნა სპორტსმენია და შეჯიბრებებზე ხშირად დადის. ჩემს ოჯახში წიწილაც არ გაზრდილა და ჩემს მტრებს სწორედ ეს ახარებს – მაცხადებენ ავადმყოფად. ალბათ, ამბობენ, გალაკტიონს ვინ გაუძლებსო! საცოდავები... აბა, ვინ დაწერა ამდენი ტომები? ბავშვი დამიცავს ურცხვი მითქმა–მოთქმისაგან. როდესაც წამოიზრდება, წავიყვან მწერალთა კავშირში, ნახონ, რა მარგალიტი უძლებს გალაკტიონს. ჩემს მტრებს ამ ბავშვის ჩემს გვერდით ყოფნა მოათავებს!“

ეს რომ გავიგე, დედას ვუთხარი, რომ ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტდი, ვატას გარეშე. მან იცოდა, რომ, ტურნირებზე სიარულის გარდა, ვმუშაობდი, ამიტომ მეუღლე წინააღმდეგი არ წასულა – ჩვენთვისაც კარგი იქნებოდა, ბავშვი ბებიისა და გალაკტიონის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფილიყო.

გალაკტიონს დიდი სიმპატიები ჰქონდა ჩემი მეუღლისადმი, რომელიც, როგორც გალაკტიონი ამბობდა, „კულტურული ყმაწვილია და ყოველთვის დენდივით აცვია“. ვატა კი გალაკტიონს იმდენად აღმერთებდა, რომ პოეტის ხელნაწერის – თავისი დახასიათების ასლი გადაიღო და, როგორც რელიქვიას, სათუთად ინახავდა.

ერთხელ გალაკტიონი და მე ჩვენს ქუჩაზე მივდიოდით. ვერის ხიდთან რომ შემოვუხვიეთ, გალაკტიონი მილიციელის სკამზე ჩამოჯდა. რამდენიმე წუთი დავიცადე და შემ-

დეგ მოკრძალებით წამოსვლა ვთხოვე.

– ცოტა ხანს აქ მინდა ვიყო და მტკვრის სილამაზით დავტკბე, – მითხრა.

ამ დროს ჩემი მეუღლე და ქართლოს კასრაძე დავინახე, რეპეტიციის შემდეგ ფილარმონიიდან მოდიოდნენ – ისინი ჯანო ბაგრატიონის ანსამბლის კონფერანსიეები იყვნენ. გალაკტიონს ქართლოსის ნახვა გაეხარდა, რადგან მისი ახალგაზრდობის მეგობრის, დავით კასრაძის შვილი იყო. ურთიერთმოკითხვის შემდეგ გალაკტიონი ვატას ეუბნება:

– არა აქვს სახალხო პოეტს უფლება საკუთარ ქუჩაზე რომ დაისვენოს?

– როგორ არა, ბატონო გალაკტიონ, თქვენ საქართველოში ყველაფრის უფლება გაქვთ.

– მაშინ რა არის იმის მიზეზი, რომ ნუნას არ სურს აქ ვიჯდე?

– ალბათ ეჩქარება, – ბოდიში მოიხადა ვატამ.

– ნუნა, თუ გეჩქარებოდა, ვერ მითხარი? კარგი, წავიდეთ, – მაშინვე მორჩილად დამთანხმდა.

ასე მარტივად მოგვარდა ეს პრობლემა.

გალაკტიონი პატარა ბავშვთან ხალისობდა – რამდენიმე კვირის მარინეს თავზე გაზეთი დააფარა, ბავშვმა უნებლიე მოძრაობა დაიწყო ხელებით და გაზეთი ძირს დავარდა. გალაკტიონმა გულიანად იცინა და თქვა – ხედავთ, კომუნისტურ პრესას როგორ ებრძვის, რა ენერგიულად გამოხატავს პროტესტს!

მარინე ერთი წლის რომ გახდა, გალაკტიონმა მითხრა: მინდა მარინესთან ერთად სურათი გადავიღო, ისეთი, როგორიც აკაკის აქვს – ბავშვთან ერთად გადაღებული. მან მარინეს მეორე სურათიც გადაუღო – მისი წიგნით ხელში და თქვა – ჩემს ბიოგრაფიაში აუცილებლად უნდა დაიწ-

ეროს, რომ ჩემს ოჯახში ბავშვი იზრდებოდა.

მარინე ოთხი წლის რომ გახდა, გალაკტიონმა მოუტანა ჩინელი მხატვრების ალბომი და ილუსტრაციებს მარტივად უხსნიდა. როგორ ახერხებდა გალაკტიონი ბავშვის გაჩერებას, არ ვიცი. გოგონა სულ განაბული უსმენდა. უდავოდ, გალაკტიონს ჰქონდა დიდი ხიბლი.



მარინე და გალაკტიონი

შემდეგ ანბანის სწავლება ბავშვისთვის თვითონ მოინდომა და თქვა, ქართული ანბანის სწავლება ჩემთვის დიდი სიამოვნებააო.

ხუთი წლის ასაკში მარინეს უკვე კითხვა შეეძლო. მარინე სულ გალაკტიონის მაგიდასთან ტრიალებდა. ჩვენ ვუკრძალავდით, მაგრამ პოეტი ნებას არ გვაძლევდა, ბავშვი კაბინეტიდან გამოგვეყვანა. დაანებეთ თავი, – იტყოდა, – რა ბოროტების ჩადენა შეუძლია თითის სიგრძე ბავშვს, რომ ტუქსავთ? გალაკტიონს პატარისთვის ხშირად მოჰქონდა ჯოხზე წამოცმული ფერადი ბუშტები და კანფეტები. როდესაც გალაკტიონი ოთახში შემოვიდოდა, მარინე სიხარულით მივარდებოდა და შესძახებდა – ბლუსტი! ბლუსტი! და – კაკ! კაკ! ამიტომ გალაკტიონმა მარინეს „კაკინა“ შეარქვა და პატარაობაში მას ყველა ასე ეძახდა.

ჟურნალ „დროშის“ 1973 წლის ნომერში დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსი „კაკინა წვიმაში“. ლექსს შესავალი ჰქონ-

და დართული და მასში აღნიშნული იყო, რომ გალაკტიონმა იგი მარინე ფირცხალავას უძღვნა:

რა ჩიტია, რომ არ სწუდება თავის ბუდეს?
ეს გულია, არ შორდება თავის ბუდეს!
ძირს, გულს, ენას ზედ რომ აკრავს, იგი რაა?
ეს, კაცია, კაცთა მორის მშვიდობაა!

როდესაც მარინეს სკოლაში წასვლის დრო დადგა, ბავშვის სკოლაში მისაღები განცხადება ბაბუამ თვითონ დაწერა და ხელიც მოაწერა – გალაკტიონი. მაგრამ განცხადების თარიღი, 21 აგვისტო, მექანიკურად შეცდომით დაწერა ბავშვის დაბადების დღის – 7 აპრილის ნაცვლად (დაცულია მუზეუმში).

სკოლაში მარინე მე და გალაკტიონმა შევიყვანეთ. გზაში მგოსანმა მარინეს სიამაყით უთხრა, გახსოვდეს ეს დღე, შენ სასწავლებლისკენ გზა დაგილოცა სახალხო პოეტმა.

გალაკტიონს ყოველთვის სურდა ხაზი გაესვა, რომ მის ოჯახში ბავშვი იზრდებოდა. პოეტს ბავშვთან ერთად გამოჩენა ძალიან სიამოვნებდა და ამბობდა, დაინახოს ყველამ, ბავშვს რომ ვზრდი, ჩემი მტრებისთვის ეს გულში ლახვარიაო.

სკოლის ეზოში გალაკტიონი ხეს მიეყრდნო. უფროსი კლასების მოსწავლეებმა პოეტი იცნეს, ჟრიამულით შემოეხვივნენ და ავტოგრაფს სთხოვდნენ. გალაკტიონი იდგა გაბრწყინებული სახით.

მარინე სკოლიდან რომ წამოვიყვანეთ, გაოცებული შევყურებდი გალაკტიონს, ასეთი მხიარული იშვიათად მენახა. მარინეს უყიდა წიგნები, რვეულები, ფერადი ფანქრები... მთელი დღე სახლში სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. მაგიდას რომ მივუსხედით, გალაკტიონმა მარინეს ექსპრომტად ლექსი „გაზაფხული“ უთხრა:

მარინა, მარინა, ა,
რა ლურჯად კამკამებს ცა,
მარინა, მარინა, ე,
რა წუნარად შრიალებს ტუე,
მარინა, მარინა, ო,
იმღერე, შენია დრო,
მარინა, მარინა, უ,
რაკრაკით გემახის რუ.

გავიდა რამდენიმე თვე. მარინე დიდი ხალისით დადიოდა სკოლაში. ერთხელ ბავშვს ზღაპრებს ვუკითხავდი, როდესაც გალაკტიონი სახლში მოვიდა. ერთხანს მისმენდა და მერე მითხრა: „ნუნა, ძალიან მომწონს, ზღაპრების ადაპტირებას რომ აკეთებ და ილუსტრაციების მიხედვით უყვები ტექსტს. ეხლა ერთი რამე დაიმახსოვრე – ასევე მინდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი ილუსტრაციების მიხედვით გააცნო. მეორე წიგნი, კარგი იქნება, რომ იყოს სერვანტესის „დონ კიხოტი“. ასევე, ეს წიგნიც ილუსტრაციების ახსნით უნდა გააცნო. როდესაც გაიზრდება და მათი დამოუკიდებლად წაკითხვის დრო დაუდგება, მაშინ ბავშვს ამ წიგნებისადმი ინტერესი გაღვიძებული ექნება და წაკითხვა აღარ გაუჭირდება.“

გალაკტიონის სახლის აივანზე ხშირად უნახავთ, პოეტი როგორ ესიყვარულებოდა პატარა მარინეს, როგორ ახარებდა ბავშვის წკრიალა ხმა. ზოგჯერ, მუშაობისგან დაღლილი, მუხლზე შემოისვამდა და სიამოვნებით მღეროდა მასთან ერთად.

* * *

ერთხელ, ზამთარში, გალაკტიონი საშინლად დაღლილი, მძიმე ხასიათზე მოვიდა სახლში. შემოსვლისთანავე იქვე, სავარძელში, პალტოგაუხდელი ჩაჯდა და ნინოს უთხრა, გული არა მაქვს კარგადო. ცოტა ხნის შემდეგ დაუძახა, – მოდი, აქ დაჯექი, ვილაპარაკოთო. თავის ახალგაზრდობაზე, ოჯახზე, მაშინდელ სიღარიბეზე ბევრი ილაპარაკა... შემდეგ მარინეს ლექსით მოეფერა:

რანინა, რანინუ, რანინე,
შენ გენაცვალე, მარინე.

ეს ლექსი პოეტმა წამღერებით წარმოთქვა და კარგ ხასიათზე დადგა.

გალაკტიონს განუმეორებელი იუმორი ჰქონდა. გავაცოცხლებ მის გამონათქვამებს გაზეთებიდან: ერთ წვეულებაზე გალაკტიონს ცეკას მდივანი ჩასციებია – თქვენ რითმის ჯადოქარი ბრძანდებით და ისეთი რთული სიტყვიდან, როგორიც „ემპირიოკრიტიციზმია“, რითმას თუ გამოიყვანთო.

– მაგ სიტყვიდან რითმას კი არა, ეშმაკსაც გამოვიყვანო:

ემ-პირიო -კრიტიციზმიდან
იმპერია კრეტინს გვიზრდიდა.

– დაუმარცვლავს გალაკტიონს.

გალაკტიონისთვის უკითხავთ – ბატონო გალაკტიონ, თქვენ საქართველოს პირველი პოეტი ბრძანდებით, ვინ არის მეორე პოეტი თქვენ შემდეგო?

პოეტს სარკასტული ქირქილით უპასუხია, ძამიკო, თუ არ გეწყინებათ, ჩამოთვლას მეხუთედან დავიწყებო.

ეს დიალოგი მოსწრებულად არის გადმოცემული მურმან ლებანიძის ლექსში:

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის!):
ბატონო გალაკტიონ, თქვენ ჰირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე ჰოეტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი -
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
- საქართველოში?!! - ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი.

ავყია და მომაბეზრებელ მწერლებს აფრთხილებდნენ – გალაკტიონთან გამომწვევად არ ელაპარაკათ, თორემ იმ ვეებერთელა პორტფელს, თან რომ დაათრევს, თავზე ჩამოგამხობთო.

გალაკტიონს ყოველთვის თავისი განუყრელი, გაცვეთილი, ორგასაღებიანი პორტფელი ეჭირა, რომელიც მუდამ საკუთარი ხელნაწერებით თუ სტამბიდან წამოღებული ნაბეჭდებით ჰქონდა გატენილი.

მწერალთა გაზეთზე ასეთი რამ თქვა –

თუ არა გაქვთ სინდისი და გემოვნება,
წაიკითხეთ „ლიტერატურა და ხელოვნება“.

მან ერთ ლაურეატზე განაცხადა, გენიალურია, ძამიკო, ეგ პოეტი, გენიალური! ოღონდ ლექსები არ უვარგაო.

ერთი სკანდალური ამბავიც მოხდა: პოეტების მეფეს უარი უთხრეს, წიგნზე მხოლოდ სახელი წაეწერა. მაგრამ გალაკტიონი არ შემდრკალა. რომელიღაც დღესასწაული ახლოვდებოდა. უზარმაზარი წიგნის მაკეტი დაამზადებინა წარწერით – „გალაკტიონი“ და ეს მაკეტი თვითონ ჩაატარა დემონსტრაციაზე ტრიბუნის წინ. მთავრობის გვერდით მდგარ პოეტებს ელვასავით ეცათ თვალში მზეზე ოქროსფრად არეკლილი სახელი – გალაკტიონი.

ბრგე, ახოვანი გალაკტიონი ანტიკურ პანსაც წააგავდა და ბიბლიურ მოციქულსაც. მას ჩვეულებრივი ლაპარაკი უჭირდა, მისი მეტყველება ფეთქებადი იყო, იმპრესიონისტული. ლაპარაკის დროს ირხეოდა, თრთოდა, ფრაზებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა. ხშირ-ხშირად ისვამდა პირზე და წვერზე „არტისტულ" თითებს, თითქოს „აჩუხჩუხებულ რითმებს აკავებდა", თითქოს „აღვირს უჭერდა ლაგამაწყვეტილ, მფრინავ ლურჯა ცხენებს".

პოეტების მეფე ამბობდა: „ყოველივე, რაც საამაყოდ დამრჩა, შეძენილია არა მარტო კაბინეტური შრომით, არამედ ხალხში ყოფნით. იქ მე ვარ გენიალური, საყვარელი, ძვირფასი ყველასათვის. იქიდან მოდის, იქიდანაა შუქი სიყვარულის, ძლევამოსილების, თაყვანისცემის; იქიდანაა ეს სიტყვები აღტაცებისა და სიხარულის, იქიდანაა ხმამაღალი ძახილი ჩემ შესახებ და იქიდანაა ჩემი წარსული, ჩემი აწმყო, ჩემი მომავალი... მაგრამ მე არასდროს ვყოფილვარ მთვრალი ამ გარემოებით იმგვარად, რომ არ მცოდნოდა, სადაა ნამდვილი სიმართლე და სადაა სიყალბე. თავბრუდახვევა ჩემთვის უცნობი იყო ყოველთვის."

პოეტი მხოლოდ სახელით – „გალაკტიონი" აწერდა ხელს ცოცხალი კლასიკოსის სრული უფლებით. მისი ლექსების უამრავი ტომი გამოვიდა და გამოდის.

სიცოცხლეშივე ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, საყოველთაო სიყვარულით იყო გარემოსილი, მთელი საქართველო კითხულობდა და მღეროდა მის ლექსებს. გალაკტიონს ბევრი ჰქონდა აღტაცების დღეები და დღესასწაულები, მაგრამ რაც უფრო მეტ აღიარებას იმსახურებდა, მით უფრო ვერ იცილებდა სიჭაბუკეში დაღდასმული სულის თანმდევ

აჩრდილს მეფისტოფელისა, რომელიც დროდადრო გამოეცხადებოდა და თავს ახსენებდა. ამიტომ სიმშვიდე ვერასოდეს მოიპოვა:

მე მსურს დემონი განვდევნო ლოცვით,
ის ჩემთან ერთად ლოცულობს მაინც.

გალაკტიონის რეიტინგი მიუწვდომელი იყო და კრიტიკოსები მის შემოქმედებაში დიდ სიფაქიზესა და ამაღლებულობას ხედავდნენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, როდესაც ისინი ჟურნალ „ცისფერ ყანწელებს" აკრიტიკებდნენ, სინანულს გამოთქვამდნენ ამ ჟურნალში გალაკტიონის ლექსების დაბეჭდვის გამო. ერთ–ერთი წერდა: „ვწუხვართ და ჩვენს გულისწყრომას ვუცხადებთ მგოსან გალაკტიონ ტაბიძეს, რომ ასეთ უნიადაგო და უვარგის ჟურნალში მიიღო მონაწილეობა."

მიუხედავად გალაკტიონის არნახული დიდებისა, მისმა მარტოხელა სულმა მაინც ამოთქვა ეს სტრიქონები:

შენ ფოლადივით ცივი თვალებით
უცქერ განვლილ გზას და არ ემდური.
რად გინდა, იყო დიდი ჰოეტი,
თუ სიცოცხლეში ხარ უბედური?

* * *

ნინო გალაკტიონს მუდამ მოწიწებით ექცეოდა და მის ყოველგვარ სურვილს სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა. მძიმე იყო დეპრესიულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პოეტთან ყოფნა, სახლში თუ გარეთ.

ნინო ამბობდა: – „ვერც ავადმყოფს და ვერც ავადმყოფობას ვერ ვერეოდი. დილაობით გონება დასვენებული

ჰქონდა და ცდილობდა გაერღვია ავადმყოფობის რკალი, მაგრამ – ამაოდ. ამ მდგომარეობაში კითხვა არ შეეძლო, კალამს ხელში ვერ იჭერდა. ისეც მიცდია, რომ დამემშვიდებინა, თავის ლექსს ვუკითხავდი. ერთხანს მისმენდა, მერე მთხოვდა, გავჩერებულიყავი."

გალაკტიონი გამუდმებით მუშაობდა; ტომების გამოცემა ეჩქარებოდა, მაგრამ წიგნი იგვიანებდა. ამიტომ მისი ნერვული სისტემა ველარ უძლებდა დაძაბულობას.

ერთ დღეს, როდესაც გალაკტიონი გუნებაზე არ იყო და ჩუმად იჯდა, ზარის ხმა გაისმა და ფოსტალიონმა წერილი მოიტანა. კონვერტში მოსწავლის მიერ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი იყო. როგორ გაუბრწყინდა პოეტს სახე. ლექსი რამდენჯერმე წაიკითხა, შემდეგ კედელზე გააკრა. ლექსი ბავშვური ენით იყო დაწერილი, მაგრამ თბილი სიტყვები გალაკტიონის გულს მალამოსავით დაედო, გაუხარდა. სიხარულიც უნაპირო იცოდა! რა ძალა ჰქონდა მისთვის თბილ სიტყვებს! მას ამ ძალის სჯეროდა, ამიტომ კარგი სიტყვის თქმა არავისთვის ენანებოდა.

ბავშვები გალაკტიონისთვის უწმინდესი არსებანი იყვნენ, მათ ყველაფრის ნებას აძლევდა. როდესაც იღლებოდა, ეზოში ჩადიოდა და მარინეს და ზურიკოს თამაშს უყურებდა. შემოღებული ჰქონდა რიტუალი – ყოველდღე, სადილობის წინ, წყაროზე მიჰყავდა ბავშვები პატარა ჭინჭილებით ხელში. მათთვის ეს დიდი სიხარული იყო, რადგან პირველად ეზიარებოდნენ „საქმიანობას".

შემოდგომაზე, როდესაც არემარე წითელ–ყვითელი ფოთლებით დაიფარებოდა, ბავშვები აგროვებდნენ ლამაზ ფოთლებს გალაკტიონთან ერთად, მიჰქონდათ სახლში და წიგნებში აწყობდნენ.



ერთ დღეს გალაკტიონმა მარინეს და ზურიკოს ორი თუთიყუში მოუყვანა. ბავშვები ფრინველებით ძალიან ხალისობდნენ. პოეტი ჩუმად უყურებდა მათ ჟრიამულს. ერთ ღამეს მოულოდნელად აცივდა. ჩიტებმა სიცივეს ვერ გაუძლეს და დაიხოცნენ. აღელვებულმა გალაკტიონმა დაგვიძახა, აივანზე ამოდითო. როდესაც ავედით, დავინახეთ, რომ მას ხელში დახოცილი ჩიტებით გალია ეჭირა.

– შეხედეთ, რა საცოდავად აქვთ ერთმანეთზე თავები მიდებული; ვინ იცის, იქნებ, სიკვდილის წინ ერთმანეთს ამხნევებდნენ. ჩემ თავს ვერ ვაპატიებ, ჩიტები ოთახში რომ არ შემოვიყვანე... ყოველ დილით აივნის კარს რომ გავაღებდი, სილამაზე მესალმებოდა. დიდი სიხარული დავკარგე.

გამაოცა გალაკტიონის ასეთმა ღრმა განცდამ. თითქოს ახლა მივხვდი (ეს ჩემი აზრია და თავს არავის ვახვევ), რომ

დაწერო „ლურჯა ცხენები“, მარტო დიდი პოეტური ნიჭი, ალბათ, საკმარისი არ არის, საჭიროა გქონდეს ღრმა განცდის უნარი.

გალაკტიონს ძაღლებიც უყვარდა. ერთხელ წყნეთის აგარაკზე ძაღლი მოგვიყვანეს და გალაკტიონს უთხრეს, გრძელი ჯაჭვით დავაბამთ, თავისუფლად რომ იაროსო.

პოეტს თვალები გაუფართოვდა და შესძახა, ეს როგორ შეიძლება! დაბმულ ძაღლს რა მაყურებინებს!

* * *

გალაკტიონის უახლოესი მეგობარი იყო გიორგი ქუჩიშვილი, მისი საყვარელი მწერლები – შოთა რუსთაველი, ვაჟა–ფშაველა, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე. გალაკტიონი სულ მუდამ იგონებდა, 1915 წელს როგორ უწინასწარმეტყველა მას აკაკიმ დიდი მომავალი.

განსაკუთრებით უყვარდა შალვა დადიანი. ძალზე უხაროდა, როდესაც ბატონი შალვა ასე მოიკითხავდა ტელეფონით: „ქალბატონო ნინო, დიდ გალაკტიონს სთხოვეთ“, მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონზე ბევრად უფროსი იყო.

დიდ პატივს სცემდა და უაღრესი რწმენა ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიასი. „კოწია სხვა ბიჭია, არ გაგწირავს, არ გიღალატებს“, – სიყვარულით ამბობდა.

პოეტი ადამიანში ყველაზე მეტად ერთგულებას და გულწრფელობას აფასებდა, მლიქვნელობას ვერ იტანდა. თვითონ მუდამ კეთილი და მოკრძალებული, ღალატს და თავხედობას ვერ ეგუებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიასთან გალაკტიონის მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ათიან წლებში ისინი

ქუთაისში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც მოსწავლეები. 1910 წელს, როდესაც გალაკტიონი სასულიერო სემინარიის მოწაფე იყო, კონსტანტინე ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა. ბატონი კონსტანტინეს მოგონებიდან ჩანს, რომ გალაკტიონს მისთვის უთხოვია, ქართულ გიმნაზიაში მოწყობაში დახმარებოდა. გამსახურდიას წაკითხული ჰქონია გალაკტიონის სიჭაბუკის ლექსები და მაღალ შეფასებასაც აძლევდა. ამასთანავე, მას მოსწონდა გალაკტიონის ხასიათი და გარეგნობა – „სულით უმანკო და სათნო, ფიზიკურად ლამაზი“.

დიდ პროზაიკოსს არ დაუყოვნებია დახმარების გაწევა:

– ვეახელი ჩემს პედაგოგებს, ქართული გიმნაზიის დირექტორს იოსებ ოცხელს და სილოვან ხუნდაძეს. მათ დიდი სიამოვნება გამოთქვეს გიმნაზიაში გალაკტიონ ტაბიძის მიწებაზე და დამპირდნენ, გამოუცდელად ჩავრიცხავთ მეშვიდე კლასშიო. გალაკტიონს ეს ვამცნე, მაგრამ რატომღაც აღარ ინდომა გიმნაზიაში შესვლა. მალე მე უცხოეთს გავემგზავრე. წასვლის წინ გალაკტიონი ქუთაისში ვეძიე ამაოდ.

გალაკტიონი და კონსტანტინე 1914 წელს კვლავ შეხვედრიან ერთმანეთს ქუთაისში. ამ წელს აქ გაიმართა ლიტერატურული საღამო. მასში მონაწილეობა მიუღია აკაკი წერეთელსაც. ახალგაზრდებიდან აქ ყოფილან და ერთად სურათიც გადაუღიათ გალაკტიონს, კონსტანტინეს, ტიციანს, ჯაჯუ ჯორჯიკიას და სხვებს. იმ თოთხმეტი მონაწილიდან, რომელთაც მაშინ სურათი ერთად გადაიღეს, როგორც გალაკტიონის მოგონებიდან ჩანს, 1957 წელს ცოცხალი ყოფილან გალაკტიონი, კონსტანტინე, ილია ბახტაძე და დავით მებუკე. სურათი გადაუღია კარგად ცნობილ ფოტოგრაფს ნიკოლოზ საღარაძეს. გალაკტიონი

აღწერს თითოეულის ჩაცმულობას, მათგან გამოარჩევს კონსტანტინეს, რომელსაც ახალი კოსტიუმი აცვია.

1918 წელს გალაკტიონი ისევ შეხვედრია კონსტანტინეს, ახლა უკვე თბილისში. თბილად მოუკითხავთ ერთმანეთი. „გალაკტიონი შეხვედრისას მუდამ მკოცნიდა, – იგონებდა კონსტანტინე გამსახურდია, – შენთან მოვალო, მპირდებოდა, მაგრამ ჩემს სახლში არ მოსულა." თავიანთ ურთიერთობას კონსტანტინე უცნაურსაც კი უწოდებდა.

გალაკტიონი უყურადღებოდ არ ტოვებდა კონსტანტინეს წიგნის გამოსვლას, დაურეკავდა და ულოცავდა; ყოველი ახალი წლის დადგომასაც ულოცავდა.

კონსტანტინე სანანებლად მიიჩნევდა ერთ შემთხვევას: „არ მეყო შორსმჭვრეტელობის უნარი და მასთან არ დავყოვნდი იმ დღეს". როდესაც კონსტანტინე გამსახურდია სამკურნალო დაწესებულებაში მისულა შალვა დადიანის გამოსასვენებლად, გალაკტიონი იქ ყოფილა, ფოიეში და როგორც კი დაუნახავს კონსტანტინე, მისკენ საკოცნელად წასულა, მაგრამ, როგორც კონსტანტინე აღიარებს, „მე მას არ ვაკოცე, ხელი ჩამოვართვი და ცივად გავეყარე. მეჩქარებოდა და შემეშინდა, დიდხანს საუბარი არ გაება ჩემთან".

ამ სიტყვებში, მართლაც, დიდი გულისტკივილი და სინანული ჩანს.

დიდი გალაკტიონი, როგორც საუკუნის გენიოსი, დამსახურებულად აღიარეს საქართველოს პოეტების მეფედ, პირველ სახალხო მგოსნად. ასევე დამსახურებულად ეკუთვნოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობა, თუმცა ხელისუფლება უარყოფითად ყოფილა განწყობილი აკადემიკოსად მისი არჩევისადმი. როდესაც აკადემიკოსად მწერლების არჩევის საკითხი დადგა,

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გალაკტიონს გვერდი აუარა და სხვა პოეტის კანდიდატურა წამოაყენა.

კონსტანტინე გამსახურდია დაახლოებული იყო აკადემიის ვიცე–პრეზიდენტ სიმონ ჯანაშიასთან, მასთან მივიდა და უთხრა: „ვერ წარმომიდგენია ჩვენი აკადემია უგალაკტიონოდ..., გალაკტიონის აურჩევლობა ერის სირცხვილი იქნება...“

საბოლოოდ, გალაკტიონი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ბრალს სდებდა, რატომ უმღეროდა პოეტი საბჭოთა საქართველოს. გალაკტიონი ამის თაობაზე ასეთ განმარტებას იძლეოდა: „მკითხველს სურს ჩემში ხედავდეს მხოლოდ ნაზ ლირიკოსს, მაგრამ განა აქვს უფლება საქართველოს სახალხო პოეტს, ჩაიკეტოს საკუთარ ნაჭუჭში და არად ჩააგდოს თანამედროვეობის იდეალები? მაშინ რაში გამოიხატება პოეზიის დანიშნულება?! მისი უპირველესი ვალია, გაითავისოს ხალხის მისწრაფება, იყოს მის გვერდით და სწორი გზები უჩვენოს ბედნიერი მომავლისკენ.“

გალაკტიონს ყოველთვის ნაცრისფერი ფართხუნა ლაბადა და საკმაოდ შელახული თეთრი ტილოს კიტელი ეცვა. ერთხელ იგი წყნეთში შეხვდა კონსტანტინე გამსახურდიას. დიდხანს ისაუბრეს. ბოლოს კონსტანტინემ უთხრა: „გალაკტიონ, შენ დიდი ესთეტი ხარ ქართულ სიტყვაში და რატომ ყურადღებას არ აქცევ შენს ჩაცმულობას?“

გალაკტიონმა გადაიხარხარა და უპასუხა: „კოწია, შეხედე ამ თითებს! ეს ხუთი თითი მე დავადე პოეზიას და 50 წლის შემდეგ ჩემი პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის, მგონი, სულ ერთი იქნება, რა მაცვია დღეს. პოეზია

მარადიულია და ჩაცმულობა მასთან რა მოსატანია.“

ნინომ გაიხსენა: „ქალაქში საშინელი ამბავი გავრცელდა – ზვიად გამსახურდია დააპატიმრესო. მაშინ ის სკოლის მოსწავლე იყო. გალაკტიონმა ეს ამბავი იმდენად განიცადა, რომ შუაღამემდე კაბინეტიდან არ გამოსულა. მე არ ვასვენებდი, რამდენჯერმე ვთხოვე, კონსტანტინესთვის დაერეკა. გალაკტიონი მპირდებოდა, რომ დარეკავდა, მაგრამ საშინლად უჭირდა მასთან ამ საკითხზე ლაპარაკი. გული დამწყდა, გალაკტიონმა მასთან დარეკვა რომ ვერ შეძლო, რადგან კონსტანტინეს შეიძლება ეფიქრა, რომ გალაკტიონმა არაფრად ჩააგდო მისი მწუხარება. მე კი ვიცოდი, ვინ იყო გალაკტიონისთვის კონსტანტინე და გულში რა ცეცხლი უტრიალებდა. მე განა ამის ახსნას შევძლებ? მაგრამ ასეთი იყო გალაკტიონი!“

* * *

ნინოს მონათხრობი ერთი ლამაზი ეპიზოდიც: „გალაკტიონი მორწმუნე იყო, საგალობლები უყვარდა და ზეპირად იცოდა. ერთ დღეს ეკლესიის გვერდით ჩავიარეთ და შესანიშნავი გალობა მოგვესმა. გალაკტიონმა მთხოვა, შევსულიყავით. წირვა იყო. პოეტი აჰყვა გალობას და ხალხის ყურადღება მიიპყრო მისმა შესანიშნავმა, ძლიერმა ბარიტონმა. ისე ხმამაღლა მღეროდა, რომ მთელი გუნდის ხმა დაფარა. მე შემრცხვა და ეკლესიიდან გამოვვარდი. ცოტა ხნის შემდეგ გალაკტიონიც გამოვიდა, სიცილით მომიახლოვდა და მითხრა; – ნინო, რისი შეგრცხვა, რომ გამოიქეცი?

მე გავჩუმდი, მართლაც, რისი შემრცხვა?

ასეთი უშუალო და უბრალო იყო გალაკტიონი. მე რომ მრცხვენოდა და ვღელავდი, მას ეს ახალისებდა.

შემდეგ, თურმე, მღვდელი დაეძებდა გალაკტიონს და ამბობდა – ეს რა ხმა ჰქონია იმ კაცსო!...“

ეთერ კვირიკაძემ მოიგონა ერთი საინტერესო ამბავი: „გალაკტიონს ძალიან ახარებდა იმ საგნების და ნივთების ნახვა, რომლებიც თავისი შემოქმედების პირველ ნაბიჯებს ახსენებდა. ეს ამბავი ვიცოდი და გულით მსურდა ეს დიდებული პიროვნება რითიმე გამეხარებინა. სიხარული კი მართლაც რომ უზომო იცოდა!

1957 წელს, პოეტის პირველი კრებულის გამომცემლის – ტუტკუ გვარამიას ძმისშვილმა შოთა გვარამიამ მომიტანა გალაკტიონის პირველი წიგნის კლიშე, რომელზედაც გამოხატული იყო ქალი ქნარით, ზემოთ ეწერა: „გ. ტაბიძე“, ქვემოთ – „ლექსები“. კლიშე წავიღე თბილისში გალაკტიონისთვის გადასაცემად. პოეტი უსაზღვროდ გაახარა კლიშეს დანახვამ. დიდხანს ატრიალა ხელში ლითონის ფირფიტა. გულთან მიიდო, სახით ჩაეკრა, რა ექნა, აღარ იცოდა. საიდუმლოდ გამანდო – მეც ვხატავდი ახალგაზრდობაშიო. ეს ჩემი ჩანაფიქრია, ხოლო მხატვარი ქუთაისელია, გრიგოლ მესხი, რომელიც საფიჩხიაზე ცხოვრობდა. ამჟამად ღრმად მოხუცებულია. ვნახავ გრიგოლს და ამას ვუჩვენებ, ძალიან გაეხარდება. ხუმრობა ხომ არაა – 1914 წელსაა გაკეთებული.

გალაკტიონმა დამავალა, ქუთაისში ცხოვრობს ლოტბარი ბართლომე კუხიანიძე, რომელიც თავის მიერ დაარსებულ გუნდს ამღერებდა ჩემს ლექსს „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე, ახალთ ახალი“. ამ სიმღერის ნოტები მინდა მქონდესო.

ასევე უნდოდა სიმღერის „წყალტუბოდან ქუთაისში მი-

მავალო ქაროს“ ნოტები.

დავბრუნდი თუ არა ქუთაისში, ბართლომე კუხიანიძის ვაჟს, სიმონს გალაკტიონის დანაბარები გადავეცი. ნოტები მეორე დღესვე მომიტანა. მეორე სიმღერის ნოტები კი ლოტბარ ბიძინა ღოღობერიძეს ვთხოვე. შემდეგ ორივე წავუღე გალაკტიონს, რითაც დიდად გაიხარა – ესენი ისტორიული, სამუზეუმო დოკუმენტებიაო.“

გალაკტიონი არაჩვეულებრივად კულტურული ადამიანი იყო. მახსოვს ასეთი შემთხვევა: ხონჩის და ჭურჭლის წამოსაღებად გალაკტიონის კაბინეტის კარებზე დავაკაკუნე და შევედი. ბიძია გალაკტიონი დივანზე იყო წამოწოლილი და ისვენებდა. ჩემს დანახვაზე უმალ წამოხტა ეს ბუმბერაზი პიროვნება, დაბნეული ტანისამოსს ისწორებდა და „ბოდიში, ბოდიში!“ გაიძახოდა. როგორ, საკუთარ კაბინეტში დასვენების უფლება არ ჰქონდა?! მაგრამ იმდენად თავაზიანი იყო, რომ ძლიერ შეწუხდა, ამ მდგომარეობაში მანდილოსანს რომ დახვდა.

* * *

გალაკტიონს ქუთაისში სახლის აშენების დიდი სურვილი ჰქონდა. იმ დროს ქალაქკომის პარტიის პირველ მდივნად მუშაობდა ნარსია და გალაკტიონი მასთან მივიდა. სტუმარს დიდი პატივისცემით შეხვდნენ. ნარსია სიხარულით ცას ეწია, როდესაც გალაკტიონმა უთხრა, ქუთაისში სახლის აშენება მინდაო: ჩემი ყრმობა აქ გამიტარებია, აქედან დავიწყე ჩემი შემოქმედება და მსურს სიცოცხლეც აქ დავასრულო. ნარსიამ შესთავაზა, აირჩიეთ, სადაც გსურთ ადგილი და ყოველგვარ პირობას შეგიქმნით, სახლი რომ დროულად ააშენოთო.

ყველანი, ახლობლები და მეგობრები, გახარებული ვიყავით. მთელ სანათესაოში ხმა გავარდა, გალაკტიონი ქუთაისში სახლს იშენებსო. ნინომ ბებიაჩემს ახარა, ახლა ხშირად გნახავთ ქუთაისშიო.

გალაკტიონმა ადგილი ჭომაში, რიონის პირას შეარჩია. „ვაჟა ამბობდა, სამოსახლოდ ყველაზე კარგი ადგილი მდინარის სიახლოვეს არისო", – ამბობდა პოეტი.

გახარებული გალაკტიონი კვლავ ეწვია ქალაქკომს, იქ კი... უარი უთხრეს! ქუთაისის მწერალთა კავშირის იმჟამინდელ ხელმძღვანელს უთქვამს , გალაკტიონი აქ რომ ჩამოვიდეს, ქუთაისელმა მწერლებმა კალმები უნდა დავაწყოთო. შესაძლოა, ისიც იფიქრა, რომ დიდი პოეტის „უფროსად" მას არ გააჩერებდნენ.

* * *

ერთხელ გალაკტიონმა თქვა, ბესო ჟღენტი შემოჩენილია ჩემზე. მომიტანს ვიღაცის ლექსების წიგნს და მეტყვის: „წაიკითხე ეს და შენი აზრი თქვიო", ე. ი. მე უნდა სხვას დავეხმარო, ჩემი სამუშაო კი გვერდზე გადავდო?!

კრიტიკოსები ამბობენ, რომ მე ახალი პოეზიის ერთერთი წარმომადგენელი ვარ. რატომ ერთადერთი არა?! ვის მიყენებენ გვერდით?

იცოდა მან თავისი ფასი! მახსოვს, 1953 წლის 7 ნოემბერი იყო. გალაკტიონი „ლეჩკომბინატში" მკურნალობდა. ამ დროს რადიოდიქტორმა გამოაცხადა :– აი, ტრიბუნას ჩაუარა მეცნიერებათა აკადემიამ..., მწერალთა კავშირმა..., გალაკტიონ ტაბიძემ...

გალაკტიონმა წამოიძახა, – ჩემი ორეული ხომ არ გამოუყვანიათ იქ, ნეტავი?! – ნინომ და გალაკტიონმა გულიანად იცინეს.

პოეტების მეფე იტყოდა – „ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ამბობდნენ, ადამიანის ბედნიერება თვითონ მასზეა დამოკიდებულიო. ეს ნების თავისუფლებაზეა ლაპარაკი, მართალია! ისიც მართალია, რომ ადამიანი თავისუფალია თავის სიცოცხლეში და არავითარი ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს, თუ არის შეგნება. თვითონვე შეჰქმენი პირობები, თვითონვე გამოსჭედე ბედი! არ არის ქვეყანაზე ადამიანი, რომელიც, თავისი მწუხარების გარდა, სხვას ვერაფერს ხედავდეს.“

გალაკტიონი, როგორც დიდი ინტელექტის მქონე პოეტი, მსოფლიო პოეზიას კარგად იცნობდა; ჯერ კიდევ უცნობი, მაღალპოეტური ხერხები თამამად შემოჰქონდა ქართულ პოეზიაში და ამკვიდრებდა კიდევაც მათ.

გალაკტიონს არ ჰქონდა სხვა ცხოვრება, გარდა ლექსისა და ლექსში ჩადო მთელი თავისი ცეცხლი და ნიჭი.

პოეტს თბილისი უყვარდა არა მარტო როგორც მშობლიური ქალაქი, მისთვის თბილისი პოეტური სამყაროს ცენტრი და მუზის ფუძე იყო.

და ვით ქრისტემ გალილეა აირჩია,
მე თბილისი ავირჩიე ბებერი.

ხშირად უნახავთ ბიბლიური გარეგნობის კაცი, დაღლილი, თბილისის ქუჩებში უძინარი სახით მოხეტიალე. მას ჩვევად ჰქონდა ქუჩებში სიარული მზეში, წვიმაში, ქარში, თოვლში. ახალგაზრდები გალაკტიონს რომ დაინახავდნენ, მყისვე მის შესახვედრად მიემართებოდნენ. მას უყვარდა მათთან საუბარი და სიამოვნებით უსმენდა ახალგაზრდებს. პოეტი მათში საქართველოს მომავალს ხედავდა,

ამიტომაც გულწრფელი იყო მათთან. ახალგაზრდებსაც უყვარდათ და დიდად აფასებდნენ მას. ეს გალაკტიონს უდიდეს სიხარულს ანიჭებდა.

1945 წლის დეკემბერია. ცივი და სუსხიანი დღეა, მაგრამ უჩვეულოდ მღელვარე. სასტუმრო „ქუთაისის" წინ ზღვა ხალხი ირევა. „გალაკტიონი, ჩვენი გალაკტიონი!" – ისმის შეძახილები და მხურვალე ტაში. ხალხის შუაში დინჯი ნაბიჯით მომავალი სანდომიანი სახის კაცი გამოჩნდა. სტუდენტი ახალგაზრდობის სტუმარია სახელოვანი პოეტი. 6 დეკემბერს კი მესხიშვილის სახელობის თეატრში გაიმართა ქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა დიდ პოეტთან. სცენაზეა ყვავილები და გალაკტიონის სურათი. კათედრაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები და პოეტები.

როდესაც კათედრასთან გალაკტიონი დადგა, ტაშის გრიალი დიდხანს არ შეწყვეტილა. კითხულობდა დიდი შთაგონებით და ტემპერამენტით. წაიკითხა რამდენიმე ლექსი, სულ ბოლოს „მე და ღამეს" სულშიჩამწვდომი სტრიქონებიც გაისმა – „ჩვენ ორნი ვათ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე" – დაამთავრა გალაკტიონმა და დარბაზში, თითქოს განგებ, სინათლეც გამოითიშა. მართლაც, თქვენ ორნი ხართ ქვეყანაზეო, სცენიდან წამოიძახა დოდო ანთაძემ.

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. გალაკტიონს ფრონტიდან დაბრუნებული , სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა პოეტი ესტუმრა. მისი მოსვლა ძალიან გაუხარდა. ბევრი ისაუბრეს. ბოლოს გალაკტიონმა ახალგაზრდას მისი ლექსების შესახებ ჰკითხა...

– ამ დროს, ვარჯიშიდან დაბრუნებული, ოთახში შევედი, – სპორტული ჩანთა კუთხეში დავდე თუ არა, გალაკტიონმა ხელი ჩემკენ გამოიშვირა და სტუმარს ღიმილით

უთხრა – აი, ჩვენი კაპიტანიც მოვიდა!

მაგიდასთან მჯდომი სამხედრო პირი მაშინვე წამოხტა და მხედრულად მომესალმა. ამის შემყურე დიდმა პოეტმა გულიანად გადაიხარხარა. შეცბუნებული ახალგაზრდა კი ხან მე მიყურებდა, ხან – მასპინძელს.

გალაკტიონმა სიცილით გული რომ იჯერა, კმაყოფილმა ხელი წვერზე მოისვა და სტუმარს მიმართა: – დაჯექი, დაჯექი. ჩვენი ნუნუ სამხედრო კი არა, კალათბურთელთა გუნდის კაპიტანია!

* * *

გალაკტიონი ილია ჭავჭავაძის მკვლელობას აღშფოთებით ლექსით გამოეხმაურა. ეს ლექსი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ციხეში პოლიტიკურ პატიმართა შორის. გალაკტიონი თავის „დღიურებში“ იგონებს: „1907 წელს რიონის სადგურზე იუსტინეს ამოუტანეს გაზეთი, რომელშიც ეწერა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ. მისმა მკვლელობამ დიდი მღელვარება გამოიწვია ხალხში. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მისი მოკვლა სულიერადაც მოიწადინეს. ისინი ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს ილია იყო გულქვა, მჩაგვრელი და დაუნდობელი მებატონე.

1940 წლის ზაფხულში გალაკტიონი საგურამოში, ილიასეულ სახლში ისვენებდა, სადაც ხანდაზმულ ადამიანებს შეხვედრია. მისი თქმით, ყველა სიყვარულით იგონებდა ილია ჭავჭავაძეს.

გალაკტიონმა გაიხსენა მოხუც ქალთან საუბარი: „პურის მცხობლად ვიყავი ილიასთანა. გადმოდგებოდა ის მადლიანი აივანზე და, დამინახავდა თუ არა, დამიძახებდა: „ქეთევან, ქეთევან, ეგრე ბევრს ნუ მუშაობ, ბევრი შვილი

გყავს და შენ რომ რამე დაგემართოს, მათ რა ეშველებათ?!"

საღამოობით დამტვირთავდა სანოვაგით და ისე გამიშვებდა. მისი დღეობა რომ იმართებოდა, ახლომახლო სოფლების მცხოვრებლები, დიდი და პატარა, განცხრომაში იყვნენ, თვითეულ ოჯახს საჩუქრებს ურიგებდა, ფართალს და სხვა ნივთებს."

ასე ახსოვთ და სიყვარულით იგონებენ ილია ჭავჭავაძეს.

ილიას გავლენა გალაკტიონის ოსტატობაზე მნიშვნელოვანია. მის შემოქმედებაში გაისმის ილიას პატრიოტული მოტივების გამოძახილი. იმ წელს საგურამოში გალაკტიონმა ილიასეულ თემაზე რამდენიმე ლექსი დაწერა. როგორც პოეტი იტყოდა: „ილიას გონების ძალა არა მარტო სიტყვებშია; იგი ზომავდა საგნებს თავისი განსაკუთრებული თვალთახედვით... ბრიტანული თავშეკავებულობა კარგი ზრდილობის მაჩვენებელი იყო მისთვის"

გალაკტიონისა და მთელი ჩვენი ოჯახისათვის ილია სულიერი სიძლიერის სიმბოლოდ და საფიცარ ხატად იქცა. გალაკტიონის ყრმობის დღიურში წარუშლელად წერია მისი სიტყვები: „სული ჩვენი ოჯახისა იყო დიდი ილია – საფერფლე ილიასი, „ივერია", მამის გზა...".

გალაკტიონი ვერა და ვერ შეეგუა ილიას მკვლელობას; მუდამ ახსოვდა, არასოდეს ივიწყებდა, აღმერთებდა.

ნინოს მოგონებიდან: „გალაკტიონი დილით ყოველთვის უთენია დგებოდა. ხუმრობდა – ადამიანმა ნახევარი ცხოვრება ძილში არ უნდა დაკარგოსო. ერთ დღეს ფანჯარასთან მივიდა და დიდხანს შეცქეროდა ცას. უხვად ბარდნიდა. ძალიან უყვარდა თოვლიან ამინდში სეირნობა... მაგრამ მალე დაბრუნდა. როგორც კი შემოვიდა, მყისვე ვიგრძენი, რაღაც უბედურება უნდა შეხვედროდა – ხელები უკანკალებდა, არაფრისმთქმელი, მკვდარი გამოხედვა



ჰქონდა. რაღაც კარგად ვერ ვარო, შემომჩივლა და შემდეგ აი, რას მოყვა: ძალიან მომინდა ილიას სახლის ნახვა და გადავწყვიტე იქ წავსულიყავი. სახლს რომ მივუახლოვდი, ხეს მივეყრდენი და ფიქრებში წავედი – გავიხსენე ძველი დრო, ილია... სანატრელი სიმშვიდე დამეუფლა. თოვლი უჩვეულოდ ბზინავდა, თითქოს პატარ–პატარა ვარსკვლავები ხტიანო. ანაზდად ქუჩის მყუდროება საშინელმა კივილმა დაარღვია; მივიხედე და საკუთარი თვალით დავინახე, როგორ დაეჯახა მანქანა ქალს. ქათქათა თოვლს სისხლის კვალი დააჩნდა... არა, ბედისწერას ვერ გადვურჩები, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს. იგი მუდამ ჩემს გვერდით არის. ვცდილობ ჩამოვიშორო, მაგრამ დროებით გაყუჩებული თავის საათს ელოდება... სულიერი სიმშვიდე ჩემთვის ოცნებად რჩება.

ძნელი გასაგები არაა, რა ხდებოდა გალაკტიონის სულში. ვუყურებდი პოეტს და მაგონდებოდა დოსტოევსკის სიტყვები: «Смысл человеческого существования - сострадание».

* * *

გალაკტიონს იოსებ გრიშაშვილთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მათ ერთმანეთთან მიწერ-მოწერაც ჰქონდათ (1911–1912). პოეტი ი. გრიშაშვილს ქუთაისიდან უგზავნიდა ლექსებს ჟურნალ „საქართველოში" დასაბეჭდად. ის იოსებს სწერდა – თუ მართლა გამართავ ლიტერატურულ საღამოს ქუთაისში, უთუოდ მეც მივიღებ მონაწილეობასო.

წერილებს გალაკტიონი ყოველთვის ასე ამთავრებდა: „შენი ნიჭის თაყვანისმცემელი გალ. ტაბიძე".

ერთ-ერთ წერილში გალაკტიონი ი. გრიშაშვილს რჩევას სთხოვდა თავისი ლექსების ცალკე კრებულად გამოცემის თაობაზე: – მე კარგად არ ვიცი და შენგან ველი რჩევას ამ საქმეზე, ჩემო იოსებო.

გალაკტიონი იოსებ გრიშაშვილს უახლოეს მეგობრად თვლიდა და ცდილობდა გაემხილა თავისი გულისნადები, თავისი მარტოობა. 1915 წელს სწერდა: – ძვირფასო სოსო, მაპატიე, რომ ვერ გისრულებ დავალებას ავადმყოფობის გამო.

გალაკტიონს ძალიან მოსწონდა ი. გრიშაშვილის ლექსები, მაგალითად, ლექსს „ჩამოეხსენი" იგი საუცხოოდ მიიჩნევდა და ზეპირადაც დაუსწავლია.

1912 წლის მარტში ქუთაისში იოსებ გრიშაშვილის საღამო გაიმართა, რომელსაც უამრავი ხალხი დაესწრო, უმეტესად კი – ქალთა საზოგადოება, რადგან, როგორც გალაკტიონმა მოსწრებულად შენიშნა, „შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეს" მოელოდნენ გრიშაშვილისგანო.

გალაკტიონი ხშირად აწვდიდა რედაქციებს ცნობებს, ამა და ამ ქალაქში გასამართი საღამოების თაობაზე. ერთ-ერთ აფიშაზე მისი სახელი და გვარი იყო გამოცხადებული, მაგრამ ამის შესახებ გალაკტიონისათვის არავის

არაფერი უთქვამს. ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ ეწერა: გაიმართება იოსებ გრიშაშვილის საღამო, მონაწილეობას მიიღებენ ესა და ეს პირებიო და მათ შორის მოხსენიებული იყო გალაკტიონიც. რა თქმა უნდა, პოეტს ეწყინა, რომ არაფერი უთხრეს.

პოემა „მწყემსი“ (დაიბეჭდა ჟურნალ „თემში“) გალაკტიონმა მიუძღვნა იოსებ გრიშაშვილს; პოემის გარდა, კიდევ სამი ლექსი: „შემოდგომა“, „მეგობარს“ და „გაზაფხულის ღამე“.

გალაკტიონის ლექსი „როცა ბულბული განთიადისას“ იოსებ გრიშაშვილის რედაქტორობითა და შესწორებით გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოში“. ი. გრიშაშვილი ამ ლექსის შესახებ წერდა: „1908 წელს ჟურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავი. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოდიოდა... მათ შორის უშუალო განცდით და კარგი ხელის მოსმით გამოირჩეოდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები... როდესაც გ. ტაბიძის ლექსები მივიღე, მაშინვე გადავწყვიტე მათი დასტამბვა, მაგრამ ორივე ლექსი გაჭიანურებულად მომეჩვენა, განსაკუთრებით მეორე, რომლის ყოველი ხანა ერთფეროვან „როცა“–თი იწყებოდა. რედაქტორებს ერთი სენი სჭირთ, უეჭველად უნდა შეამოკლონ დასაბეჭდი მასალა, ამიტომ მეც ათკუპლეტიანი ლექსიდან 10 სტრიქონი დავტოვე. ლექსს გალაკტიონ ტაბიძის მაგივრად მივაწერე – „ტაბი“. ვალერიან გუნიას ფსევდონიმები უყვარდა, ახალგაზრდა პოეტებს არ ანებივრებდა სახელი და გვარის მიწერით. მეც მისი შეგირდი არ ვიყავი? სახელი „გალაკტიონი“ არ მომეწონა. ასე მეგონა, პოეტს, რომელიც ვარდ–ბულბულზე ლაპარაკობდა, სახელიც შესაფერისი უნდა ჰქონოდა. გალაკტიონი სულ ამოვაგდე, „ძე“ მოვაშორე და დარჩა „ტაბი“.

გალაკტიონის გარდაცვალების წლისთავზე, მოგონების „ჩვენი გალაკტიონის“ დაწერამდე, იოსებ გრიშაშვილს ჰქონდა ჩანაწერი – „რომ ვთქვა, გალაკტიონი ჩემი მეგობარი იყოო, შეიძლება არავინ დამიჯეროს. „შეიძლებას“ იმიტომ ვამბობ, რომ გალაკტიონს მეგობარი არ ჰყოლია... ჩემს ქაღალდებში ვიპოვე წერილი, რომელიც დათარიღებულია 1912 წლით, ე.ი. როცა ის 20 წლისა იყო და მე – 23–ის. ის უჩივის თავის მარტოობას... ბარათაშვილის ობლობას. ეს კაეშანი თან წაიღო სამარეში ჩემმა ძვირფასმა გალაკტიონმა, მეოცე საუკუნის საქართველოს პირველმა პოეტმა...“

ერთხელ იოსებ გრიშაშვილს სახელგამის შესასვლელში გალაკტიონი შეხვდა. დაინახა თუ არა, ასე მიესალმა – სოსო, შე ძველო, გამარჯობა!

იოსებმა უპასუხა: რა გიჭირს, საქართველოს პირველი პოეტი ხარ!

გალაკტიონს ძალიან გახარებია და იქვე მიმავალი ბორის სერებრიაკოვისთვის უთქვამს:

– Вот он говорит, что я первый поэт, запомни...

უყვარდა დიდოსტატს დითირამბები. ის ამის ღირსი იყო უეჭველად!

მოგონებაში „ჩვენი გალაკტიონი“ იოსებ გრიშაშვილი დიდი გულისტკივილით წერდა მგოსნის ტრაგიკული სიკვდილის შესახებ, ვისთანაც ნახევარსაუკუნოვანი სიახლოვე აკავშირებდა: „ჩემს თვალწინ ახლაც კვლავ ცოცხლად დგას დიდი შემოქმედებითი ცეცხლით ანთებული ის მოუსვენარი გალაკტიონი, როგორიც მახსოვს პირველი ლექსების გამოქვეყნებისას და ჩემში იგი ასეთად დარჩება მარადის.



გალაკტიონი ჩვენი წინაპრების პოეტური სიტყვის ახალგაზრდა მემკვიდრე იყო. ის მდიდარი სულიერი საუნჯე, რომელიც მისმა ნიჭიერებამ შეჰქმნა, ჩვენს მომავალ თაობებს დაუტოვა. მან ჩვენს მრავალსაუკუნოვან მდიდარ ლიტერატურას შესძინა ნაზი, სათუთი, მღელვარე ლექსები. მისი სათნო, კეთილი სახე, მისი მადლიანი სიტყვა მუდამ დარჩება ქართველი ხალხის, მომავალ თაობათა გულში და უკვდავ გალაკტიონს მისი „ლექსები თვით მკვდრეთითაც აღადგენს მას!"

დედაჩემი იგონებდა: „აივანზე ვიჯექი კაკინასთან ერთად. გალაკტიონიც გამოვიდა აივანზე. ამ დროს ქუჩაში გამოჩნდა იოსებ გრიშაშვილი, აივნის ქვეშ გაჩერდა და მისალმების შემდეგ გალაკტიონს ეუბნება: გალაკტიონ, ახალგაზრდობიდან ჩვენ ყოველთვის ერთად გვახსენებდნენ – გალაკტიონ ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი. ერთ რამეს გთხოვ, მე და შენ მინდა ისეთი სურათი გადავიღოთ, როგორიც აკაკისა და ილიას სურათია.

გალაკტიონმა ჩვეული თავაზიანობით უპასუხა: – სოსო, ძამიკო, ყოველთვის მზად ვარ შენი სურვილი შევასრულო. დავთქვათ დრო და გადავიღოთ.

იოსები დაემშვიდობა და წავიდა. გალაკტიონი ოთახში შევიდა, ბოლთას სცემდა, თან რაღაცას ბუტბუტებდა და იღიმებოდა. შემდეგ მე და ნუნუს გვეუბნება: ჩემი ქალის იდეალია;

მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ედემი...

ახლა შევადაროთ სოსოს ქალის იდეალი;–

ჰამაკში მწოლი, ნებიერი.

* * *

მწერალი რევაზ მიშველაძე გადმოგვცემს: „1957 წლის 7 მარტი. ბატონი გალაკტიონი ორმოცი დღე „ლეჩკომბინატის" საავადმყოფოში იწვა. „მკურნალობდნენ", არიგებდნენ, მოძღვრავდნენ, უთვალთვალებდნენ, ალკოჰოლის (როგორც ამბობდნენ) საწინააღმდეგო წამლებს ასმევდნენ. ბოლოს ეს ყველაფერი მოსწყინდა. შესძულდა ყველა წამალი და პირობა დადო, რომ სასმელს აღარ დალევდა. თითქოს ამ პირობას ელოდნენო, გამოწერეს.

როგორ მონატრებია თავისი ბინა, მაგიდა, საწერ–კალამი! მარტოობა! – ასე სანატრელი რომ გაუხადეს ამ ბოლო დროს. არადა, ის მარტოობისთვის იყო დაბადებული.

მაგრამ გალაკტიონმა პირობა დაარღვია და სამკურნალოდ საავადმყოფოში კვლავ წაიყვანეს. პოეტი როდესაც მოსაცდელში იცდიდა, დაახლოებით თერთმეტ საათზე, მწერლები შემოვიდნენ: ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგი ჭილაია, ელიზბარ უბილავა, მამია ასათიანი, სიმონ ჩიქოვანი, ალიო მირცხულავა...

ირაკლი აბაშიძემ გალაკტიონი მაშინვე შენიშნა, ხელგაწვდილი წავიდა. გალაკტიონი თავმჯდომარეს წამოუხტა და დიდი ხნის უნახავივით გადაეხვია.

– თქვენ... აქ... ძამიკო, რატომ მოხვედით? – გალაკტიონმა ჰკითხა დანაწევრებით.

– შალვა დადიანი წუხელის გარდაიცვალა.

გალაკტიონს ეს ამბავი ძალიან ეწყინა; მძიმედ, უხმოდ განიცადა.

ხუთიოდე წუთში მწერლები თანმიმდევრობით გამოვიდნენ მთავარი ექიმის კაბინეტიდან. გალაკტიონს უნდოდა შალვა დადიანისთვის თვალი შეევლო, მაგრამ მწერლებმა, როგორც ჩანს, სხვა კარებიდან წაასვენეს ცხედარი.

მეოთხე სართულზე ერთადგილიან მეშვიდე პალატაში გალაკტიონს შეზლონგი დაუდგეს. ერთ–ერთი ავადმყოფის მეუღლემ ამაზე სასტიკი პროტესტი განაცხადა, ეს პალატა ერთი ავადმყოფისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ორი ავადმყოფი წევს, მესამის ჩამატება რაღა უბედურებაა! ჩემს ქმარს ცალკე ოთახი არ ეკუთვნის? ვისა აქვს ჩემს ქმარზე მეტი დამსახურება, ვინ გააკეთა ჩემს ქმარზე მეტი ამ ქვეყნისთვის? ამისთვის იომა, ამისთვის იშრომა? თქვენ გგონიათ, არა აქვთ ადგილები?..

მართლაც, საავადმყოფოში „ძლიერთა ამა ქვეყნისათათვის" გამზადებული ლუქსები საიმედოდ იყო ჩარაზული. გალაკტიონმა ბლოკნოტი, რომელიც მანამდე შეზლონგზე დადო, აიღო, ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა. ორიდან ექვს საათამდე ვესტიბიულში ბოლთასა სცემდა, თავის პალატაში აღარ შებრუნებულა..."

ამით დაასრულა ბატონმა რევაზმა თავისი მოგონება.


როგორ შეფასებას აძლევენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას მეცნიერები და მწერლები

ბესარიონ ჟღენტი: „გალაკტიონ ტაბიძე განახლებული ცხოვრების მგზნებარე მომღერალი იყო, თავისი უწმინდესი გრძნობებისა და მისწრაფებების შთაგონების გამომხატველი. იგი ხალხის მიერ სამუდამოდ აღიარებულია ჩვენი დროის უდიდეს ქართველ პოეტად, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის უდიდესი კლასიკოსების ღირსეულ მემკვიდრედ, ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ფუძემდებლად, მის პირველ კლასიკოსად. ჩვენი საუკუნის დამდეგს გალაკტიონმა ღრმად, გულის სიღრმემდე შემართული ძალით გამოხატა თავისი ლირიკული გმირის მწვავე სულიერი დრამა, მისი მძაფრი კონფლიქტი ბნელ, რეაქციულ სინამდვილესთან. მისი „სისხლის წვეთით და სასოებით" დაწერილ სევდიან სიმფონიაში ჟღერდა პოეტის შთაგონებული ოცნება სამშობლოს ბედნიერ მომავალზე.

ერთ შედევრში გალაკტიონი მიმართავდა თავის დიდ წინამორბედებს:

რომ, აჩრდილნო,
მე თქვენს ახლოს
სიკვდილს ვეგებები,
რომ მეფე ვარ და მგოსანი
და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს
თქვენთან ჩემი ქნარი...

დიახ, იგი მართლაც მეფე იყო ჩვენი დროის მხატვრული სიტყვისა. იგი, ჩვენი საუკუნის დიდებული მგოსანი, მართლაც განუმეორებელ სიმღერებში მოკვდა. საუკუნეებს წაჰყვება მისი ჯადოსნური ქნარი."



გიორგი ჯიბლაძე: „გალაკტიონ ტაბიძე კლასიკური ქართული პოეზიის არა მარტო ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია, არამედ ახალი პოეზიის დიდი ფუძემდებელიც. იგი ნამდვილად იყო თანამედროვე ქართული პოეზიის დამწყები, მისი ყველაზე დიდი წარმომადგენელი, კლასიკოსი, სინდისი, მშვენება და სიამაყე. მისი ლექსებიდან გვესმის საოცრად ნაზი ხმები, სიყვარულისა და პატრიოტიზმის განმადიდებელნი, გამოსჩანს გულწრფელი უშუალობა, გვიცქერის ქართული სილამაზე და ყოველთვის იხედება ადამიანური პატიოსნების ფართოდ გახელილი თვალი. ეს უკვე გალაკტიონის ცოცხალი პოეზიის მთელი მორალური კოდექსია, რომელიც უდიდესი მხატვრული ოსტატობით გადმოიცა მისსავე შემოქმედებაში.

გალაკტიონის ლიტერატურული მემკვიდრეობა თვალუწვდენელი ოკეანეა, რომლის ძირსაც უამრავი პოეტური მარგალიტი ამშვენებს. ეს მარგალიტები ანცვიფრებენ ჩვენს თაობას, ჩვენს საუკუნეს და ასევე გადაეცემიან განსაცვიფრებლად მომავალ თაობებს, მომავალ საუკუნეებს. იგი უკვდავი დარჩება ქართული პოეზიაში მისივე უკვდავი სიმღერებით. ქართველმა ხალხმა მიუძღვნა ერთი უმაღლესი ჯილდოც – საყოველთაო სიყვარული, გალაკტიონის მიერვე სავსებით დამსახურებული და განმტკიცებული. ეს სიყვარული მარად გალაკტიონის თანმხლები იქნება საუკუნეთა ტევრში.“

ტერენტი გრანელი: „გალაკტიონი განსაკუთრებულად გამოირჩევა ქართველ პოეტთა შორის. იგი არის ქართული სიტყვის მეუფე, ახალი პოეზიის რენესანსული გაქანების უპირველესი პოეტი. მას აქვს ღვთაებრივი ძალა, მის პოეზიას – ღვთაებრივი მუსიკა. გალაკტიონი განუმეორებელი, ორიგინალური და თავისუფალი პოეტური ფენომენია,

საქართველოში პოეზიის რენესანსში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის. იგი თავისი ლექსებით დიადი და ძლევამოსილია...“

მარიკა ბარათაშვილი: „გალაკტიონი ჩემი სალოცავი პოეტია. რა დიდი სითბოთი, სიყვარულით, ერთმანეთის პატივისცემით იყო სავსე ჩვენი შეხვედრები... უდიდესი სიამოვნებით ვმონაწილეობდი გალაკტიონის საიუბილეო საღამოებში; ვკითხულობდი მისადმი მიძღვნილ ლექსებს ოპერის თეატრში, მთაწმინდის პლატოზე თუ ფილარმონიის ბაღში.

კარგად დამამახსოვრდა გალაკტიონის ერთ–ერთი იუბილე: ოპერის თეატრი ხალხითაა გაჭედილი. სცენაზე პოეზიის მეფეა. მას 50 წელი შეუსრულდა. პრეზიდიუმის მაგიდასთან აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე საღამოს უძღვება. გაისმის ქება–დიდების გამომხატველი სიტყვები, მილოცვები, ყვავილების და საჩუქრების მირთმევა, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვა. მეც მივეახლე, მივულოცე და ჩემი „გალაკტიონი“ წავუკითხე.

არ დამავიწყდება მომდევნო საღამოც პლეხანოვის (მარჯანიშვილის) გამზირზე მდებარე „გოფილექტის“ ბაღში. უამრავმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. სცენა სავსეა საღამოს მონაწილე მწერლებით, მსახიობებით.

ბოლოს პოეტს სთხოვეს მიკროფონთან. წამოდგა და ლექსის „მთაწმინდის მთვარე“კითხვა დაიწყო. შუა კითხვაში შეეშალა, დაიბნა. მართალია, მსმენელებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ მან კითხვა შესწყვიტა და აღელვებული დაუბრუნდა თავის სავარძელს.

– ეს რა მომივიდა, ქალბატონო მარიკა, ეს რა მომივიდა, – გადმომილაპარაკა აფორიაქებულმა.

– ისეთი რა მოხდა? – ვეცადე დამემშვიდებინა, – ყოველი, ამ დარბაზში მყოფი ხომ ბედნიერად ჩათვლიდა თავს, „მთაწმინდის მთვარე“ რომ დაეწერა, თუნდაც, ყოველი წაკითხვისას შეშლოდა.

მადლიერებით შემომხედა. როგორი გულსუფთა და ბავშვივით გულუბრყვილო იყო! თავად კი უხდებოდა ბრიყვთა და მოშურნეთაგან თავის დაცვა. ამიტომაა, რომ ხანდახან „იჩხვლიტებოდა“.

ამბობენ, რომ თავს ვერ უვლიდა, ლოთობდა, სიმთვრალეში დაკარგა ორდენი... ჩემთვის კი, ისე, როგორც სხვა მრავალი კეთილმოსურნისათვის, გასაგებია, რომ გალაკტიონი მხოლოდ ალკოჰოლით გაბრუებული ახერხებდა მიეყუჩებინა ის ტკივილი, რაც მის ნათესავ–მეგობრებს, მის სამშობლოს, მის ხალხს დაატყდა თავს და სულ სხვა სამყაროში გადასახლებული ჰქმნიდა პოეტურ შედევრებს.

1951 წლის 17 იანვარს დიდმა მგოსანმა, გალაკტიონმა უდიდესი სიხარული მომანიჭა – ლექსი მომიძღვნა. ეს დღე უბედნიერესი იყო ჩემს ცხოვრებაში.

მარიკა ბარათაშვილს

მადლობელი ვარ
თქვენი, მარიკა,
როს ხანა მქონდა
უოფნა-არუოფნის,
თქვენმა გულწრფელმა
ხმამ შემარიგა
აქ ბევრ რამესთან...
სიტუვა არ მუოფნის.

სერგეი სმირნოვი (რუსი პოეტი): - „გალაკტიონ ტაბიძე ჭეშმარიტად დამსახურებული სახალხო პოეტი იყო. საქართველო ის მადლიანი მიწაა, რომელმაც იცის, როგორ გამოხატოს სიყვარული თავისი დიდებული შვილებისადმი. გალაკტიონი სამშობლოს მიმართავდა: „შენთან სიკვდილამდე განუყრელი ვარო“, მაგრამ აქ იგი შეცდა. იგი ახლაც, სიკვდილის შემდეგაც განუყრელია თავის სამშობლოსაგან. იგი თავისი მარად ჭაბუკური პოეზიით ცოცხლობს ჩვენს გულებში. გალაკტიონი იყო ხალხის მომღერალი, სინდისი, მიწაზე ყოველივე სიკეთის მეგობარი. საქართველოს პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი ხალხს უყვარს, ხალხის სიყვარული კი უკვდავია, რადგან ხალხი უკვდავია.“

სერგეი სმირნოვმა გალაკტიონისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული თავის ლექსში ასე გამოხატა:

ჩვენს გულებს ცეცხლად მოედო
შენი სიმღერა მძლავრი.
დღეს შენს წინ თავს ვხრით, ჰოეტო,
სიყვარულით და კრძალვით.

რაჩიკ გრიგორიანი (სომეხი მწერალი): - „გალაკტიონ ტაბიძემ უნიჭიერესი ლექსებით უმღერა თავის სამშობლოს და მშობლიურ ხალხს. იგი არა მარტო შესანიშნავი პოეტია, არამედ გამოჩენილი ნოვატორი და ლიტერატურაში ახალი გზების აღმომჩენიც. მისი სახელი დგას იმ ბუმბერაზთა სახელების გვერდით, რომლებმაც პირველი გრანიტოვანი აგურები ჩაუწყვეს ახალი პოეზიის საძირკველს. გალაკტიონი მარად დამკვიდრდა ახალი კულტურის დიად შემოქმედებით პანთეონში. ასეთი ადამიანები არ კვდებიან. მისი მომხიბლავი სიმღერები მუდამ იცოცხლებს ხალხ-



გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, თამარ ჭავჭავაძე

ის გულებში. გალაკტიონის ლექსებში გრძელდება მისი სიცოცხლე, ლექსებშია მისი უკვდავება...“

ატკაი (დაღესტნელი მწერალი): - „ჩვენ, დაღესტნელები, ყოველთვის დიდად ვაფასებდით და ვაფასებთ დიდებული პოეტის, პოეზიის არწივის, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. იგი იყო უდიდესი კაჟის კლდე, რომლის თვითეული ნაწილი ნაპერწკლებს აფრქვევს და მუდამ ცეცხლს ანთებს ქართველთა გულებში. კაჟი იმითაა კარგი, რომ მისი უმცირესი ნაწილიც უამრავ ნაპერწკალს იძლევა. ის ცეცხლი, რომელიც კაჟის ნაპერწკლებმა დაანთო, იმდენად ძლიერია, რომ მისი ელვარება არასოდეს გაჰქრება. გალაკტიონ ტაბიძე არის ქართული კლასიკური ლიტერატურის თანამედროვე პრომეთეოსი.“

* * *

გალაკტიონი ძალიან ხშირად ფიქრობდა და ლაპარაკობდა თვითმკვლელობაზე.

ერთხელ ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე მარჯანიშვილის ხიდზე მიდიოდნენ. უცებ შორიახლოს გალაკტიონი გამოჩნდა. კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა – ახალგაზრდებო, მოდით, მტკვარში გადავხტეთ.

ახალგაზრდები დაიბნენ, ამ უხერხული მდგომარეობიდან ისინი ჯანსუღ ჩარკვიანმა გამოიყვანა, – ბატონო გალაკტიონ, ახლა ძალიან ცივა, მოდით, გაზაფხულისთვის გადავდოთ. – კარგი, გადავდოთ, – გულუბრყვილო ბავშვივით დაეთანხმა მეგობარს.

მეც მაქვს ჩემი მოსაგონარი, ამბობს ნუნუ: მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი გალაკტიონის ქანდაკებაზე მუშაობდა. ბიძინა ჩემი მეგობარი იყო და მთხოვდა, პოეტი მასთან სეანსებზე მიმეყვანა, მაგრამ გალაკტიონი ხან მიმყვებოდა, ხან – არა. ბოლო დღეს მე გალაკტიონთან ერთად მივედი. ქანდაკება დასრულებული იყო, მხოლოდ რამდენიმე დეტალი ჰქონდა დარჩენილი გასაკეთებლად.

– ბატონო გალაკტიონ, თქვენი „წამება" დასრულდა, – უთხრა ოსტატმა გალაკტიონს. პოეტმა ქანდაკებას შეხედა და თქვა, – ძამიკო, ჩემი ვარცხნილობა ენგელსს მაგონებს.

ბიძინა შეცბა. მაშინ საუბარში ჩავერიე, – გეხუმრება, სერიოზულად არ მიიღო ეს სიტყვები.

გალაკტიონმა გაიცინა და თქვა: არ გეწყინოს, „კას" ხასიათზე დავდექი (ამის თქმა კარგ ხასიათზე ყოფნისას იცოდა), შენმა დალოცვილმა ხელებმა საოცრება შეჰქმნა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს შედევრი ბინას მთაწმინდაზე დაიდებს ჩემთან ერთად...

სკულპტორმა შეაწყვეტინა – ბატონო გალაკტიონ, რა დროს ამაზე ლაპარაკია?

გალაკტიონი მდუმარედ უყურებდა ქანდაკებას. შემდეგ მოულოდნელად მოგვიტრიალდა და გვითხრა – ტოლსტოის სიკვდილის ძალიან ეშინოდა.

გალაკტიონს მწერალთა კავშირში გავყევი, რადგან იქიდან წყნეთში უნდა წავსულიყავით. შენობიდან რომ გამოვედით, მითხრა – გაიხედე ისე, რომ არ შეგამჩნიონ. იქ პოეტები დგანან. ახლა ისინი საპურმარილოდ მიდიან, მაგრამ მე არ მეუბნებიან.

– კი მაგრამ, რატომ? – გაოცებულმა ვკითხე.

– იმიტომ, ჩემო ნუნა, რომ, როდესაც სუფრასთან ვზივარ, პირველი სადღეგრძელო ყოველთვის ჩემი ისმება. ამას კი გოგლა ლეონიძე ვერ ეგუება, რადგანაც სტალინის პრემიის ლაურეატი გახდა და ეს მას დიდ პრივილეგიებს ანიჭებს, პირველობა სურს.

– რას ამბობთ, ბატონო გალაკტიონ! ეგ თუ სტალინის პრემიის ლაურეატია, თქვენ ხალხის პრემიის ლაურეატი ბრძანდებით და ამას ვერსად გაექცევა.

– ნუნა, შენ ნახევრად პოეტი ქალი ხარ, რადგან ეს ძალიან კარგად გამოთქვი.

– ბატონო გალაკტიონ, ნინოს ეძახით ნახევრად პოეტ ქალს, ახლა კი მეც მიწოდეთ. არ შეიძლება შევაერთოთ და ოჯახში ერთი პოეტი ქალი გვყავდეს?

– თქვენ ხომ ლექსებს არ წერთ. რა ვქნა, ლექსს ვერ ვუღალატებ!.. – სრული სერიოზულობით მითხრა. ვიგრძენი, რომ საჭირო სიტყვები რაღაცნაირად მოვნახე და გავამხიარულე.

გოგლა ლეონიძე წყნეთში გალაკტიონთან ახლოს ცხოვრობდა. ორი დღის შემდეგ გოგლამ გალაკტიონს აგარაკზე

გამოუარა და სახლში მიიპატიჟა. გალაკტიონი არ გაჰყვა, რადგან იცოდა, მასთან მისვლას რა მოჰყვებოდა. ისინი დასხდნენ ეზოში დიდი მსხლის ქვეშ და დიდხანს საუბრობდნენ.

ჟურნალისტ გრიგოლ ვაშაკიძის მოგონება: „ერთ შემოდგომას ქობულეთში ვისვენებდი. საღამოს რამდენიმე მეგობართან ერთად რესტორან „კურზალში" წავედი. რესტორნის გარეთა აივანზე, ერთ–ერთ მაგიდას გალაკტიონი უჯდა. ეტყობოდა, პოეტს მარტო არ ესადილა, მაგიდაზე ორი წყება სერვიზი ელაგა, ახლა კი, მარტოდ დარჩენილს, ჯერაც ხელუხლებელი ღვინით სავსე ბოთლი მაგიდაზე ედგა. თავისთვის რაღაცას ჩუმად ლაპარაკობდა და ხანგამოშვებით იღიმებოდა. მაგიდას რომ ჩავუარეთ, პოეტს მივესალმეთ. მან მისალმებაზე არ გვიპასუხა. ერთხანს გაკვირვებული შემოგვცქეროდა და ბოლოს გაგვიღიმა. ჩვენ იქვე მაგიდას მივუსხედით. ამ დროს რესტორანში შემოვიდა ქალბატონი, როგორც ოფიციანტმა გვითხრა, გალაკტიონის მეუღლე, ქალბატონი ნინო. იგი მივიდა პოეტთან და წყნარად სთხოვა, სახლში გაჰყოლოდა. გალაკტიონი არ გაჰყვა და ქალბატონი უთქმელად წავიდა.

გადავწყვიტეთ პოეტის მიპატიჟება ჩვენს მაგიდასთან. მივედი და მოკრძალებით ვთხოვე – პატივცემულო გალაკტიონ, გთხოვთ დაგვდოთ პატივი და ჩვენს მაგიდასთან გვეწვიოთ.

პოეტმა ჯერ გაოცებით შემომხედა, მერე გამიღიმა, უხმოდ წამოდგა და ჩვენს მაგიდასთან გადმოვიდა, თან იმეორებდა: „გმადლობთ, გმადლობთ, ვაჟკაცები ხართ".

პოეტს ღვინო მივაწოდეთ, უარი თქვა – არ შემიძლია დალევა, არ ვარ ხასიათზე.

ბევრი ვეხვეწეთ, გვინდოდა „პატივი გვეცა", მაგრამ









მთელი საღამოს განმავლობაში მხოლოდ ორი ჭიქა დალია – ერთი, თვითონ გალაკტიონის სადღეგრძელო, რომელიც ფეხზე ადგომით შესვა – გაუმარჯოს გალაკტიონს! და მეორე – საქართველოს სადღეგრძელო, ისიც ფეხზე ადგომით შესვა. პოეტი თითქოს მარტო იყო, ჩვენს საუბარში არ ერეოდა, თავისთვის იღიმებოდა.

ჩვენი მაგიდის ერთ–ერთი წევრი, რკინიგზელი, პოეტს გამოელაპარაკა – მე თქვენ გიცნობთ, ბატონო გალაკტიონ, მე ხარაგაულის რაიონიდან ვარ. მახსოვს, თქვენ რომ სოფელ ფარცხნალში ბრძანდებოდით მასწავლებლად, მაშინ პოეტი არ იყავით.

გალაკტიონი ტყვიანაკრავივით გაშეშდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ მშვიდი სახე მიიღო და ჩაილაპარაკა – ფარცხნალი... პოეტი არ იყავიო! უცებ ხელები ჩაავლო მხრებში მოსაუბრეს, მაგრად შეანჯღრია და ხმამაღლა მიახალა – დიახ, მე მაშინ ვიყავი, რაც ვიყავი... ან როდის იყო, გალაკტიონი პოეტი არ იყო?

შევატყეთ, პოეტი ძალზე განაწყენდა. ყველა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით, საბრალო ხარაგაულელმა კი არ იცოდა, რა ექნა. ამის შემდეგ პოეტი ჩვენ აღარ გამოგველაპარაკა, თავისთავს ესაუბრებოდა, ისევ იღიმებოდა... ხანდახან ჩაილაპარაკებდა – ფარცხნალი... ჰმ, პოეტი არ იყავიო...

უკვე კარგად დაღამებული იყო, რესტორნიდან რომ გავედით. პოეტს შევთავაზე, ბინამდე მიგვეცილებინა, დაგვეთანხმა, გზადაგზა პოეტი ჩერდებოდა, ზღვას თვალს არ აშორებდა. ბინას ვუახლოვდებოდით, როდესაც გალაკტიონის მეუღლე შემოგვეგება, მადლობა გადაგვიხადა და პოეტს ხელი მკლავში გაუყარა. გალაკტიონი თითქოს ახლა გამოერკვა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და გადაგვკოცნა.

ხარაგაულელის ჯერი რომ დადგა, ოდნავ შეჩერდა. გავიფიქრეთ, რაღაც მოხდებოდა, მაგრამ არა, ისიც გადაკოცნა. შემდეგ გვითხრა, – ვაჟკაცები ხართო, გადაიხარხარა და ცოლს გაჰყვა."

მურმან ლებანიძის ლექსში „გალაკტიონ ტაბიძე" ნინოს როლი კარგი მეტაფორული გამოხატულებაა მისი ცხოვრებისეული როლისა გალაკტიონთან მიმართებაში:

როგორც მწვრთნელი შიშითა და ძრწოლით
შორიახლო ლომს მიჰყვება ბებერს,
რუსთაველზე მიჰყვებოდა ცოლი
საქართველოს პოეტების მეფეს.

* * *

1945 წელს ქუთაისში დიდი ზეიმით აღინიშნა გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავი. ჩვეული სითბო და სიყვარული შეაგებეს ქუთაისელებმა საყვარელ პოეტს.

ერთ დღეს გალაკტიონმა ახალგაზრდა სტუდენტ პოეტებს განუცხადა – ახლა ჩვენ უნდა ვნახოთ „ადამიანი". „მწვანე ბაზარში" იყიდა ლეჩხუმური ლობიანი, მჭადი, მწვანილი, ყველი, რამდენიმე ბოთლი ღვინო და ახალგაზრდების ამალით წმინდა გიორგის ტაძრისაკენ გაემართა ქვეითად. ადიოდა აღმართში თოვლის ფიფქებით წვერშეევერცხლილი პოეტი, თითქოს სიმბოლურად მიუძღოდა ჭაბუკებს აღმართის დასაძლევად, მაღლა ასასვლელად. კიდევ უფრო რომანტიკული იყო ის მომენტი, როდესაც ტაძრის გარშემო მიმოფანტულ საფლავებს შორის ერთერთს მიუახლოვდა, სვანური ქუდი მოიხადა, ქვიდან თოვ-



ლი გადაწმინდა, ერთი ჭიქა ღვინო სამარეს მოასხურა და ემთხვია. ყურძნის წვენი და პოეტის ამბორი თბილ ლოცვად დაეფინა საფლავს, სადაც განისვენებს პოეტი მამია გურიელი. ვიღაცამ წყნარად წარმოთქვა გურიელის ცნობილი ლექსი „ადამიანი“ შემდეგ ისევ ლექსები...

1946 წლის 21 დეკემბერს, ზეიმზე, გორში ჩავიდნენ მწერლები, მსახიობები... იქ ერთმანეთს შეხვდნენ გალაკტიონი და ვერიკო ანჯაფარიძე. პოეტმა სეროზის დროს ქალბატონ ვერიკოს კალამბური მიუძღვნა:

ვერიკო ვერ იტანს
In vino veritas.

დოდო ჭიჭინაძე ჟურნალს კითხულობდა. გალაკტიონმა დაინახა და დაუძახა

– დოდო, ბიძიკო, რას კითხულობ მანდ?

– „ლიტერატურა და ხელოვნებას“, – უპასუხა.

– მომაწოდე, – უთხრა პოეტმა. გამოართვა ჟურნალი და ზედ წააწერა:

თუ გაქვს სინდისი და გემოვნება,
ხელთ არ აიღო „ლიტერატურა და ხელოვნება“.

გალაკტიონისთვის როგორც ყველაზე საქებარი სიტყვა იყო „პოეტი“, ისე ყველაზე საგინებელი სიტყვები იყო



„პირწავარდნილი ლოთი" პარადოქსია, მაგრამ გალაკტიონი ნასვამ კაცს ვერ იტანდა, თუ თვითონ ფხიზელი იყო.

ამის საილუსტრაციოდ ნინო ერთ ეპიზოდს იგონებს: „1948 წელს სოხუმში გალაკტიონისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამო ჩატარდა. გალაკტიონს თან ვახლდით მე და ნუნუ. მომხსენებლად წამოიყვანა კრიტიკოსი სიმონ წვერავა. გაზეთები აჭრელებული იყო გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსებით. საღამო საინტერესოდ წარიმართა და პოეტი უაღრესად კმაყოფილი იყო. მაგრამ ბანკეტზე ნახევარ საათზე მეტი არ დარჩენილა. ძალიან ბევრს ეხვეწნენ, რომ დარჩენილიყო, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ის ღვინოს არ ეკარებოდა, სუფრასთან არ ჯდებოდა.

გალაკტიონმა მე და ნუნუ სასტუმროში წაგვიყვანა, ხოლო ბატონი სიმონი ბანკეტზე დარჩა. გვიან საღამოს კრიტიკოსმა კარებზე დაგვიკაკუნა. გალაკტიონმა გვანიშნა, ჩუმად ვყოფილიყავით და კარი არ გაუღო. მე ბოდიში მომიხადა, რადგან მიხვდა, რომ შევწუხდი და მითხრა – ნინო, ხომ იცი, მთვრალი კაცი ჩემს ნერვულ სისტემას ანადგურებს და სწორედ ამიტომ ვცდილობ, თავი ავარიდო.

1950 წელს თბილისიდან ქუთაისში მიმავალმა გალაკტიონმა ასეთი ჩანაწერი გააკეთა – „ეგ რა ციხეა? ნუთუ სურამის ციხე? სწორედ ისაა! იქ რო წყალი დავლიე, ისეთი

არსად დამილევია, რაღა!"

პოეტ კლარა გელაშვილის მოგონება, დაცული დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმში: „1953 წლის ცხელი აგვისტოა. გალაკტიონი ქვიშხეთში იმყოფება. ამაყად დააბიჯებს დიმიტრი ყიფიანის ნატერფალზე. ფიქრით ბევრს ფიქრობს, მაგრამ ხმამაღლა ყველაფერს ვერ ამბობს... ადგენს გეგმას, სადაც მონიშნულია: ვერიკო ანჯაფარიძის ქორწილი, „ჯაყოს ხიზნების" სიუჟეტი, ლეო ქიაჩელთან და სანდრო შანშიაშვილთან შეხვედრა და სხვა.

მწერალთა სახლში ბორჯომიდან გერონტი ქიქოძე ესტუმრა. გალაკტიონმა დრო და ადგილი ჩაინიშნა: „7 აგვისტო, 1953 წ., ქვიშხეთის მწერალთა სახლი"

ერთხელ გალაკტიონი და მე წყნეთიდან თბილისში მოვდიოდით. მან შემომთავაზა, მოკლე გზით ქვემო წყნეთამდე ფეხით ჩავსულიყავით. როდესაც დაბლა ჩავედით, დავინახე, რომ უზარმაზარ ტერიტორიას ღობე ერტყა და იქითა მხარეს გადასვლა ძნელი იყო. თივის ზვინს ფეხი დავადგი და, იმდენად მსუბუქი წონის ვიყავი, რომ მეორე მხარეს ადვილად გადავეშვი. გალაკტიონმა მე მომბაძა, მაგრამ, ვაი, უბედურებავ! – თივის ზვინს ფეხი რომ დაადგა და მეორე ფეხის დადგმა დააპირა, თივის ზვინმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ნელ–ნელა ჩაიზნიქა. გალაკტიონმა ღობიდან ფეხი უკან ველარ გადმოიტანა. მე საშინელი კივილი მოვრთე. სამი ქალი ბოსტნიდან გამოვარდა და მოგვეშველნენ. ნერვიულობისგან ბალახზე მივეგდე და ტირილი ამივარდა. ასეთი შიში მანამდე არ მიგრძვნია. გალაკტიონს სიმშვიდე არ დაუკარგავს და აქეთ მამშვიდებდა – ნუ ღელავ, ნუნაო.

ერთ დღეს ჩვენთან ორი ვაჟი მოვიდა, რომლებმაც გამაფრთხილეს, რომ გალაკტიონი შეუძლოდ გამხდარიყო და

„კირკაზე“ (მარჯანიშვილის მოედანი) მაღაზიის ფანჯრის გარეთა რაფაზე იჯდა. მისი სახლში წამოყვანა უნდოდათ, მაგრამ გალაკტიონმა უარი უთხრა და სთხოვა – დიდად დამავალებთ, თუ ჩემს სახლში წახვალთ და ნუნუს მოიყვანთო.

იმ დროს ჩემთან ეთერ გელაშვილი იყო და ორივე გალაკტიონისკენ გავიქეცით. მე რომ დამინახა, გაეხარდა, გადაიხარხარა და ყველას გასაგონად თქვა, – სპორტსმენები მოვიდნენ, მაშველი ძალა მოვიდა!

სხვების დახმარებით მე და ეთერმა გალაკტიონი რაფიდან ავაყენეთ და, ჩვენს მხრებზე ხელებით დაყრდნობილი, ნელი ნაბიჯით სახლში წავიყვანეთ. ქუჩაში მიმავალი ხალხი გალაკტიონის დანახვაზე ჩერდებოდა და სიყვარულით უყურებდა, ზოგი კი უკან მოგვყვებოდა. ამ სიყვარულს გალაკტიონი გრძნობდა და ყველას ღიმილით ესალმებოდა. ამის დანახვაზე ეთერმა მითხრა, – ახლა, ამდენი ხალხის წინაშე ქუჩაში ასეთ მდგომარეობაში მყოფი სხვა ვინმე რომ მომყვებოდეს, როგორ შემრცხვებოდა, მაგრამ გალაკტიონი რომ მიმყავს, რა სიამაყით მივაბიჯებო!

გალაკტიონი სახლში რომ მივიყვანეთ, კარი დედაჩემმა გაგვიღო, უკან კი ჩემი შვილი, პატარა მარინა იდგა. პოეტმა ბავშვს „ჩესტი“ აუღო და უთხრა: – რას გვიბრძანებ, გენერალო? გენერლის ყველა ბრძანებას ვასრულებ!

მეორე დღეს ეთერის ნათქვამი გალაკტიონს გადავეცი, რამაც ძალიან ასიამოვნა – ქება ხომ ბავშვივით ახარებდა! ძაგება კი ანაღვლიანებდა. თვითონაც ისეთი პიროვნება იყო, რომ არ უყვარდა ვინმეს ძაგება.

რამდენიმე დღის შემდეგ, ეთერი ჩვენთან რომ მოვიდა, გალაკტიონმა დამნაშავესავით ყური აუწია და ღიმილით ჰკითხა, – ჩემპიონო, ჩემზე რა თქვი?

ეთერი შეცბუნდა, მაგრამ გალაკტიონმა შუბლზე რომ აკოცა, მიხვდა, პოეტი ეხუმრა და მისი ნათქვამი მოეწონა.

პროფესორი ვახტანგ ახობაძე წერდა: „არც ერთ პოეტზე თუ საზოგადო მოღვაწეზე იმდენი არ დაწერილა, რამდენიც გალაკტიონ ტაბიძეზე. დღესდღეობით არსებობს ათასზე მეტი ავტორის ხუთი ათასი წერილი თუ ნარკვევი. თუ გალაკტიონზე დაწერილ ლექსებსა და პოემებს, ან სხვა მხატვრულ ნაწარმოებებს მივუმატებთ, ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა.

დომენტი ახობაძე და გიორგი ახობაძე სოფელ ჭყვიშში გალაკტიონის სახლ–მუზეუმის გახსნაზე მუშაობდნენ (გაიხსნა 1966 წელს). გიორგი ახობაძე წლების განმავლობაში გალაკტიონ ტაბიძის სახლ–მუზეუმის დირექტორი იყო.

ჩვენ, სამივე, გალაკტიონის მიწის შვილები ვართ, და ამით ძალიან ვამაყობთ!"

* * *

ნინოს კიდევ ერთი მოგონება: „1958 წლის ზამთარი. გალაკტიონი დიდი ხანია დეკადისთვის ემზადება, მაგრამ მოულოდნელად მძიმე რეციდივის სახით უბრუნდება ავადმყოფობა. გადის დღეები, მაგრამ ვერა და ვერ აღწევს თავს ამ სულიერ განწყობილებას, მეტადრე ეს დილაობით ჩანს: დადის ოთახში წინ და უკან, ჩერდება და დაჟინებით დასცქერის ხელებს – მათ კანკალს სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. რას განიცდის პოეტი, საკუთარ თავთან დამარცხებული, რა ამოიკითხება მის გამოხედვაში, როდესაც უყურებს ხელების გაუთავებელ კანკალს? – უკიდეგანო სულიერი ტანჯვა? სიკვდილის ლანდი? უიმედობის მწარე

ტკივილი? ამაღლებული სულის დამარცხება ფიზიკურ უძლურებასთან? ალბათ, ყველაფერი ერთად უტევს მის ტანჯულ სულს.

დღის მეორე ნახევრამდე ებრძვის ავადმყოფობას, არ ნებდება. ამ მდგომარეობაში ოთახში მარტო არ რჩება, ყველაფერი მეორდება – ვუკითხავთ, ვესაუბრებით... წუხს, დეკადაზე რომ ვერ მიდის. მწერალთა კავშირიდან დარეკეს, მან უარი განაცხადა გამგზავრებაზე.

გალაკტიონს წნევა უმთავრესად ნორმალური აქვს. ექიმმა გაუზომა და ამჯერად მაღალი აღმოაჩნდა. ექიმმა ბევრი ესაუბრა იმის თაობაზე, რომ მას შესწევს ძალა, მოერიოს საკუთარ თავს. მან ხომ ასეთი მდგომარეობა არაერთხელ გადალახა. გალაკტიონი თავჩაქინდრული უსმენს ექიმის დარიგებას, მხოლოდ ხანდახან ელიმება ექიმის სიტყვებზე. კრინტს არა სძრავს, არც არაფერს ჰპირდება.

გავიდა კიდევ რამდენიმე მძიმე დღე. ერთ საღამოს სრულიად მოულოდნელად განმიცხადა – ეს მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს, უნდა დაესვას წერტილი. ნახავ, ხვალიდან ყველაფერი შეიცვლება.

დადგა მეორე დღეც. როგორც ყოველთვის, დილით ადრე ადგა. საუზმე კაბინეტში შევუტანე, თუ ისაუზმებდა, გამოცდილებით ვიცოდი, თავს დააღწევდა, გამოვიდოდა ამ მდგომარეობიდან (ავადმყოფობის დროს დღის მეორე ნახევრამდე ლუკმას ვერ იდებდა პირში). ერთხანს უყურა ჩაის ფინჯანს, მერე შემომხედა და მოსვა. აკანკალებული ხელით პური აიღო და მუჭაში ჩაიდო (ეს ჩვეულება ჰქონდა – როდესაც ჭამა არ შეეძლო, პურს მაინც იღებდა და მუჭაში ეჭირა საათობით). მე გავეცალე, მეორე ოთახში დავჯექი და ვიცდიდი, როდის დამიძახებდა. კაბინეტში რომ შევედი, ჩაი დაელია, ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა.



ამჯერად, დეკადაზე ნასვლამდე ვერ მოახერხა სრული გამოჯანმრთელება, ამიტომ დეკადაზე წაჰყვა მისი მდივანი გოგი ჩიქობავა. მაგრამ, სამწუხაროდ, გოგი გულის შეტევით სოჭის საავადმყოფოში დატოვეს...

ყველაზე კარგი შთაბეჭდილება, რაც გალაკტიონს მოსკოვიდან გამოჰყვა, ეს იყო ვახტანგ გურგენიძესთან გატარებული რამდენიმე დღე. აი, რა მიამბო: – ნინო, იცი, რა ვეფხვი ყოფილა ვახტანგი?.. ის რომ არ ყოფილიყო, რა გამაძლებინებდა მარტოდმარტო დარჩენილს? ჩემთვის ვინ მოიცლიდა... დარბოდნენ დოღის ცხენებივით აქეთ–იქით. ეს იყო ტიპიური დოღი, გამჩენს ვფიცავარ! ერთი კაცი იყო მარტო გაჩერებული და მეც იმას ჩამოვეკიდე, ეს კაცი ვახტანგ გურგენიძე იყო.

ბატონი ვახტანგი ხშირად ამოდიოდა მთელი დღით ჩვენთან, წყნეთში. გალაკტიონი და ვახტანგი საათობით საუბრობდნენ. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი გალაკტიონის ბუნება, ამიტომ საუბრისას საჭირო სიტყვებს ყოველთვის პოულობდა, იცოდა, რა სიამოვნებდა პოეტს. საერთოდ, გალაკტიონთან თავისუფალი ურთიერთობა ჰქონდა, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე. პოეტს მოსწონდა მისი თბილი, ჰუმანური ხასიათი. წარმოიდგინეთ, ბატონი ვახტანგი ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ

მისგან შენიშვნებსაც კი იღებდა (საქმე ეხება მის ჯანმრთელობას), პირობას უდებდა, რომ წიგნზე მუშაობის დაწყებამდე მიხედავდა ჯანმრთელობას. ჩემთვის ამ რეგისტრში საუბრის წაყვანა გალაკტიონთან დიდი დახმარება იყო, ჩემს სათქმელს ეუბნებოდა, რადგან მეშინოდა, ერთი და იმავეს ლაპარაკით თავი არ მომებეზრებინა, მაგრამ სულ გაჩუმებაც ხომ არ ივარგებდა? გამოცდილებით ვიცოდი, რომ მისი ავადმყოფობის გარკვეულ ფაზაში შეიძლებოდა შთაგონებას რაღაც ძალა ჰქონოდა.

გალაკტიონმა ვახტანგი წყნეთში პირველად რომ ამოიყვანა, მაშინვე შევნიშნე, რომ მეტად შინაურულად იყო გალაკტიონთან. ჩემთვის უდიდესი შვება იყო, როდესაც მის გვერდით ერთგული ადამიანი მეგულებოდა.

ვახტანგ გურგენიძემ და პროფ. გივი კილურაძემ გალაკტიონი ერთი კვირით ფშავში დასასვენებლად წაიყვანეს. ვახტანგმა მითხრა, – მეგონა, გალაკტიონს საკმარისად ვიცნობდი, მაგრამ, ქალბატონო ნინო, არ ვიცოდი, თუ ასე მორიდებული იყო. მისმა განუზომელმა მორიდებულობამ ნამდვილად გამტანჯა.

მინდა ხაზი გავუსვა პოეტის ბუნების ერთ შტრიხს: – განაგრძობდა ნინო გალაკტიონის ხასიათის აღწერას; – ჩაფლული იყო მხოლოდ თავის სამყაროში, უმეტესად უსმენდა საკუთარ თავს. ამგვარი ბუნების ადამიანს, ერთი შეხედვით, უნდა გასძნელებოდა სხვისი ბუნების გაგება, ამიტომ ყოველთვის გაოცებული ვრჩებოდი, როდესაც ორ სიტყვაში დახატავდა ადამიანს. შეეძლო ყოვლისმომცველი შეფასება ადამიანის ბუნებისა. საყოველთაო აზრი კი ისეთი იყო, თითქოს ვერ ამჩნევდა, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. შესაძლოა, ეს ჭეშმარიტებაა, ოღონდ, ეტყობა, მისი გონების „გარკვეული ნაწილი“, პოეზიიდან თავისუფალი,

მათემატიკური სიზუსტით აფიქსირებდა მოვლენებს. ხშირად მიგრძვნია მისი ბუნების ასეთი გაორება: ფიქრებში წასულს, თითქოს, არაფრის აღქმა შეეძლო, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ირკვეოდა, რომ ყველაფერი ახსოვდა. ადამიანებს, ჩემი აზრით, ინტუიციით თავიდან აღიქვამდა, ხოლო შემდეგ უმთავრესს, ძირეულს ამჩნევდა. ასე შეიცნო გალაკტიონმა ბატონი ვახტანგის უსაზღვროდ ერთგული ბუნება.

რა თემაზეც უნდა დავიწყო საუბარი, შეუძლებელია არ შევეხო გალაკტიონის განუზომელ კეთილშობილებას და სიკეთეს; მგონია, სხვაგვარად რაღაცას ვაკლებ, ვაუფასურებ მის უჩვეულოდ მდიდარ ბუნებას.

იმ ტრაგიკულ, მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს (ავადმყოფობის გამო ვერ გავყევი, როგორც ყოველთვის მე მას მივყვებოდი), როგორც გადმომცეს, საავადმყოფოში ამხნევებდა ავადმყოფებს. თვითონ უმძიმეს სულიერ განწყობილებაზე მყოფი, თავს ვალდებულად თვლიდა, იმედი ჩაენერგა მათთვის; ეპატიჟებოდა წყნეთში სუფთა ჰაერზე საბოლოო გაჯანსაღებისათვის. ყველა იმ საშინელი დეტალის ფონზე უმძიმესი გადასატანი სწორედ ამ სიტყვების მოგონება იყო ჩემთვის – ნათლად წარმომიდგა გალაკტიონი... როგორიც იყო... სიცოცხლის ბოლო წუთებმაც ვერ დათრგუნა მასში ამაღლებული სული, რომელმაც მაინც სიკეთისაკენ უბიძგა უკანასკნელად...

ნინოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სწამდა, რომ გალაკტიონის დაღუპვა ბრმა შემთხვევა იყო. რა იყო საფუძველი ამ ეჭვების? იმ დილას გალაკტიონი ძალიან მშვიდად იყო, არანაირი ნერვიულობა არ ეტყობოდა, პირიქით, მეხუმრებოდა და სიცოცხლის ხალისი ჰქონდა. გალაკტიონის საავადმყოფოში მისვლა ბატონ შალვა დადიანის გა-

მოსვენებას დაემთხვა. საავადმყოფოდან უნდა გამოესვენებინათ. გალაკტიონი, ალბათ, სკამზე მუხლებით დადგა, ფანჯრიდან გადაიწია, რომ გამოსვენების პროცესი დაენახა, მძიმე წონის გამო, შესაძლებელია, თავი ვეღარ შეიკავა და გადავარდა. რატომღაც ამაში ვარ დარწმუნებული, რადგან სულ ცოტა ხნის წინ ის მზად იყო პალატაში დარჩენილიყო და ემკურნალა.

ვახტანგ გურგენიძემ პირნათლად მოიხადა ვალი თავისი მხცოვანი მეგობრის წინაშე, აუსრულა პოეტს ცხოვრების უპირველესი ოცნება – მოაწყო მეტად მნიშვნელოვანი გამოფენა არქივში. წლების მანძილზე უშრეტი ენერგიის წყალობით შეაგროვა უნიკალური მასალები გალაკტიონზე და მისივე სახლ-მუზეუმს გადასცა, ამით კი, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „დიდებული საქმე გააკეთა“

* * *

გალაკტიონის პირველი, მეტად საინტერესო გამოფენა ვახტანგ გურგენიძემ არქივში მოაწყო. განსაცვიფრებელია, სად და როდის მოახერხა ამდენი ახალი მასალის შეგროვება... ბატონმა ვახტანგმა დამავალა, ბიძინა ავალიშვილისთვის მეთხოვა, გალაკტიონის ბიუსტის ასლი გაეკეთებინა. ხელოვანი იმ პერიოდში მძიმედ იყო ავად, მაგრამ უარი არ უთქვამს, დათქმული დროისათვის დაპირება შეასრულა. მადლობა მოვუხადე და ვუთხარი, ავადმყოფი შეგაწუხეთ-მეთქი. ოსტატმა მიპასუხა – გალაკტიონისთვის არ დავზარდები, თუნდაც სიკვდილის პირას ვიყოო.

ბიუსტის წამოსაღებად ჩემი შვილიშვილი რეზო ჩხეიძე და მისი მეგობარი არჩილ ჟღენტი წავიყვანე. ორმეტრიანი



ბიჭები ბიძინას პატარა სახელოსნოში რომ შემოლაგდნენ, სკულპტორს გაეცინა და მკითხა: სად იპოვნე ეს გოლიათები, ნუნუ?

– კალათბურთის მოედანზე!

კვირა დღე იყო. ნინომ თავისი შვილიშვილის – ზურიკოს მონახულება გადაწყვიტა. გალაკტიონმა ჩვენთან ერთად წამოსვლა მოინდომა. მანქანაში დედას ვუთხარი, რომ ზეინაბმა ვარჯიშის დროს ფეხი იღრძო-მეთქი. დედა შეწუხდა, რადგან ზეინაბი მარტო ცხოვრობდა და მომვლელი არავინ ჰყავდა. დუთუ და ზეინაბი მეზობლები იყვნენ. დედამ თქვა, ზეინაბთანაც შევიაროთ და მოვინახულოთო.

გალაკტიონმა იკითხა – ხონსუმ ფეხი იტკინა? (ეს კნინობითი სახელი ზეინაბს გალაკტიონმა შეარქვა, რადგან ხონელი იყო) და ლექსი „ხონსუზე“ იმ წამსვე შეთხზა:

ასე ძვირფასი ტენორის მქონეს
არვინ უსმენდა მეეტლეს ხონელს.
ვინ მოხვალთ ხონსუ, - იძახდა, მაგრამ
ჩანდა, ამაოდ კარგავდა ღონეს.

გალაკტიონისთვის არ მითქვამს, რომ ზეინაბი შვიდმეტრიან ოთახში ცხოვრობდა, სადაც ერთი ბოძი უაზროდ იყო აღმართული. კარი ღია იყო, შევედით. გალაკტიონი წინ გავატარე და როდესაც ოთახში შევიდა, თავისი გენიალური თავი ამ დედაბოძს მიარტყა, მაგრამ არ დაბნეულა: – ხონსუ, როგორი თავისებური ოთახია, მეგონა სვეტი მხოლოდ სასახლეებს ამშვენებდა, უთხრა ზეინაბს – და თავისებურად ჩაიცინა.

– ბატონო გალაკტიონ, დამცინით? – წყენით ჰკითხა ზეინაბმა.

– ასეთად მიცნობ? უბრალოდ, გამაოცა ამ სვეტმა ასეთ პატარა ოთახში.

ამ დროს დუთუ შემოვიდა და მასთან წავედით. ზურიკომ და კაკინამ ერთმანეთის ნახვით გაიხარეს.

სახლში რომ წამოვედით, დედამ გალაკტიონს ჰკითხა: – ის ოთახი მართლა მოგეწონა?

– მომეწონა თუ არა, რა საინტერესოა. საინტერესო ის არის, რომ გოგო ძალიან შემეცოდა. ზამთარში მანდ ცხოვრება გაუსაძლისი იქნება, რადგან ფარღალალა კედლები აქვს.

შემდეგ ჩაფიქრდა და მითხრა, – ახალგაზრდობაში მეც ხომ დიდი გაჭირვება გადავიტანე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ წყნეთში და სოხუმში ორი აგარაკი მექნებოდა, საკუთარი მანქანა და მძღოლი მომემსახურებოდა. ასე რომ ხონსუს მდგომარეობა მე კარგად მესმის.

ასეთი იყო ჩვენი დიდბუნებოვანი გალაკტიონი. მას თანაგრძნობის უდიდესი უნარი ჰქონდა.

ქუთაისის სიყვარული რომ განუშორებლად თან სდე-

ვდა პოეტს, ამის დადასტურებაა ეთერ კვირიკაძის ერთი მოგონება: „გალაკტიონმა გადმომცა გამოუქვეყნებელი ავტოგრაფი თავისი ლექსისა – „მტევანი ქვისაგან". მასთან ერთად ჩამაბარა ბაგრატის ტაძრის კაპიტელის ჩამონატეხი, რომელიც ყურძნის მტევანს გამოსახავდა. გალაკტიონი მას ინახავდა, როგორც ძვირფას რელიქვიას. პოეტს სურდა, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ყოფილიყო ორნამენტი და ლექსი.

თან მიეიღე საჩუქრად
დაჩეჩქვილ-დანახვრეტი
მტევანი ათასი წლის
ქვისგან გამონაკვეთი.
მვირფასო მეგობრებო,
ეს თქვენი საჩუქარი
იქნება ჩემთა გზათა
წუვდიადის მაშუქარი.

* * *

– ერთხელ, გალაკტიონი სახლში რომ დაბრუნდა, – იგონებს ნინო, – აი, რა მომიყვა: დღეს „კომუნისტის" რედაქციაში რომ მივედი, ჩემი მაგიდა სხვა ადგილზე გადატანილი დამხვდა. ძალიან მეწყინა, რადგან ამით მაგრძნობინეს, რომ მე იქ საჭირო აღარ ვიყავი. მაშინვე წამოვედი.

მე დამშვიდება დავუწყე, როგორც ყოველთვის, როდესაც შინ მძიმე სულიერ მდგომარეობაში ბრუნდებოდა. ის მდუმარედ მისმენდა. ამ დროს ნუნუც მოვიდა, რომელიც

ყოველთვის ახერხებდა გალაკტიონის დამშვიდებას – ხან ეხუმრებოდა, ხან რაღაც სასიამოვნო ამბავს უყვებოდა. როდესაც ნუნუს მოვუყევი, რა იყო გალაკტიონის ასეთი აღელვების მიზეზი, გალაკტიონს უთხრა: ამაზე ლაპარაკი ღირს, ბატონო გალაკტიონ? აი, რა მინდა მოგიყვეთ – ლექციების შემდეგ მე და რამდენიმე ლექტორი საპროფესოროში შევრჩით, ჩვენი საუბრის თემა პოეზია იყო. ყველა თავის საყვარელ ლექსზე საუბრობდა. ერთ–ერთმა თქვა: მომიძებნეთ პოეზიაში მსგავსი შედარება: „დაბინდული ქლიავის ფერი“. მეორემ კი უპასუხა: – შენ გინდა მეორე გალაკტიონი დაგისახელოთ?

მახსოვს, ერთხელ გალაკტიონმა მითხრა, – ნინო, „ვეფხისტყაოსანზე“ უნდა გამუშაოთო.

– რა სახით, როგორ? – გაკვირვებით ვკითხე.

– წიგნიდან ამოიწერ, სადაც შეგხვდება სიტყვები: „სიყვარული“, „მეგობრობა“, „ერთგულება“, „თავდადება“, „შური, „მტრობა“, „სიძულვილი“, „ღალატი“.

მაინტერესებს, რამდენჯერ არის ნახსენები ეს სიტყვები წიგნში.

მისთვის რომ მესიამოვნებინა, ყოველ მის დავალებას მოწაფესავით ვასრულებდი. ასე ვაგრძელებდით „ვეფხისტყაოსანზე“ „მუშაობას“. ამ შედევრის კითხვის დროს პოეტი გულზე ხელს ისვამდა და სიამოვნებით აღსავსე ამბობდა – ვაი, რა მუსიკაა! როგორ მეამა, როგორ მეამა!

ეს იყო გალაკტიონის სიცოცხლის უკანასკნელი წელი. თითქოს „ვეფხისტყაოსნით“ ემშვიდობებოდა პოეზიას.

კვლავ ნინოს მოგონება: „მარინემ გალაკტიონს საავადმყოფოში საჩუქრად უბის წიგნაკი მიუტანა წარწერით: „სახსოვრად ჩემს საყვარელ ბაბუას მარინესგან“.

პოეტმა ჩვეული თავაზიანობით მადლობა გადაუხადა და ქვემოთ მიაწერა:

წიგნაკო, წვათ რიგს
შენ განმარჩინე,
მიგზავნის ამ წიგნს
ჩემი მარჩინე.

1959 წელი, იანვარი

რას წარმოვიდგენდი, რომ ეს პატარა ყავისფერყდიანი უბის წიგნაკი ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატი გახდებოდა. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ძირს დანარცხებულ გალაკტიონს ჯიბეში მარინეს ნაჩუქარი უბის წიგნაკი აღმოაჩნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი მყუდროება დაირღვა, – ექთანი ნემსის გასაკეთებლად შემოვიდა. მარინემ ნემსი რომ დაინახა, საშინელი ტირილი მორთო, ექთანს წინ გადაუდგა და უყვიროდა: „წადი! წადი!“

ექთანი იძულებული გახდა, წასულიყო. გალაკტიონმა ბავშვს დაწყნარება დაუწყო. შემდეგ მითხრა – ნინო, რა გამყვება იმქვეყნად უფრო ძვირფასი, ვიდრე ბავშვის გულწრფელი ცრემლები? მადლობას ვწირავ უფალს, რომ ეს სიყვარული მიბოძა... ამ ბედნიერებას თუ ვერ შეიგრძნობს კაცი, სიმშვიდეზე ოცნებაც ზედმეტია.

ერთხელ გალაკტიონმა მარინეს თავისი ლექსი განსაკუთრებული ინტონაციით წაუკითხა. ბავშვს ძალიან მოეწონა. გალაკტიონი დაჰპირდა – უსათუოდ გასწავლი ლექსის ისეთ წაკითხვას, მე რომ ახალგაზრდობაში ვკითხულობდი, წამღერებით. ეს არის ნამდვილი ქართული კითხვა!

მაგრამ არ დასცალდა. როდესაც ტრაგედია დატრიალ-

და, მარინე ეზოდან ამოვარდა და იყვირა: – ბაბუა ფანჯრიდან გადმოვარდა? მე ვინ გამზრდის?

გალაკტიონმა რა დიდება არ მოიპოვა! რა ეპითეტებს არ ხმარობდნენ მის შესამკობად – „პოეტების მეფე", „პოეზიის მოცარტი", „ლირიკის ტიტანი", „ქართული პოეზიის ამირანი", „მთის არწივი", „პოეზიის უგვირგვინო მეფე", „მთაწმინდის გედი" ნახევარი საუკუნე რაინდულად ემსახურა პოეტურ მუზას, ხელი ჩამოჰკრა ბევრისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელ სიმებს, და მაინც, მისი პოეტური ბედი ტრაგიკული იყო. გალაკტიონის ტრაგედია – გენიის ტრაგედია იყო. სხვაგვარად ვერც მისი პოეზია აიხსნება, ვერც პიროვნება და ვერც სიკვდილი.

გალაკტიონი მთელ სამყაროს უპირისპირდებოდა, როდესაც ამბობდა: „მე მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!"

გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, რომ მასთან დაახლოება და მოშინაურება, მისი შეცნობა ადვილი არ იყო. არ არსებობდა სიხარული, რომელსაც მისი ბოლომდე და ხანგრძლივად გაბედნიერება შეეძლო. გალაკტიონსაც, თავის მხრივ, უჭირდა სხვასთან დაახლოება და ამას თვითონაც გრძნობდა.

გალაკტიონის ერთი საგულისხმო ნათქვამი მახსოვს მრავალთა შორის. ვნახეთ ფილმი „რემბრანდტის ცხოვრება", რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოეტზე – რა საოცარი სიმართლეა! ხელოვანისთვის, მართლაც, არსებობს მხოლოდ ერთი ბედნიერება – საკუთარი ნიჭის მაქსიმალური რეალიზაცია და ერთი უბედურება – ხელისშემშლელი გარემოებანი!.."

ხელისშემშლელი გარემოება გალაკტიონის ავადმყოფობაა, რომელიც დემონური ძალით უტევს. ის დაჰყურებს



თავის ულამაზეს ხელებს და ამბობს: „რა მემართება? სადაა შველა, სად?!"

მაშინ ვლინდება მისი ჭეშმარიტი ბუნება – უაღრესად მგრძნობიარე, მთრთოლვარე, თავდაცვის უნარს მოკლებული. ვერა და ვერ ეგუება საკუთარ თავთან დამარცხებას. სწორედ საკუთარ თავთან დამარცხებამ მოაქცია მისი უკიდეგანო სული უიმედობის რკალში. ამჯერად „მიწიერმა" გალაკტიონმა ვერ დაიმორჩილა „ზეციური". მაშინ მან თვალსაწიერში მოიქცია ზეცა და გადაეშვა „ზღვათ საზღვარს იქით, ზღვათ საზღვარს იქით...".

ხელოვნების ყველა ტიტანს, როგორც ამას მათი ბიოგრაფები აღნიშნავდნენ, ერთი რამ ჰქონდათ საერთო – ისინი საკუთარ ნიჭს ეწირებოდნენ.

გურამ ასათიანი: „კუბოში იწვა ღვთაებრივად ლამაზი გალაკტიონი. ის მართლაც პოეტების მეფეს ჰგავდა, მიძინებულს სიმღერების ჰანგებზე".

ამობრწყინდა მთაწმინდის წყნარი მთვარე და შუქი მოჰფინა პანთეონს. წმინდა მთამ სიყვარულით გულში ჩაიკრა ქართველი ხალხის სათაყვანო შვილი – გალაკტიონი.

პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმში ჩატარდა, გიორგი ნატროშვილმა თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: მინდა იცოდეს ყველამ და ეს ჭეშმარიტება თაობიდან თაობას გადაეცეს – გალაკტიონმა ისე განვლო ცხოვრების გზა, რომ ჭიანჭველისთვისაც არ დაუდგამს ფეხი.

პოეტების მეფემ იცხოვრა ქართველი რაინდის კოდექსით. ციურ ნათელში იყოს სული მისი...

აწ ჰარნასი გულში იკრავს სევდით
ბილიკების შეუშინარ მძებნელს –
სძინავს ბაღში სწორუპოვართ გვერდით
საქართველოს პოეტების მეფეს!

* * *

გალაკტიონის მკვლევარმა და მისი პოეზიის ინგლისურ ენაზე ბრწყინვალე მთარგმნელმა, პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა მის მიერ დაარსებულ ბაირონის სკოლაში პოეზიის საღამო მოუწყო გალაკტიონს. გალაკტიონის შესახებ საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის წევრები; მეც გამოვედი სიტყვით. გალაკტიონისთვის უნივერსიტეტი სათაყვანებელი იყო, ამიტომ მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ სწორედ უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდი გახდა საქართველოს ჩემპიონი. პოეტი, როგორც სპორტსმენებისთვის მიძღვნილ თავის ლექსში წერს, ქართველი სპორტსმენებით ამაყობდა და მათი გამარჯვება ახარებდა.

საღამოს დასასრულს ბაირონის სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ქალბატონი ინესას მიერ ინგლისურ ენაზე საუცხოოდ თარგმნილი გალაკტიონის ლექსები.

* * *

ერთ დღეს, როდესაც ეთერ გელაშვილი ჩვენთან მოვიდა, ვუთხარი, გალაკტიონისთვის „რჩეულის" გამოცემა მიელოცა. კაბინეტში რომ შევედით, გალაკტიონი წამოდგა და მხიარულად შეეგება – ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! (ასეთი მისალმება მას ჩვევად ჰქონდა).

პოეტს ხელში „რჩეული" ეჭირა და ათვალიერებდა, ხალისიანად გამოიყურებოდა. შემდეგ წიგნზე რაღაც წააწერა და ეთერს გადასცა, ასეთი წარწერით – „ვაშა, ჩემპიონს!" ამით მან საქართველოს ჩემპიონობა მიულოცა.

გალაკტიონმა წიგნების თაროდან კვლავ აიღო „რჩეული", ჩაფიქრებული ფურცლავდა და თქვა – მეუბნებიან, შენი ლექსების თარგმნა შეუძლებელიაო. მაშინ რუსთაველი როგორ ითარგმნა?

ამის პასუხად წიგნების თაროდან ცაგარელის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი გალაკტიონის „ლირიკა" გადმოვიღე და გალაკტიონს წინ დავუდე. მან წიგნს დახედა, თავისებურად გადაიხარხარა და მითხრა, – ჩამჭერი, ხომ? ეს წიგნი, მართლაც, დიდებულია!

როდესაც კაბინეტიდან გამოვედით, ეთერს ვუთხარი – ცაგარელის თარგმანი მოსწონს და ამით კარგ განწყობაზე დავტოვებთ-მეთქი.

კორესპონდენტი ნანა გვილავა ინტერნეტში წერს: „1998 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საუნივერსიტეტო კალათბურთის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. სიტყვები წარმოთქვეს პროფესორ–მასწავლებლებმა. მათ შორის საინტერესო

იყო ეთერ გელაშვილის გამოსვლა, რომელმაც აუდიტორიას გალაკტიონ ტაბიძის შესახებ მოუთხრო, რამაც დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი გამოიწვია. შემდეგ ეს ყველაფერი გაზეთში გამოქვეყნდა.

როდესაც რექტორმა გაზეთში საკუთარი გამოსვლის ტექსტი ვერ იპოვა, ქალბატონ ეთერს ხუმრობით უთხრა: – თქვენ ბრძანდებით რექტორი თუ მე?! ჩემი ტექსტი რატომ არ დაიბეჭდა? - ეთერმა უპასუხა: – ჩემი გამოსვლის ტექსტი რომ დაიბეჭდა, ამით გალაკტიონს სცეს პატივი და არა მე!

ბატონ როინს პასუხი მოეწონა და გაიცინა.

ამ სხდომის შესახებ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ წერდა: „გთავაზობთ ეთერ გელაშვილის მოგონებას, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიის დღემდე უცნობ ფაქტებს წარმოადგენს:

დიდი მგოსნის, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე რა არ დაწერილა და თქმულა, მაგრამ არსად შეხებიან თემას – „გალაკტიონი და სპორტი“. ვფიქრობ, საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება ეს პატარა, მაგრამ ჩემთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მოგონება.

როგორც ცნობილია, გალაკტიონს აინტერესებდა კალათბურთი, განსაკუთრებით კი უყვარდა უნივერსიტეტის კალათბურთის ნაკრები, რომლის მუდმივი ქომაგიც ბრძანდებოდა. ეს, შესაძლებელია, განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ამ გუნდის წევრი იყო და ამავე დროს გუნდის კაპიტანი გალაკტიონის შვილობილი ნუნუ ებანოიძე. ვინც გალაკტიონს იცნობდა, ის ადვილად წარმოიდგენს, თუ რა ბავშვურ აღტაცებას იწვევდა მასში იმ გუნდის გამარჯვება, რომელსაც გულშემატკივრობდა. პოეტი, მართლაც, დიდ ძალას გვმატებდა თავისი გასაოცარი ბუნებით –

მასთან საუბრისას ვგრძნობდით უაღრესად დიდ სითბოს და კაცთმოყვარეობას, ახალგაზრდობის მიმართ სიყვარულს და რწმენას და ჩვენც ვცდილობდით, ეს რწმენა გაგვემართლებინა. მისი ამგვარი დამოკიდებულება ჩვენდამი, ბუნებრივია, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა და როდესაც კალათბურთის მოედნის ტრიბუნაზე გალაკტიონი გვეგულებოდა, მიუღწეველს ვაღწევდით!

1948 წელს, პირველად კალათბურთის ისტორიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულიად ახალგაზრდა კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. გალაკტიონი ავად იყო და ფინალურ მატჩს ვერ დაესწრო. პოეტმა ჩვენი გუნდის კაპიტანს სთხოვა, კალათბურთელები მასთან მიეყვანა. კაპიტანმა გაგვაფრთხილა, რომ ყველას საქართველოს ჩემპიონობის ჯილდოები და სიგელები მიგვეტანა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და გვეამაყებოდა, რომ ასეთ ბუმბერაზ პიროვნებას ვუყვარდით და გვაფასებდა.

შემდეგ სიგელები ჩამოგვართვა, სათვალე გაიკეთა და მეტად დინჯად, სერიოზული გამომეტყველებით, გუნდის თვითეულ წევრს ხელის ჩამორთმევით და კოცნით ჩემპიონობა მოგვილოცა, სიგელები გადმოგვცა და თავისი დიდებული ლექსების კრებულით სათითაოდ დაგვაჯილდოვა. „ცერემონიალის“ დამთავრების შემდეგ გალაკტიონმა დიდი სიამაყით გვითხრა: – თქვენ ერეკლეს შთამომავლები ხართ და, რა თქმა უნდა, მებრძოლი სული უნდა გქონდეთ. წარმოიდგინეთ, რა დიდებულად ჟღერს: – ქართველი სტუდენტები – საქართველოს ჩემპიონები!

მართალია, გალაკტიონს კალათბურთი უყვარდა, მაგრამ ტურნირებზე დასასწრებად იშვიათად იცლიდა. 1946 წელს კიროვის პარკის კალათბურთის მოედანზე საქართველოს ჩემპიონატი ტარდებოდა. ერთმანეთს ხვდებოდნენ თბილისისა და ქუთაისის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. ახლა, როგორი გულშემატკივარი იყო პოეტი ქუთაისის გუნდისა! ამიტომ ფინალურ მატჩზე მე წავიყვანე.

გალაკტიონი შეჯიბრს დიდი ინტერესით უყურებდა. მძაფრი, წინააღმდეგობით სავსე თამაში გამოვიდა. ტრიბუნებზე ხალხმრავლობა და დიდი აჟიოტაჟი იყო. ეს განწყობილება აფექტურ გალაკტიონსაც გადაედო და, როგორც ქუთაისელთა გულშემატკივარი, გაჰყვიროდა და მხურვალედ ტაშს უკრავდა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ სენსაცია მოხდა – ქუთაისელებმა თბილისელებს მოუგეს! ეს პირველი შემთხვევა იყო ქუთაისელ კალათბურთელთა გუნდის ისტორიაში – ქუთაისელები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ამ გამარჯვებამ ისე აღაფრთოვანა მგოსანი, რომ ბიჭებს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა და გასახდელში შეუგზავნა.

მე ვამაყობ თქვენით,
განა ვინმე სხვისით,
ჩემი სპორტსმენებით,
ჩემი ქუთაისით.
ან რა დამავიწყებს
ჩემს საყვარელ რიონს,
თქვენი გამარჯვება
ალხენს გალაკტიონს.

* * *

ჟურნალისტი სანდრო ალექსიძე ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისურ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნილი გალაკტიონის ლექსების კრებულის პრეზენტაციის შესახებ 2005 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" წერდა: „2005 წლის 17 ნოემბერს, გალაკტიონის დაბადების დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ახალი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

ეს ნამდვილი ზეიმი იყო, ზეიმის „დიასახლისი" კი გახლდათ უნივერსიტეტის ენებისა და თარგმანის კათედრის გამგე, პროფესორი ინესა მერაბიშვილი. მან თავის მიერ ინგლისურად თარგმნილი გალაკტიონის ლექსების ორენოვანი კრებული წარუდგინა საზოგადოებას.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის მხარდაჭერით. წიგნის რედაქტორია ცნობილი ინგლისელი ფილოლოგი, ნოტინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი, რიჩარდ ა. კარდველი, რეცენზენტები – თსუ პროფესორი ლილი გოქსაძე და დოცენტი ლალი კერესელიძე. წიგნი მხატვრულად გააფორმა ვახტანგ რურუამ.

პრეზენტაციას ფართო საზოგადოება ესწრებოდა. მთარგმნელმა შინაარსიანად, ძალზე საინტერესოდ ისაუბრა გალაკტიონის პოეზიის თავისებურებასა და თარგმანში ხორცშესხმის საკითხებზე. სხდომის დამსწრე დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში დონალდ მაკლარენმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას და ხაზი გაუსვა გალაკტიონის პოეზიას ინგლისურ პოეზიასთან მიმართებაში, რისი საშუალებაც, როგორც მან აღნიშნა, ამ თარგმანმა მისცა. ელჩმა ნება ითხოვა, საზოგა-

დოებისთვისინგლისურად ამეტყველებული გალაკტიონი წაეკითხა. მისი არჩევანი ორ ლექსზე შეჩერდა: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, რომელიც მას XIX საუკუნის ინგლისელ პოეტს, რობერტ ბრაუნინგს მოაგონებს და „სადღეგრძელო იყოს მისი“, რომელიც ქართულ ხასიათს განსაკუთრებით გამოხატავს.

საზოგადოებისთვის საინტერესო აღმოჩნდა გალაკტიონის შვილობილის, ნუნუ ებანოიძის გამოსვლა, ქალბატონისა, რომელმაც 16 წელი დიდ პოეტთან ერთ ჭერქვეშ იცხოვრა.

დარბაზში დასვენებული იყო გალაკტიონის ერთადერთი ნიღაბი, რომელიც მას გარდაცვალებისას აუღეს. იგი დღეს თბილისის უნივერსიტეტის გალაკტიონის კაბინეტის კუთვნილებაა. ამ ნიღბის ისტორია საზოგადოებას გალაკტიონის სემინარის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რევაზ მიშველაძემ უამბო.

ნიღაბი გალაკტიონის იმ მშვენიერი პორტრეტის ფონზე იყო დასვენებული, რომელიც წიგნის ყდაზეა გამოსახული. სხდომის დაწყებისას ნიღაბს საპატიო ყარაულში ედგა ორი მოსწავლე – ერეკლე და თორნიკე კოპლატაძეები, რომლებიც ამ პორტრეტზე გამოსახული გალაკტიონის მსგავსად იყვნენ გამოწყობილნი.

სხდომის მეორე ნაწილი მიეძღვნა გალაკტიონის ლექსებისა და თარგმანის კითხვას. ქართულად კითხულობდა უნივერსიტეტის დოცენტი კახა ლორია, ინგლისურ თარგმანს – თავად მთარგმნელი. წაკითხვა დაიწყო გალაკტიონის აუდიო ჩანაწერით „მთაწმინდის მთვარე“, რომელსაც რიტმსა და ჰარმონიაში მიჰყვა მთარგმნელი.“

მკითხველს აქვე ვთავაზობთ რამდენიმე კომპეტენტურ აზრს ქალბატონი ინესას ამ მშვენიერ თარგმანებზე:



„თარგმანი გაწაფული და ფაქიზი ხელითაა შესრულებული. პროფესორმა მერაბიშვილმა წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, ხოლო დედნისეული ტექსტის რთული მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ ამ თარგმანებში მკითხველი ვერ იგრძნობს უცხო წყაროს არსებობას, ეს მთარგმნელის ოსტატობის მაჩვენებელია. ქართველი პოეტები ძალზე ნაკლებად არიან ცნობილი ინგლისურენოვანი სამყაროსათვის და პროფესორმა მერაბიშვილმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ მწერლობას იმით, რომ ერის ერთ–ერთი უდიდესი პოეტი ხელმისაწვდომი გახადა ინგლისელი მკითხველისათვის. მარტო ეს ფაქტი, ჩემი აზრით, უკვე ამართლებს ამ კრებულის გამოქვეყნებას, რასაც მარად დაამშვენებს თავად მთარგმნელის ნიჭიერება“.

პროფესორი რიჩარდ ა. კარდველი

„ამ თარგმანების წყალობით გალაკტიონი გაამდიდრებს დიდად გამოცდილ ინგლისელ მკითხველს ახალი ხატებითა და სახეებით და სამყაროს ორიგინალური აღქმით“.

პროფესორი ლილი გოქსაძე

* * *

ვახტანგ გურგენიძე წერდა: „გალაკტიონის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ, გადმოგვცა ახალი მასალები გალაკტიონზე – „მოგონება“, გალაკტიონის უსათაურო მოთხრობა და სურათი. „მოგონება“ ეკუთვნის გალაკტიონის შვილობილს, ნუნუ ებანოიძეს. ეს „მოგონება“ განსაკუთრებით იმითაც არის საინტერესო, რომ მასში გალაკტიონის უცნობი ნაწერებია ჩართული.

როგორც „მოგონებაში“, ისე მის მოთხრობაში („გალოკტიანე გამოშტრილი“) ჩანს პოეტის ის „უცნაურობები“ და „არანორმალურობა“, რომლითაც ხასიათდებოდა იგი სიცოცხლეში.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ნინოს გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ყოველგვარი, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო მასალების (უბრალო „ნაბღაჯნის“ ჩათვლით) შენახვისა და მათი გალაკტიონის ფონდში გადმოცემისათვის.

ქალბატონი ნინოს უფრო მეტად დაფასებისათვის, აქვე ვაქვეყნებთ ერთ საარქივო დოკუმენტსაც:

– ქალბატონო ნინო! გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები დიდ მადლობას მოგახსენებთ გალაკტიონის მემორიალური ნივთების – საბეჭდი

მანქანისა და ფოტოაპარატის უსასყიდლოდ გადმოცემისათვის (მანამდე ქალბატონმა ნინომ ლიტერატურის მუზეუმს მთლიანად გადასცა პოეტის პირადი არქივი, ვ. გ.).

ჩვენთვის ყველასათვის ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რაც თქვენ გენიალურ ქართველ პოეტს მისი სიცოცხლისა და შემოქმედების მრავალი წლის მანძილზე დასდეთ.

ქალბატონი ნინო 99 წლის ასაკშიც ისევე აზროვნებდა, როგორც ადრე. ერთხელ მისმა ქალიშვილმა ნუნუმ უთხრა: – განუმეორებელი ხარ, ნამდვილად განუმეორებელი შენი ასაკისათვის.

ნინომ უპასუხა, – შვილო, ჩემი ჯანმრთელობის შენარჩუნებას იმით ვხსნი, რომ ისე გავლიე ცხოვრება, სიძულვილი და შური ჩემთვის უცხო იყო. მე ადამიანებში მხოლოდ კარგს ვხედავდი და ბუნებრივია, ადამიანების სიყვარული ერთიორად უფრო მიადვილდებოდა.

მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა და თავს დატეხილი უბედურებისა, ქალბატონ ნინოს სულის სიმტკიცე არ მოჰკლებია. იგი მეტად მორწმუნე ქალი იყო და რწმენა და იმედი არასდროს დაუკარგავს. ისევე მშვიდად და უშფოთველად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორი სიმშვიდითაც ყოველთვის იყო გალაკტიონის გვერდით.

* * *

გალაკტიონმა 1922 წლის 7 მაისს, პოეზიის დღეზე, შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

„ჩვენ ვდღესასწაულობთ ეროვნული პოეზიის დღეს არა მარტო იმიტომ, რომ ქართველი პოეტი ძლიერია თავისი წარსულითა და აწმყოთი, არა მარტო იმიტომ, რომ ქართ-



ველი პოეტი ქმნიდა შედევრებს, რომლის მსგავსით იამაყებდა ბევრი გამოჩენილი ერი.

პოეზიის დღე... რა დიდებული სიტყვაა! რა უბოლოო კიბე, რომლის ბურჯი დგას იმ სისხლის მორევში, რომელსაც თანამედროვეობა ეწოდება და რომელიც უმაღლესი მწვერვალით იკარგება იმ ლაჟვარდებში, სადაც ევლინება დანტეს – ბეატრიჩე, პეტრარკას – ლაურა, რუსთაველს – თამარი. ეს პოეზიაა – ყოვლისმფლობელი, როგორც სიყვარული და სიკვდილი.

ჩვენს პოეზიაში წარსულიდან ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის დაქანების, მანერა ბრძოლის. საქართველომ შეისისხლხორცა პოეტის გემოვნება, მისი ჩვეულებები, მისი ალერსი, მისი სასიყვარულო სიტყვები. საქართველო და მისი პოეზია თანაბრად არიან რთული, გაწვრთნილი და ამაღლებული, მრავალფეროვანი და მდიდარი წარსულით. აქ შოთა რუსთაველი ლეგენდა კი არ არის, არამედ ისტორიაა.

ბევრმა ცივილიზაციამ გაიარა და ყველამ დატოვა წაუშლელი კვალი, მაგრამ საუკუნეების ცეცხლიანმა სრბოლამ ბევრი იმედი წაართვა ერს და საქართველოც ნანგრევებში

მოექცა. ამ შემთხვევაშიც კი ეს დანგრეული, გაღარიბებული, დაღლილი ქვეყანა მაინც უმშვენიერესია, მით უფრო უმშვენიერესი, რომ ყოველთვის იზიდავს თავისი წარსულით პოეტის გულს! საქართველომ მიიძინა როგორც მეფემ და გამოიღვიძა როგორც გაძარცულმა, მაგრამ მის ახლოს, თვით მასში ყოველთვის იყო და არის ყველაფერი, რაც ცოცხლობდა, მოძრაობდა, ხმამაღლა გაიძახოდა. ამნაირი სახით მოვიდა იგი დღემდეც.

ბევრი რამ წარსულის პოეტისა არ შეესაბამება თანამედროვე პოეტის საქართველოს. ჩვენი ქვეყანა სამშობლოა ლეგენდების, პოემების, ტრაგედიების, მაგრამ პოეტი გრძნობს – არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ წარსულით. ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, რომ არ შეიძლება ჩამორჩე მას. მას აქვს მეტი გამბედაობა, რომ წავიდეს წინ, შემდეგი ეტაპისკენ. იგი ერთი წამითაც კი არ გაიფიქრებს, რომ მხოლოდ ჩვენს შორეულ წინაპრებს შეეძლოთ შეექმნათ ახალი, მშვენიერი და უხრწნელი.

დღევანდელი ქართველი პოეტი არ ჩამორჩება წინანდელ ქართველ პოეტს, არც თანამედროვე უცხოელ პოეტს. არავითარი უფლება თანამედროვე პოეტს არა აქვს, უარყოს თავისი ღირსება და აღიაროს მხოლოდ წარსული. ეხლა ყოველი მოწინავე ქვეყანა გრძნობს საჭიროებას, გადავიდეს ახალ ფორმებზე და გამოიყენოს წარსულიც. მეხუთე საუკუნის სტილი შვენის თვით მეხუთე საუკუნეს, მაგრამ ჩვენი საუკუნისათვის მარტოოდენ ძონძებია. ჩვენი პოეტისთვის ძვირფასია ძველი ღმერთები, მაგრამ ჩვენ გვყავს ახლებიც. ისეთები, როგორიც შეეფერებიან ჩვენს დროს, ჩვენს ეპოქას, ჩვენს კულტურულ დონეს, ჩვენს ტეხნიკურ საშუალებებს.

ჩვენ განვიცადეთ ახალი საქართველო, მსოფლიო ომი, დიდი რევოლუცია. არავინ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი – ახალი სიტყვები. ქართველმა პოეტმა იცის რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც. იცის შურისძიება და იცის თავგანწირვაც. ნამდვილი ფაქტები ქართველი პოეტის ცხოვრებისა არის მშვენიერებისა და ძლიერების ისტორია, მისი ამაყი პროფილი განათებულია იმ განცდით, რომ მისი პოეზია არის სასწაული არა ათას ერთი ღამის, არამედ მისი მშობლიური სულის მწუხარების. ეს დიდი ღირსება მემკვიდრეობითი წესით გადმოვიდა მასზე წარსულისაგან. ამგვარად უყურებს ქართველი პოეტი მის გარშემო დატრიალებულ ქაოსს. ეხლა მას ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება სწყურია, უნდა მოიცილოს შემბოჭველი სიცივე გარდამავალი ლანდების. იგი იხუთება და სურს ჰაერი, მას ენატრება ნათელი დღეები, ისეთი დღეები, როგორიცაა დღევანდელი დღე, მაისის 7 – პოეზიის დღე.

სალამი ქართველ პოეტებს, ჩვენს სიამაყეს, გაუმარჯოს საქართველოს – ქვეყანას პოეტებისას. საქართველოსთვის, უპირველეს ყოვლისა, არსებობს პოეზია და პოეტებისათვის, უპირველეს ყოვლისა – საქართველო."

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას შეფასება გალაკტიონისა ვირტუოზი შემოქმედის ქებათა-ქებაა

„ჩვენი სასიქადულო დიდი გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ახალი რა უნდა ვთქვა! ის არის ფრიად სუვერენული, მაძიებელი და ნოვატორი შემოქმედი, დამოუკიდებელი ჩვენი კლასიკოსებისაგან. საქართველო მუდამ იამაყებს სამი გენიოსის სახელით, ესენი გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა–ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე. ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გალაკტიონის უფაქიზეს ლირიკულ შედევრებს ვერ შექმნიდნენ. რუსთაველისა და ვაჟას გვერდით გალაკტიონი ერთი იმ გენიოსთაგანია, რომელმაც არნახულ მწვერვალზე აიყვანა ქართული ლექსი.

მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიოს პოეზიას და უნდა მოგახსენოთ – გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება. იგი ვირტუოზია არა მარტო ლექსისა, ქართული ენის დიდი შემოქმედიცაა. ქართული ენა მის ხელში მორჩილია, როგორც დამდნარი ცვილი... არსად იგი ძალას არ ატანს ენას. გოეთე ბრძანებდა: „მწერლობა, პოეზია ენის მიმართ ძალდატანება არის". გალაკტიონი ამას არ სჩადის. მისი ლექსი, ეს არის რაღაც უჩვეულო და გაუგონარი ფერია, მისი პოეტური სახეები აროდეს ნახული შეუდარებელი და ბრწყინვალე ფერია – „დგას საქართველო ოქროს თასივით მისი ლექსების ბადაგით სავსე".

ჩვენი ახალი თაობის გასაგონად ვამბობ! – პირადი ცხოვრება ადამიანისა ერთგვარი ხელოვნებაა, უსაჭიროესი ხელოვნება. ვინც ამ ხელოვნებას ვერ დაეუფლება, მას ფიასკო მოელის უსათუოდ... საგულისხმოა ბალზაკის კა-



ლამბური: „უნდა იაზროვნო როგორც ღმერთმა და იცხოვრო, როგორც რომელიმე ფრანგმა ბურჟუამ“

ეს ჭეშმარიტება რომ შეეგნოთ ლორდ ბაირონს, ედგარ პოს, ბოდლერსა და გალაკტიონს, ეს გენიოსები ასე უდროოდ არ დაიღუპებოდნენ. ედგარ პო უკანასკნელ ვაგაბუნდსავით თვრებოდა, ბოლოს სული ამოხდა როგორც უპატრონო ლაცარონს; ლორდ ბაირონი ვერ დააოკა ვერც დიდმა სახელმა, ვერც ულამაზესმა დიაცებმა; ბოდლერმა ოპიუმითა და თრიაქით შეიმოკლა სიცოცხლე.

ყოველი შემოქმედი თავისებურად იტანჯება, ყოველ ჩვენგანს ათასი დემონი უღადრავს გულს, მაგრამ სულიერი კულტურა ადამიანისა ვნებათა დაოკებაში ვლინდება უპირატესად. ზოგიერთ ახალგაზრდას არ ესმის, რომ ედგარ პოს და გალაკტიონს ღვინის სმაში როდი უნდა გაეჯიბრო, არამედ – კარგი ლექსების წერაში ეპაექრონ იქნებ.

სადაც ოდესმე ჯერ კიდევ ბავშვი
ვგრძნობდი, რა არის ველთა სალისი,
და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში
იყვნენ ედგარი და ნოვალისი.

მსოფლიო პოეზიაში არ მეგულება პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრი ჰქონდეს. ათვალიერებ ახალი ქართული პოეზიის ორფეოსის კოლოსალური მემკვიდრეობის მარგალიტებს და გაოცება გიპყრობს.

მუსიკისათვის, უწინარეს ყოვლისა, მღეროდა ვერლენი. მე აგრეთვე ვვარაუდობ, გალაკტიონზე სიჭაბუკეში გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ. მაგრამ სრულიად მიუდგომლად ვამბობ – გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს, მე ვიტყოდი, უფრო შორს გადააჭარბა.

თანამედროვე პოეზიის გზა – ეს არის გალაკტიონის გზა. მისი პოეზია, სამწუხაროდ, კავკასიონს ვერ გასცდა, მაგრამ მისი ლექსები იმდენად ღრმად ეროვნულია, ისე ღრმად არის შესული ქართული ენის უსიერ ტევრში, მეორე გალაკტიონია საჭირო, რომ ისინი აქედან გამოიყვანოს.

ამაოდ დამაშვრალვართ გენიოსების მთარგმნელები. ვერც დანტე, ვერც გოეთე და ვერც რილკე ვერ აჟღერდებიან სხვათა და სხვათა ენაზე. გენიოსების ადეკვატურად თარგმნა შესაძლო რომ იყოს, მათი დუბლიკატები გვეყოლებოდნენ. დაე, იყოს გალაკტიონი მარტოოდენ ჩვენი, საქართველოს გალაკტიონი, განუმეორებელი ორფეოსი ქართული სიტყვის მუსიკისა."

ბატონ კონსტანტინეს გალაკტიონი უყვარდა არა მხოლოდ როგორც დიდი პოეტი, არამედ – როგორც დიდი პიროვნება. გალაკტიონის დაკრძალვის შემდეგ, როდესაც კონსტანტინე მწუხრის სუფრაზე მიიწვიეს, მან თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და აღშფოთებით წამოიძახა: „როგორ ბედავთ!"

* * *

ნოდარ დუმბაძე – „ჩემი გალაკტიონი“

„გალაკტიონი ის პოეტია, რომელიც ვერ შემაძულა სასკოლო ქრესტომათიამ და რომლის ხელახლა შეყვარება არ დამჭირვებია ათწლედის დამთავრების შემდეგ. იგი მუდამ ჩემთან იყო. მას ხატივით თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი ჩვენს სახლში და ჩემთვის უზომოდ დიდი ბედნიერება იყო მისივე ხატთან, მაგიდაზე გაშლილ მისივე წიგნში ლოცვასავით სუფთა და წმინდა ლექსების კითხვა.

...დანაშაული, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ხანდაზმულია და ამიტომ ვბედავ გამხელას: 1945 წელს პლეხანოვზე ბუკინისტს თვალსა და ხელს შუა ავაცალე გალაკტიონის ყდაგაცრეცილი რჩეული, რომელიც 100 მანეთი ღირდა და სახლში მისულმა უსინდისოდ დავაწერე – „ჩემი გალაკტიონი!“

ამავე წელს მეღირსა გალაკტიონთან შეხვედრა. შემდეგ ეს შეხვედრა ოდნავ შეცვლილი სახით, რომან „მზიან ღამეში“ აღვწერე. კიდევ ერთი შეხვედრა მქონდა გალაკტიონთან, ჩემთვის დიდად ღირსშესანიშნავი.

ვერაზე წიგნების მაღაზიაში ლერმონტოვს ვკითხულობდი.

– გამარჯობა, ძამიკო, – ზურგს უკან ვიღაც მომესალმა. მივიხედე, გალაკტიონი იყო (ამ დროისათვის უკვე მცნობდა ბატონი გალაკტიონი).

– გამარჯობა, ბატონო გალაკტიონ! ლერმონტოვი გამოსულა ქართულად, უნდა ვიყიდო, თქვენც ხომ არ გნებავთ? – ვკითხე და ჯიბეზე ხელი გავიკარი.

– წამოდი, ძამიკო, ჩემთან! – გალაკტიონმა მკლავში გამიყარა ხელი და ვერის ბაზრის გვერდით ლუდხანაში

შემიყვანა.

იმ წიგნის საყიდელ ფულსაც და ზოგ სხვასაც წირვა გამოვუყვანეთ. გალაკტიონმა ლოყაზე ხელი მომითათუნა და ღიმილით მითხრა:

– ლერმონტოვი, პუშკინი და ტოლსტოი რუსულად უნდა იკითხო, ძამიკო, გალაკტიონი კი ქართულად, მხოლოდ ქართულად...

...და მართლაც, რა უზენაესი ბედნიერებაა, როდესაც გალაკტიონს ქართულად კითხულობ, და რა უბედურებაა, როდესაც პუშკინს ვერ კითხულობ რუსულად.

მე თუ მკითხავენ, ვიტყვი: გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია და, რომ გალაკტიონი არის გენი რუსთაველისა, მეოცე საუკუნეში გაღვიძებული და მზემდე აღზევებული.“

რევაზ მიშველაძე

ჩემი გალაკტიონი

სანამ გალაკტიონთან პირველ შეხვედრებს გავიხსენებდე, რომ არ დამავიწყდეს, ჯერ გალაკტიონის მუზეუმის დაარსებაში ჩემს მოკრძალებულ წვლილზე გეტყვით.

გალაკტიონის დაკრძალვიდან ათიოდე წელიც არ იქნებოდა გასული, სულკურთხეულმა ვახტანგ გურგენიძემ და მე გულში რომ ამოვიჭერით თბილისში გალაკტიონის მუზეუმის გახსნის იდეა.

მივდექ-მოვდექით, ვინ არ შევაწუხეთ, რა მაღალ კიბეზე არ ავაბიჯეთ, მაგრამ მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდით.

მაღალჩინოსნებმა ახლოს არ გაგვიკარეს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ვახტანგ გურგენიძეს მუზე-

უმში, რომელსაც თვითონ განაგებდა, მომზადებული ჰქონდა საგალაკტიონო ექსპოზიცია, მაგრამ გალაკტიონის ორჯერ გაყიდული ბინის გამოთავისუფლებას საშველი არ დაადგა.

იმედი ჯერ მთლად გადაწურული არ გვქონდა, რომ დამიბარა ბატონმა ვახტანგმა და გალაკტიონის კოსტუმი გადმომცა; ეს კოსტუმი, რეზო, შენთან იყოს. თავს ცუდად ვგრძნობ, შეიძლება მუზეუმის გახსნას ვერ მოვესწრო, შენთან შეინახეო.

ვახტანგ გურგენიძის გარდაცვალების შემდეგ კიდევ კარგა ხანს ვცვეთდი ძლიერთა ამა ქვეყნისათა კიბეებს.

გალაკტიონის ბინაში ბოლოს ვინმე ცირეკიძე ცხოვრობდა. იგი ცელავშირის რევიზორი გახლდათ და სამუზეუმოდ ბინის დათმობისთვის ოთუსბირი მოითხოვა.

მივხვდი, რომ ამ საქმეს მარტო ვერ მოვერეოდი და დახმარებისთვის მივმართე მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს თამაზ წივწივაძეს და ქალაქის მერის მოადგილეს მელორ ტყეშელაშვილს.

როგორც იქნა, კაპიკ-კაპიკ შევაგროვეთ გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი თანხა და 1999 წლის 21 მარტს მარჯანიშვილის ქ. №4-ში გალაკტიონის სახლ-მუზეუმი გავხსენით.

გახსნაზე სიტყვით გამოვედით: ედუარდ შევარდნაძე, თამაზ წივწივაძე, ლია სტურუა, ნოდარ ტაბიძე, სტუდენტი გიორგი მამაცაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი.

დაიწყო მუზეუმის მწირი გამოფენის შევსების უძნელესი პერიოდი.

გალაკტიონის კოსტუმით დავამშვენე ექსპოზიცია და სხვა მემორიალურ ნივთთა მოძიებას შევუდექი.

დაკარგული იყო ნიღაბი, რომელიც გალაკტიონს დასაფლავების წინადღეს მოქანდაკე გორგოძემ აუღო.



მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მაშინ იმ ნიღბის შესაძენად „სახსრები ვერ გამოძებნა“ და ნიღაბი დაიკარგა.

გაზეთებში გამოვაცხადე, რომ ვეძებდით გალაკტიონის ნიღაბს.

გამომეხმაურა უნიჭიერესი მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი, რომელიც იმხანად სამხატვრო აკადემიის პროფესორი გახლდათ; ჩვენთან „ანტიკურ თავებს“ შორის ერთი თაბაშირის თავია, ზოგს პლატონი ჰგონია, მაგრამ, მე ვფიქრობ, გალაკტიონი უნდა იყოსო, ნახევრადხუმრობით მითხრა.

მაშინვე წავყევი. ექსპერტებმა და გალაკტიონის თანამედროვეებმა დაადასტურეს, რომ ეს სწორედ გალაკტიონის ნიღაბი იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ ონის რაიკომის მდივანმა კოკი ბაქრაძემ მითხრა: აქ ერთ ოჯახში, იმ ჭილოფის ქუდს მივაკვლიე, გალაკტიონს შოვში დასვენების დროს რომ ეხურაო (თიბვის ფოტოზე ის ქუდია აღბეჭდილი), ვთხოვე და სიამოვნებით დამითმო მუზეუმისთვის.

კარგა ხნის მერე ერევნიდან სომეხი მოქალაქე სურენ მკრტიჩიანი მესტუმრა. მე იმ კაცის დისწული ვარ, გალაკტიონის ბინა რომ მიჰყიდეს, გალაკტიონის პორტფელი ინახება ჩემთან და თუ გნებავთ გაახლებთო. პორტფელს

საჩუქრად მოგართმევთ, ხელმოკლე კაცი ვარ, თქვენ მარტო გზის ფული მომეცითო.

ასე რომ ამჟამად ჩემს მიერ მოპოვებული გალაკტიონის კოსტუმი, პორტფელი, ჭილოფის ქუდი და, რაც მთავარია, ნიღაბი – პოეტის სახის ზუსტი ასლი, ამჟამად გალაკტიონის მუზეუმშია.

2000 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავხსენი გალაკტიონის კაბინეტი და დავიწყე გალაკტიონის შესახებ არსებული ძვირფასი ლიტერატურის არა მარტო შეგროვება, არამედ მეცნიერული დამუშავებაც.

ყოველ წელიწადს გამოვცემდით კრებულს „გალაკტიონის" სემინარის დღიურებს".

2006 წელს ავადსახსენებელმა სააკაშვილმა უნივერსიტეტი პოლიციის ძალით რომ დაარბია, ბუნებრივია, სხვა კაბინეტებთან ერთად (ილია, აკაკი, ვაჟა, გამსახურდია...) გალაკტიონის კაბინეტიც გააუქმა. მასალების ერთი ნაწილი დაიკარგა, გადარჩენილები გალაკტიონის მუზეუმში მივიტანე.

საშური საქმე იყო გალაკტიონის მეგობრების და ნაცნობების მოგონებათა შეგროვება. ვითავე ეს ძნელი ამოცანა და გალაკტიონის გარდაცვალების 50 წლისთავზე გამომცემლობა „პალიტრას" დახმარებით გამოვეცი საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „მოგონებანი გალაკტიონზე".

სანამ პირში სული მიდგას, შეძლებისდაგვარად ვიკვლევ გალაკტიონის დიდებულ შემოქმედებას. დღემდე გალაკტიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილი მაქვს 7 სამეცნიერო გამოკვლევა და სამი ნოველა: „აი, ქვეყანა", „გალაკტიონის სიკვდილი" და „მერი და გალაკტიონი".

ეს გახლავთ ჩემი მცირეოდენი წვლილი XX საუკუნის

უდიდესი პოეტის სახელის უკვდავყოფაში.

ახლა რაც შეეხება გალაკტიონთან შეხვედრებს.

დიდი პოეტი სულ ოთხჯერ მყავს ნანახი.

თექვსმეტი წლის ვიყავი, ლადო მრელაშვილმა რომ მიმიყვანა მწერალთა კავშირში. ჯერ რეზო კვერენჩხილაძეს ჩამოართვა ხელი და ბიბლიოთეკის ღია კარიდან პირდაპირ მწერალთა კავშირის ბაღში აღმოვჩნდით.

ძელსკამზე ორი კაცი იჯდა.

1957 წლის 11 სექტემბერი იყო.

ერთს, სიცხის მიუხედავად, მოშავო „პლეჩებიანი" პიჯაკი ეცვა, ჟღალი წვერი მუჭში მოექცია, ფეხებთან პორტფელი ედო და თავზე ჭილოფის ქუდი ეხურა. მეორეს მკაცრი გამომეტყველების, ქუთუთოებდაბერილ მოხუცს ევროპულად, პინწკად ეცვა, ხოლო თავზე რატომღაც კრაიველის ბობოხი ეხურა.

– ლადოს გაუმარჯოს! – ხელი გაუწოდა ბოხოხიანმა.

წვეროსანს კი ჩვენი მისვლით დიდი აღფრთოვანება არ დასტყობია.

– ჩემი ცოლისძმაა, – მგონი, უფრო პაუზის დასარღვევად ჩემზე მიუთითა ლადომ.

– რას ლაპარაკობ?! – თითქოს ძალიან გაეხარდაო, ხელი ჩამომართვა წვეროსანმა და მომეჩვენა, რომ წამოიწია კიდეც.

– როგორ, ლადო, შენ ცოლი გყავს? – შეიცხადა კრაველის ბოხოხიანმა.

– აბა, ცოლისძმა საიდან ეყოლება, შენი არ მიკვირს, ძამიკო?!

გადაიხარხარა წვეროსანმა და ძველი, ყავისფერი პორტფელი მუხლებშუა მოიქცია.

ასეთი იყო ჩემი პირველი მისვლა მწერალთა კავშირში და, ჩემდა იღბლად, პირველ მისვლაზევე ორ გენიოსს შე-

მახვედრა ბედმა – კონსტანტინე გამსახურდიას და გალაკტიონ ტაბიძეს.

ფეხზე ვდგავართ ორივენი:

წინ მერხი ცარიელია, მაგრამ როგორ გავბედავთ ჩამოჯდომას.

– გულმოსული ვარ შენზე, ლადო, – თქვა ბატონმა კონსტანტინემ და სკამზე მიგვითითა, – ქორწილი რატომ გამოგვაპარე.

– ჯერ არ მქონია, ბატონო კონსტანტინე.

– სადაური ქალი შეირთე?

– ქუთაისელია.

– აჰ! – არ ვიცი, ამაზე მეტად თუ რამე გაახარებდა ბატონ გალაკტიონს, წამოხტა, პორტფელი მაგიდაზე დადო, მერე სწარფადვე აიღო და გულზე მიიხუტა, – გაგმართლებია, ძამიკო – ლადოს ხელი ღონივრად, გრძლად ჩამოართვა, – ქუთაისელი ქალი ხუმრობა არ არის. მეც ქუთაისელი ვარ.

– შენ ვანელი ხარ, – გაუსწორა ბატონმა კონსტანტინემ.

– ჰო, ჰო, კი... რამ გაყო ქუთაისი, ხონი, ვანი, ბზვანი და ბალახვანი, – ახითხითდა გალაკტიონი.

მერე ერთბაშად დაკარგა ინტერესი ლადოს და კონსტანტინეს მიმართ. მხარზე ხელი გადამადო და გვერდით მომისვა.

– ცოლისძმა ბატონო, სად ცხოვრობ ქუთაისში?

ნინოშვილის ქუჩაზე-მეთქი და სიმორცხვისგან ნერწყვი ძლივს გადავყლაპე. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ჩემთვის თვით გალაკტიონს უდევს მხარზე თავისი დიდი და მძიმე ხელი.

– ნინოშვილის ქუჩა. ნინოშვილი ახლა დაარქვეს შეიძლება. პიანი ბაზრის ზევით ხარ, თუ ქვევით, ცოლისძმა პატივცემულო?

– ქვევით, ბაკის უბნისკენ.



– ვიცი, ვიცი, ეგ ქუჩა კარგად ვიცი. ერთ დროს მაგ ქუჩაზეც ვიმალებოდი.

– ვის ემალებოდი, გალაკტიონ? – თვალმოჭუტული, ღიმილით, ნახევრად ხუმრობით ჰკითხა ბატონმა კონსტანტინემ.

– გალაკტიონი მიუხვდა ირონიას, ცოტა ეწყინასავით.

– ვის ვემალებოდი და ვინც დასაჭერად მომსდევდა, ძამიკო... იმას ვემალებოდი. შენ არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნას ლაიპციგის უნივერსიტეტში სწავლას ეძახი, ხომ ასეა, ძამიკო? – ვალში არ დარჩა გალაკტიონი და მთელი ტანით – პორტფელიან, კოსტუმიან, გალსტუხიანად ახითხითდა.

– სხვათა შორის, ჩემი ცოლი მეგრელია, – უფრო ვითარების განსამუხტავად ჩაურთო ლადომ.

– რა გვარი ხარ ყმაწვილო? – მკითხა ბატონმა კონსტანტინემ.

– მიშველაძე, – ჩემს მაგივრად ლადომ უპასუხა.

– მიშველაძე... მიშველაძე მეგრული გვარი არ არის, არც ფუძე აქვს მეგრული და არც ძირი.

– რასაკვირველია, რასაკვირველია, – სიხარული ვერ დამალა გალაკტიონმა, რომ მეგრელი არ აღმოვჩნდი.

– სოფელი სადა გაქვს? – ბატონ კონსტანტინეს აინტერესებს.

– მარტვილი, სოფელი თამაკონი, – ამოვილუღლუღე.

– თამაკონი, თარგამეული, ჩვენი დიდი წინაპრის – თარგამოსის სოფელია. ვიცი, ეგ სოფელი. ტეხურის პირას დიდი ჯიხაა. სოფელი შუაგულ სამეგრელოშია და რატომღაც მხოლოდ იმერლები ცხოვრობენ. მიშველაძეები, ბერიძეები, სიხარულიძეები, ნაროუშვილები, ხომ ასეა?

– დიახ, ბატონო კონსტანტინე, – თავი ავწიე და ჩემი სითამამის შემეშინდა.

– ჰოდა, თქვენ, მიშველაძეები იმერელი აზნაურები ხართ, გაუგებარი მიზეზის გამო სამეგრელოში ჩასახლებულნი და ვერგამეგრელებულნი, – დაასკვნა ბატონმა კონსტანტინემ.

– მართალია, მართალია... მშვენიერია, ძამიკო, უნდა დაუჯერო, ბიძიკო (მე მომიბრენდა), რა ვუყოთ მერე, ყველა ვერ მეგრელდება. ზოგი იმერლებად ვრჩებით, ხომ მოგწონს იმერლობა, ძამიკო? – ამ სიტყვებს რომ ამბობდა ბატონი გალაკტიონი, ხელს მართმევდა და თვალები ისე უბრწყინავდა, თითქოს რაღაც დიდი რამ სასიხარულო შეუტყვიაო.

აივანზე სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი გადმოდგა (კარგა ხნის შემდეგ შევიტყვე, რომ იგი ნინო თოფჩიშვილი გახლდათ).

– ბატონო გალაკტიონ, ბატონო კონსტანტინე, გთხოვენ!

– მოვდივართ, – ჩაილაპარაკა ბატონმა კონსტანტინემ.

ერთდროულად წამოდგნენ და ზურგქვემოთ შარვლის ფერთხვით, ფაცხაფუცხით კიბისკენ წავიდნენ.

მე და ლადო მწერალთა კავშირის ბაღში დავრჩით.

ეს იყო ჩემი პირველი და სასაუბროდ ბოლო შეხვედრა „მერის" ავტორთან.

მალე უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და შემიძლია

დავიფიცო, იმ დღიდან მწერალთა კავშირში (სანამ სააკაშვილი ჩვენს კუთვნილ სასახლეს ყაჩაღურად წაგვართმევდა) თუკი ყურს მოვკრავდი, თითქმის ყველა ღონისძიებას ვესწრებოდი.

მეორეჯერ გალაკტიონი 1958 წლის სექტემბერში ვნახე. რიცხვი ზუსტად არ მახსოვს.

დეკანი ვლადიმერ ფანჩავიძე 93-ე აუდიტორიაში შემოვიდა და პირველკურსელებს გამოგვიცხადა: ლექციების მერე კლუბში პოეტებთან შეხვედრაა და, ვისაც გსურთ, დაესწარითო.

თადარიგი დავიჭირე და ადრე მივედი, მაგრამ კლუბში რომ იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა.

სცენაზე მსხდომთაგან მხოლოდ იოსებ ნონეშვილი ვიცანი. ისიც კინოჟურნალებში მყავდა ნანახი. იოსებმა პირველი სიტყვა კრიტიკოს ლავროსი კალანდაძეს მისცა.

კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა ბატონ ლავროსის მოხსენება, რომ უკან, კლუბის კარებთან, ჩოჩქოლი გაისმა.

ყველამ იქითკენ მივიხედეთ.

მომხსენებელმა სიტყვა შეწყვიტა.

კარებში სტუდენტებს შორის გალაკტიონი იდგა.

– მობრძანდით, ბატონო გალაკტიონ, – სთხოვა დაგვიანებულს იოსებ ნონეშვილმა და დარბაზს მიუბრუნდა – ამხანაგებო, გალაკტიონი მობრძანდა, გამოატარეთ.

გალაკტიონი ადგილიდან არ იძვრის.

მაღალი არ არის, მაგრამ ტანსრულია. წვეროსანი, ქუდი და პორტფელი იღლიაში ამოუჩრია. დარცხვენილ მოწაფესავით შესცქერის სცენას. არავითარი მედიდურობა და არც სიამაყე დარბაზში დარხეული ტაშის გამო, არ შემიმჩნევია მის სახეზე. აშკარად შეწუხებულია, რომ დააგვიანდა.

– ბატონო გალაკტიონ, მობრძანდით, გამოატარეთ, თუ შეიძლება.

– ნუ წუხდებით, აქ ვიქნები, ბატონო, არა ვარ ღირსი გამოტარების, დამაგვიანდა, – ჩქარ-ჩქარა, მარცვალ-მარცვალ მიაყარა გალაკტიონმა.

მესამე თხოვნაზე სცენისკენ გაემართა.

სამ-ოთხ საფეხურიან კიბეზე ასვლა გაუჭირდა.

ხელი შეაშველეს.

მისთვის ავანსცენაზე გამოთავისუფლებულ ადგილზე კი არ დაჯდა, სადღაც უკან, სცენის სიღრმეში.

მეექვსე თუ მეშვიდე გამომსვლელად დაასახელეს.

ადგა. ტრიბუნისკენ გზა ბოდიშებით გაიკვლია და ერთადერთი ლექსი წაიკითხა: „იდიდე, მშვიდობავ, იდიდე!"

ტაშს არ დაელოდა, შეტრიალდა და თავის ადგილს მიაშურა.

იმ დღეს ჩემზე ზედმეტად მოკრძალებული, თუ გნებავთ, დათრგუნული კაცის შთაბეჭდილება დატოვა.

რომ არ გვცოდნოდა, ვინ იდგა სცენაზე, ვერც „იდიდე მშვიდობავ" გაფიქრებინებდათ, რომ პოეზიის მეფე გვიკითხავდა ლექსს.

მესამედ, უნივერსიტეტში გამართული შეხვედრიდან სულ რაღაც ერთ კვირაში, ვიხილე ბატონი გალაკტიონი, უნივერსიტეტის წინ ჭადარსმიყრდნობილი.

აშკარად ეტყობოდა, რომ მთვრალი იყო.

ავტობუსი რომ გაჩერდებოდა, უეცრად გამოცოცხლდებოდა, პორტფელს მარცხენა ხელში გადაიტანდა და გაჭედილ ავტობუსში ჯერ კარიდან ცდილობდა ასვლას, რომ არაფერი გამოვიდოდა, წინა კართან მიირბენდა, მაგრამ ამასობაში ხელს ჩაიქნევდა და ისევ ჭადარს მიეყრდნობოდა.

კარგა ხნის შემდეგ მწვანე „ვილისმა" ცხვირწინ დაუმუხრუჭა.

პოეტს მძღოლისთვის არც კი შეუხედავს.

კარი გამოაღო და ჩაჯდა.

მეოთხედ და უკანასკნელად „ლურჯა ცხენების" ავტორი მწერალთა სასახლეში კუბოში ვნახე ულამაზესი, გრანდიოზული, ბიბლიური და დაუჯერებლად მშვენიერი.

1959 წლის 23 მარტი იყო.

მაჩაბლის ქუჩა ცხენოსან მილიციას გადაეკეტა, მაგრამ იმდენი მოვახერხე, ხალხის ტალღას ზემოდან, ჯაფარიძის ქუჩიდან, ჩამოვყევი და მწერალთა კავშირის კლუბში აღმოვჩნდი.

შავარშიაშემოვებულ კუბოს ერთ მხარეს თავი აწეული ჰქონდა. იქაურობა გვირგვინებს ვერ იტევდა.

შავწითელსამკაულიანი მწერლები საპატიო ყარაულში ერთმანეთს ცვლიდნენ.

სამ საათზე პროცესია მთაწმინდისაკენ დაიძრა.

ზღვა ხალხი მოაცილებდა გალაკტიონის კუბოს სამუდამო განსასვენებლისკენ.

სამგლოვიარო მიტინგი მთაწმინდაზე, გაჭრილ სამარესთან გაიმართა.

მომეჩვენა, რომ ის სამიოდე, ოფიციალური, ვალისმოხდითი გამოსვლაც ზედმეტი იყო.

მთელი საქართველო გახლდათ გალაკტიონის ჭირისუფალი.

11 იანვარი, 2015 წ.
თბილისი

* * *

პოეტების მეფეს საქართველოს პოეტებმა მრავლად უძღვნეს ლექსები:

გალაკტიონ ტაბიძეს

ერთი ოცნების, ერთი გვარის ვართ ტუუბის ცალი,
ერთად ლპებიან ჩვენი მამების კუბოს ფიცარი.
ორპირის ფშანის ერთად ვწოვეთ ჩვენ უკმურები
და ლექსებითაც ერთმანეთს არ დავემდურებით...
გაუუოფელი დაგვრჩა ეზო, სახლი და კარი,
რიონის ტალღად დაგვედევნა სიტყვა ანკარა.
ერთია ჩვენი სამუდამო ხაშმის ემბაზი,
ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით.

მესმის უანებში გადაბმული გრძელი ნადური,
მოაქვს დილიანსს კრენდილები და „ნაკადული“.
მოიმღერიან შარაგზაზე ჩალანდარები
და შიშველ ფეხებს აქ ეკალიც არ ეკარება.
მე შემიყვარდა სამუდამოდ ჩვენი ორპირი,
შენ გაბრმავებდა ბავშვობიდან მარტო დაფნარი.
მღერის გომბეშო, გაუმშრალი და ოქროპირი,
ჩვენი სიმღერაც ამ ორკესტრის ხმაა დამდნარი.

ეხლაც ზუიან ხვალიფებში მშიერი მგლები
და ამ ტალახში ჩაეფლობა იხტიოზავრი,
დაჟანგებულა იქ თოხები, ჩვენი ნამგლები
და მოხსნეს ალბათ სამრეკლოდან მწივანა ზარი.

და მოღუნული აცხობს საკურთხს აქ ორი დედა,
რომელსაც ცრემლი მარტო ერთი თუ დააკურთხებს,
კიდევ კარგია, თუ მოუვარემ ვინმემ გაბედა,
თუ კიდევ შერჩნენ მეზობლები დაწყევლილ კუთხეს...

ტიციან ტაბიძე, 1927

გალაკტიონ ტაბიძეს

დღესაც გრძელდება, დღესაც ასეა
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა...
და მე ვგრძნობ, როგორ მიცვლის ხასიათს
ქარი, სიჩუმე... და ფოთოლცვენა...

მე, შეიძლება, დღეს დამეწერა
ის, რაც მაწვალებს გაჩენის დღიდან,
მაგრამ ჩემს თვალწინ მოწყდა კენწერო,
რომელსაც გუშინ ქარი ვერ სრიდა.
და ისევ ქუჩებს ვუბრუნებ თვალებს,
თითქოს მდინარეს ვუბრუნებ თევზებს
და ვიცდი, რადგან ვიცი, რომ მალე
ამტკივდებიან ფიქრები შენზე.

დღესაც ასეა, დღესაც ასეა
ქარი, სიჩუმე და ფოთოლცვენა...
და მე ვგრძნობ, როგორ მიცვლის ხასიათს
ქარი... სიჩუმე... და ფოთოლცვენა...

ოთარ ჭილაძე

გალაკტიონ ტაბიძეს

როგორც მწრთვნელი შიშითა და ძრწოლით
შორიახლო ლომს მიჰყვება ბებერს,
რუსთაველზე მოჰყვებოდა ცოლი
საქართველოს ჰოეტების მეფეს.
სტუდენტებმა მოიხადეს ქუდი
და ღიმილი მგოსანს მიაგებეს.
ლუდხანაში ჩამოუსხეს ლუდი
საქართველოს ჰოეტების მეფეს.
ერთი ჭიქით, ერთი ჭიქით მთვრალი
ჰყვება: „სისხლით ქრისტესავით მღებეს!“
მთაწმინდისკენ გაუშტერდა თვალი
საქართველოს ჰოეტების მეფეს.
აწ ჰარნახი გულში იკრავს სევდით
ბილიკების შეუშინარ მძებნელს -
სძინავს ბაღში სწორუჰოვართ გვერდით
საქართველოს ჰოეტების მეფეს.

* * *

ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ
(ის „მთვრალი“ იყო, როგორც უოველთვის!):
- ბატონო გალაკტიონ, თქვენ ჰირველი ხართ,
დამისახელეთ მეორე ჰოეტი...
უცებ, ჭინკებით აევსო თვალი -
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
- საქართველოში?! - ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი.

ლეგენდად დარჩეს

გალაქტიონი ტიციანთან ცოფილა უბრად,
ტიციანს თავის პოეტებში ჰქონია სუფრა,
და იჯდა თურმე ჩვენი დენდი საერთო ჯამთან -
უხორცო იო, ცოტას სვამდა და ცოტას ჭამდა.
გალაქტიონი შემოსულა დუქანში ამ დროს,
მარტო დამჯდარა, მარტოსული, და უსვამს მარტოს;
არ მიუხმია ის ტიციანს, არა და არა,
და ასე უბრად, უხერხულად კარგა ხანს მსხდარან.
უცებ (მახლობლად ჰურს ნაჯამა რეგვენების ჯგუფი)
გალაქტიონთან ერთ-ერთ რეგვენს მოსვლია ჩხუბი:
პოეტი მეფე ვერც მიმხვდარა რატომ და რისთვის,
შკადრებია რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის
აჰფეთქებია აქ ტიციანს უეცრად დენთი,
წამოვარდნილა ჩვენი ლორდი და ჩვენი დენდი,
დაუდგამს ჭიქა, შეუხსნია კისერზე ბანტი
და უხეთქია რეგვნულ შუბლში რეგვნისთვის კვანტი.
და დარევიან პოეტები ერთჰირად რეგვნებს
და ჭახაჭუხი შესდგომიათ ბოთლებს და ნეკნებს;
და როცა ჩვენი ლომკაცები ბრძოლით დამძღარან,
დაუფრენიათ თხებივით და ომი დამცხრალა,
- ტიტე, მამიკო! - შეშლილივით აყვირებულა
გალაქტიონი
და ორთავე ატირებულა, ორჰირის ფშანზე
გაზრდილ ბიჭებს უეცრად გული ამოსჯდომიათ,
ხვევნა-კოცნა შექმნილა მძური;
გადმოსცვენია შვების ცრემლი ტიციანს მისით,

რაც ექნებოდათ სამდურავი, იციან, ვიცით!
დიდი ბავშვები! ამდგარან და დამსხდარან ერთად
და ჰოეზია უთქვამთ ჰირველ საერთო ღმერთად.
ჰაოლოს გარდა ამ საქმეში ეოფილა გოგლა,
ეოფილა სმა და გადარევა ეოფილა ოხრად.
ეს ეველაფერი მე მიამბო „არაგვში“ გალამ
და, თუ ვუმატებ, ანუ ვაკლებ, ან რამეს ვმალავ,
არამი იეოს ის წარწერა: „სულით და გულით!“
იქ, იმ სარდაფში მიღებული ღვინო და ჰური!
გული გულს იცნობს, ღონე ღონეს, მარჯვენი
მარჯვენს...
ლეგენდად დარჩეს, მეგობრებო, ლეგენდად დარჩეს!

მურმან ლებანიძე

გალაკტიონის გახსენება

„წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავლო ქარო...“

მე შენს ნაკვალევს, დავალ, დავეძებ,
რიდით შევაღე ეველგან კარები.
რომელ კუთხეში, რომელ სკამძელზე
იჯექ და სალამს ქარს აბარებდი?

იქნება ცრემლიც აგორდა თვალზე,
მე ეს არ ვიცი, არა, არ ვიცი.
ვიცი, გისმენდა გრძნობებით სავსე
შენი წეალტუბო და ქუთაისი.

ამ გზებს სხვა ჰანგიც შემორჩა იქნებ?
და მინდა, მინდა ქარს დავაბარო:
„მოძებნე მისი მალული ფიქრი
და ჩამჩურჩულე, წუალტუბოს ქარო!“

თვალს ვერ ვაცილებ გარანდულ ქუჩებს,
დავალ, სკამძელებს თვალს ვერ ვაცილებ...
იქნება სადმე წავაწყდე უცებ
აქ დატოვებულ შენს სიუმაწვილეს?

მომნატრებია ღმერთების ღირსი
ჰანგი... ვედრებით გული აივსო:
მასმინე კიდევ სიმღერა მისი,
ო, ქუთაისო, ო, ქუთაისო!
მარიკა ბარათაშვილი

გამოთხოვება

დილაც ტიროდა იმ დღეს თბილისში,
სულ ირეოდა წვიმა და თოვლი,
როცა ქათქათა თოვლის სიცილში
გეპარებოდა სიკვდილი თრთოლვით.

თითქოს ამღერდა ის თეთრი გედი,
უკანასკნელად თქვი „მე და ღამე!“
უცებ გადაწყდა ფიქრებში ბედი,
ვეფხვის ნახტომით გამოგეცალმე.

არ დააცადე ქართლის უვაჟილებს
აფერადება ბაღში, მდელოში.
ქვეყნიდან წასვლა გულს რად გაიკლე
ვაზის და ვარდის სამფლობელოში!

იქნებ დაფეთდნენ ლურჯა ცხენები,
გარბიან ლექსის ჭექა-ქუხილით!
არა!.. ეს შენი მზის ჩასვენებით
მიგუგება ხალხის გლოვა, წუხილი.

იქნებ მიცურავს გემი „დალანდი“,
ნელა ირწევა გვირგვინთა მაღლა!
არა!.. ეს შენი კუბო და ლანდი
ამ მოზღვავებულ ხალხს მოაქვს ახლა.

ვაი, რა მწარედ გამოგვეთხოვე,
რამდენი სევდა აგვინთე ცეცხლად!
რამ შთაგაგონა ლექსის ბეთჰოვენს
სიცოცხლის ჰანგის სიკვდილით შეცვლა.

სულის სავანედ მთაწმინდას ჰპოვებ,
ნახავ ტატოსაც, სამჯერ დამარხულს.
ძმასავით გეტყვის, როგორც დიდ ჰოეტს,
რად გაექეცი ამ დიდ გაზაფხულს?!

რომ ასე ადრე დაგვწვი, დაგვთუთქე,
ღრუბლებს აცრემლებს კავკასიონი.
ქართული ლექსის ოქროს საფუტკრე
სარ და იქნები გალაკტიონი.

ვარლამ ჟურული

იმ დღეს

იმ დღეს ადიდდა ჯოროხი ჩემი,
ტუე, მოგლეჯილი, ზღვასთან მიზიდა,
შემოემატა ალბათ მას ცრემლიც
მარად საუვარელ მშობელ მიწიდან.

ღრუბელთა აფრას დაეცა ქარი
და მწუხარებამ დღე დაატუვეა,
და, როგორც ქართულ ჩონგურის ლარი,
უცებ შეაწუდა მთას ცისარტუელა.

მაგრამ თვით სიკვდილს რა შეეძლება,
თუ გვიუვარს შრომა არა იოლი...
მამულს არასდროს გარდაეცვლება
აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.

განა სიმღერამ დღე დაიმოკლა?!
ჰე, პოეტებო, იმგვარად წერეთ,
რომ პოეზია არ დარჩეს ობლად,
გალაკტიონის სიკვდილის მერე!

ფრიდონ ხალვაში

გალაკტიონის ხსოვნას

შენი სიმღერა, გულში ჩამწვდომი,
ვის არ სმენია, ვის არ ათრთოლებს!
რამდენი ფიქრი, სევდა რამდენი
უცხო ზმანებებს გამოაქროლებს.

მზიურ ოცნების ნაკვეთი სახე
მთაწმინდის მთვარის ნათელში მღერის.
იმეორებენ უნაზეს სახელს
ჰაეროვანი, ძვირფასი მერის.

ეოლის ჩანგის სიმივით ჟღერდი,
ჩანგს ახსენებენ, - შენც იხსენები,
ბარათაშვილის „მერანის“ გვერდით
გაიქროლებენ „ლურჯა ცხენები“...

რევოლუციის მრისხანე ქარში,
მოგვიწოდებდი: „დროშები ჩქარა!“
მშობელი მიწის ერთგული დარჩი,
თავისუფლებას უმღერდი მარად...

რად დააჩქარე გლოვის ზარები,
რად დააჩქარე კვნესა გულისა?
რად დააწვიტე ჩონგურს ლარები,
შარავანდედო საუკუნისა?

გრიგოლ ცეცხლაძე

მონატრება

გალაკტიონისა და ტიციანის ხსოვნას

რიონისპირა ჭყვიშში ვარ ახლა,
სადაც მივიღე ბავშვმა ნათლობა.
ტაბიძეების ვჩერდები სახლთან,
ეზოდან მესმის შაშვის გალობა.

ირგვლივ უვავილთა სურნელი დაჰქრის
და მონატრებით მე ვარ დაღლილი,
რიონი მოდის, ასკდება ნაპირს,
გაღმიდან ისმის ძროხის ბღავილი.

სვილიფში გავალ წიქვაძის ფონით,
რომ დავინახო თქვენი სახლობა,
გალაკტიონის დამცდა სტრიქონი:
„რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

„ლექსი მეწყერის“ რითმის ზმანებამ
სულ აამღერა მხარე მთიანი
და იზეიმეს სოფლის ფშანებმა
ზე ამაღლება აქ ტიციანის.

ეზოს ბოლოში ლორთქო ბალახი...
ამწვანებულსა ცვარი ჰყავს მცველად.
თქვენი სამშობლო მაქვს დანანახი,
ამიტომ მინდა მოვკვდე ქართულად.

ვახტანგ ახობაძე

საუკუნის გაცილება

გუშინ ღამე, ძილ-ბურანში,
კიდევ შევხვდი გალაკტიონს,
ჩემი სული ენგურს ჰგავდა,
მისი სული ჰგავდა რიონს,
საუბარში, მუსაიფში გავცდით გელათს,
გავცდით სიონს,
მადათოვზე დაგვათოვა და იქ შევხვდით
ჩვენს ალიონს.
მოვიგონეთ ნიკორწმინდა,
ჯვარის წერა,
ღამე, მერი,
შევქეიფდით, სიმღერაც ვთქვით,
სიომ გვითხრა მისამღერი.
ადღეგრძელა ჰოეზია, გამოცალა
ვერცხლის თასი,
საუკუნე დამთავრდაო, მე შევატყვე დარდი ხმაში,
მზის სხივების ოქროს კონამ გააცილა იგი ცაში,
მე კი დავრჩი სევდით სავსე,
ცრემლმორევით მარტო გზაში.

მამა ექვთიმე (ჩივაძე)

მას ეფერება აკაკის ლანდი

როცა სტრიქონში გავმართე მკლავი
და ამიფრინდა ოცნება ლურჯად,
მოკრძალებული,
დღისით თუ ღამით,
ამოვიცანი აკაკის ქუჩას.
მარხვევდა ლექსის
პირველი მწუხრი,
ჭაღარა ბულბულს ვხედავდი თითქოს,
და მინათებდა მაღალი შუბლი,
თეთრი წვერების ნეტარი სითბო.
გულს მედებოდა ნათელას ალი,
თორნიკეს ხმალის გამონაშუქი,
ღელავდა ქუჩა -
არაგვის წუალი,
მე - შიგ მცურავი ბაში-აჩუკი...
ის სიცოცხლეში შემკული დაფნით,
მარადიული დიდების ღირსი,
ნეტავ სად არის,
ნეტავ სად გაქრა,
აქ წარწერილი სახელი მისი?
გაფრინდა, გაჰქვა თვალუწვდენ მამულს,
ბევრის მნახველი
და ბევრის მომსწრე,
მიაყურებდა ტალღების თქარუნს
და დაეფარა გადაშლილ ბროსჰექტს.
გაფრინდა,
დასთმო ჰატარა ქუჩა

და მიატოვა უკვდავებაში,
ალბათ არ ეყო
მანძილი, სუნთქვა,
შეცურდა ვითარც მდინარე ზღვაში,
მაგრამ არც მხედარს შეაგვიანდა,
აქ ისწრაფოდა
ჯვენებ-ჯვენებით,
და ამ ქუჩაზე შემოგრიალდა
გალაკტიონი ლურჯა ცხენებით.
აქ შეეფარა აკაკის ჩრდილში,
გაანდო თვისი
წვა და ნაღველი,
გაუხარია მშობლიურ თბილისს,
შემატებია ერთი სახელი.
დღეს ამ ქუჩაზე
მრავალი დადის,
მე კი ყოველთვის ერთ რამეს ვხედავ,
ვით ეფერება აკაკის ლანდი
ლურჯა ცხენების გაფრენილ მხედარს...

ოთარ მამფორია

გალაკტიონისადმი

არ გაქცეულხარ,
მაგრამ ლტოლვილის
ბედი გტკიოდა,
როგორც ჭრილობა...

და ანათებდა სული თოვლივით
შენი სიცოცხლის რიღო-ჯრიღოდან.
ასე სათუთი,
ასე მორჯმული,
გაბრუებული ყინვით და ალხით,
იყავი მუდამ გარს შემორტყმული
მოსიყვარულე გულების ალყით.
წამსკდარი თქეში,
წამსკდარი თქეში
სტკიოდათ თვალებს
ფოთლების ცვენად!..
იდექი ეჯვის
და რწმენის წრეში
ორივე გზრდიდა -
ეჯვიც და რწმენაც.
მზეს მიჰყიოდა,
მზეს მიჰყიოდა
სულის ექსტაზი და აგონია...
და დიდი ნიჯის წმინდა მირონი
რიტმად ნათლავდა ვნების ფორიაქს,
რიტმად ნათლავდა სიმღერას, სიცილს,
ფერთა ტირილს და ფერთა გალობას,
წარსულის ძილის, დღეის ღვიძილის,
წარმავალობას,
წარუვალობას.
იფეთქა
შენმა ნახნავ-ნათესმა,

იმრავლა
შენმა სათიბ-სამკალმა.
და ჰოეზიის
ცისფერ ნათელში
მიაბიჯებდი მარტოკაკალა.
მიაბიჯებდი საკუთარ მზეში,
მიაბიჯებდი საკუთარ ჩრდილში...
და შეგვრჩი სულად,
და რწმენად შეგვრჩი
შენ -
წარამარა ხსენების ღირსი.
შენ - ჩვენო ბანგო
და ჟრუანტელო,
ვინ არ შეგკადრა თანატოლობა...
ეს საუკუნე
და საქართველო
შენი ლექსების საბატონოა.

ტაბუ მებურიშვილი

გალაკტიონს

ფრთები გაშალე, გალა, გაშალე!
ქროლვით მუზებიც აღარ დაინდო,
რაღას მოსთქვამენ, ვის დასტირიან?
შენ აქ იყავ და არვინ დაგინდო.

ცეცხლის მზით მარად გაცისკროვნდები,
შვიდგზის შვიდფერად რომ კვლავ აინთო,
ლურჯა ცხენების შავი ფლოქვებით
ეშმა გათელე და არ დაინდო!

გადმოაღვენთე მადლი ცისკრისას,
დედა-ღვთისმშობელს ლექსი უგმიე,
უეკლო ვარდი, როგორც თილისმა,
სილაჟვარდეში მკერდზე უბნიე.

როგორ ევნე და როგორ ეწამე,
ჯვარს ეცვი! მაგრამ შველა არ იყო...
დანავარდობდა ქარი ლერწამზე,
ვინ განუგეშა... მერი სად იყო?!

ან „მესაფლავეს“ რისთვის სტიროდი,
მთაწმინდის მზე თუ ჩასისხლულიყო,
ან წრფელი გულით რისთვის მისნობდი,
თუ შენი ქნარი, ვისთვის რა იყო?

გაშალე ფრთები, გალა, გაშალე!
მგზნებარე ქროლვით რომ ცა გაიპოს,
ანგელოზები გამოაფხიზლე!
რომ საქართველო ისევ დაინდონ.

ინესა მერაბიშვილი
27 თებერვალი, 2010

გალაკტიონის საერთაშორისო აღიარება

ბედნიერი ვარ იმით, რომ მოვესწარი გალაკტიონის დიდ საერთაშორისო აღიარებას. რომ არა გალაკტიონის რჩეული ლექსების ინგლისური თარგმანი, რომელიც განსაკუთრებული სინატიფითა და ცოდნით, იშვიათი და უტყუარი პოეტური სმენის წყალობით შეასრულა ინესა მერაბიშვილმა, ეს ალბათ დიდხანს ვერ მოხდებოდა. გალაკტიონი ბრიტანეთმა ორჯერ გამოსცა. ჯერ იყო 2011 წელს, როდესაც ორენოვან კრებულში 50 ლექსი შევიდა და ინგლისელი ლორდების, დიპლომატების და პროფესორების ინიციატივითა და მონდომებით ლონდონის შუა გულში, ერთ-ერთ დიდებულ დარბაზში გალაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართა.

აი, რას წერდა ამის შესახებ ქართველი ჟურნალისტი ლონდონიდან:

გალაკტიონის იუბილე ლონდონში

არ მსმენია, როგორ აღნიშნეს გალაკტიონის 120 წლის იუბილე მის სამშობლოში, მაგრამ ის პატივი, რომელიც მას ლონდონის საზოგადოებრიობამ მიაგო, იყო სასიამოვნო და მრავლისმთქმელი!

ლონდონმა ქართველი პოეტის სახით აღმოაჩინა ახალი გალაქტიკა, რომელიც აქამდე თითქმის მიუწვდომელი იყო ინგლისურენოვანი მკითხველისთვის. გალაკტიონის რამდენიმე ლექსის ინგლისური თარგმანი, რომელიც აქამდე გვინახავს, მიახლოებულ წარმოდგენასაც ვერ ქმნის პოეტზე. მათი გაცნობა ვერაფრით დაარწმუნებს უცხოელ მკითხველს, თუ რატომ მიგვაჩნია ქართველებს გალაკ-



ტიონი დიდ პოეტად?

დასანანია, რომ ჩვენს სიტყვაკაზმულ პოეზიას ამდენ ხანს ღირსეული მთარგმნელები ვერ გამოუჩნდნენ და ასე აგვიანდება მის სათანადო გაცნობას და აღიარებას მსოფლიო მასშტაბით. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საგრძნობლად გამოჩნდა ამის მოთხოვნილება როცა ამდენი ქართველი ცხოვრობს უცხოეთში და აკვირდება სხვა ქვეყნის ლიტერატურებს, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენ მართლაც გვაქვს დიდი ლიტერატურა, რომლის მსოფლიოში გატანა პრინციპულად მნიშვნელოვანია.

ასეთ გასატან ავტორთა შორის გალაკტიონი ერთ-ერთი უპირველესია და რა გასახარია, რომ მას ინესა მერაბიშვილის სახით ლამის საუკუნის შემდეგ გამოუჩნდა ღირსი რანგის მთარგმნელი, რომელმაც გალაკტიონის ბგერის და აზრის მუსიკის გადატანა შეძლო ინგლისურ თარგმანში. გექმნება შთაბეჭდილება, რომ ინესა მერაბიშვილი მთელი ცხოვრება ემზადებოდა ამისათვის.

პირველი 25 ლექსი წიგნად თბილისში 2005 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა, ამასობაში მთარგმნელი აგრძელებდა მუშაობას გალაკტიონის

სხვა ლექსებზე და ამჯერად, უკვე დიდ ბრიტანეთში გალაკტიონი ინესა მერაბიშვილის თარგმანში გამოიცა. ორენოვან კრებულში 50 ლექსი შევიდა. გალაკტიონის წიგნის გამოსვლა ზუსტად დაემთხვა გალაკტიონის 120 წლის იუბილეს. სწორედ ნოემბრის თვეში გაიმართა ამ წიგნის პრეზენტაცია კენინგ ჰაიზში, ბელგრეივ სქვეაზე მდებარე განთქმულ სასახლეში, რომელიც ერთ-ერთ პრესტიჟულ ადგილად ითვლება ლონდონში. ეს ყველაფერი ინესა მერაბიშვილის ინგლისელმა მეგობრებმა ითავეს. წიგნი კი ნოტინგემის ცნობილმა გამომცემლობამ Critical, Cultural and Communications Press-მა დაბეჭდა.

გალაკტიონის პოეზიის ინგლისურ ენაზე გაცნობის მსურველებს აუდიტორია ვერ იტევდა და ბევრ მათგანს ფეხზე დგომა მოუწია. არ მახსენდება ამდენი საინტერესო და მნიშვნელოვანი პიროვნება სხვა რომელიმე ქართულ მოვლენას დასწრებოდა, ან ამდენი კეთილი და საგულისხმო სიტყვა ეთქვათ საქართველოს მისამართით. გალაკტიონის პოეზიამ შემოიკრიბა და გააერთიანა ადამიანები საქართველოს გარშემო. მისი გაცნობით, ასი წლის წინანდელ საქართველოს ყველა ჩათვლის ევროპის მოწინავე ნაწილად, სადაც ხელოვნებაში ზუსტად იგივე პროცესები მიმდინარეობდა, რითაც იმ დროის ევროპა სუნთქავდა.

გალაკტიონის ლექსი არის წმინდა ევროპული მოვლენა თავისი დახვეწილობით, ენობრივი ექსპერიმენტისა და პოეტური შესიტყვების ახალ სიმაღლემდე ატანის თვალსაზრისით. იგი ჩვენს თვალწინ გადაშლის არაამქვეყნიურ მშვენიერებას, რაც აქამდე მხოლოდ ქართველებისთვის იყო მისაწვდომი და ამიერიდან მსოფლიოს კუთვნილება ხდება ამ ბრწყინვალე თარგმანის წყალობით! ამას ყველა გამომსვლელი ხაზგასმით აღნიშნავდა. უმთავრესი კი

ის გახლავთ, ვინ იყვნენ ეს გამომსვლელები. ესენი არიან ლექსის უშეღავათო შემფასებლები. მათ შეფასებებში კი, ხშირად გაისმოდა გოეთეს, ბაირონის, რილკეს, იეიტსის, აპოლინერის სახელი

საღამო გახსნა სტივენ ნეშმა, საქართველოში დიდი ბრიტანეთის ყოფილმა ელჩმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის გულითად მეგობრად რჩება დღემდე. მან მაღალი შეფასება მისცა ინესა მერაბიშვილის თარგმანს, „რომელიც მკითხველს ცხადად დაარწმუნებს თუ რა სიმაღლეებს სწვდება გენიალური ქართველი პოეტის ყოვლისმხილველი გული და უკიდეგანო წარმოსახვა. ისიც კარგად მახსოვს როგორ ჩაუყარა ინესა მერაბიშვილმა საფუძველი საქართველოში ბაირონის საზოგადოებას. ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო კვლევას და ასევე დააარსა ბაირონის სკოლა, რომელიც ბრიტანული ენისა და კულტურის ნამდვილ ცენტრს წარმოადგენს. მის მოღვაწეობაში თანაბრად მნიშვნელოვანია აქტიური სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი მუდამ ლიდერი და სანიმუშო პიროვნება გახლდათ ამ მხრივ. მის სრულიად უნიკალურ უნარს წარმოადგენს მთარგმნელის ნიჭი. მან ბაირონის არაერთი ქმნილება ააჟღერა ქართულად. ბოლო წლებში კი საქართველოს უდიდესი ეროვნული პოეტის გალაკტიონის ინგლისურად თარგმნას მიჰყო ხელი. პროფესორი ინესა მერაბიშვილი გახლავთ ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოამაგე, რომელიც მეგობრებს და დამფასებლებს უმრავლებს საქართველოს. ამ მხრივ მის ღვაწლს მე მხოლოდ მარჯორი უორდროპის მიერ გაწეულ სამსახურს შევადარებდი," – ამბობს ბატონი ნეში.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის სამეფოში



გიორგი ბადრიძემ ვრცლად ისაუბრა ჩვენი ქვეყნის პირველი დამოუკიდებლობის ხანაზე (1918-1921 წლები), როცა საქართველო ევროპის კვალდაკვალ ვითარდებოდა და წარმოადგენდა მის ორგანულ ნაწილს. "მაშინდელი ქართული მწერლობის და ხელოვნების სხვა დარგების მიღწევები არის ამის დასტური. იმ დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენა გახლავთ სწორედ გალაკტიონი, რომელიც ბოლო ხანებამდე ლამის „უთარგმნელ პოეტად" ითვლებოდა და ამით ბევრი დააკლდა მისი სახელის გატანას და აღიარებას უცხოეთში. კარგია, რომ საზღვრებს გარეთ ხშირად გააქვთ და უფრო ცნობილია ქართული ფოლკლორი, მაგრამ ჩვენ გაგვაჩნია უდიდესი სიტყვაკაზმული მწერლობა, რომელიც მართლაც გასატანია სათანადო სიმაღლეზე თარგმნილი. ამ მხრივ განსაკუთრებით ფასეულია ქალბატონი ინესას მიერ თარგმნილი გალაკტიონი. რომლის წყალობითაც იგი მსოფლიოს საგანძურში მკვიდრდება. უმისოდ კი საკაცობრიო ლიტერატურის სურათი სრულყოფილი ვერ იქნება, – აღნიშნა გიორგი ბადრიძემ.

ქალბატონმა ინესამ აუდიტორიას წარუდგინა გალაკტიონის იუბილეზე მოწვეული გენიალური ინგლისელი პოეტის ჯორჯ ბაირონის ახლანდელი მემკვიდრეები ლორდ ბაირონი და გრაფი ჯონ ლიტონი მეუღლითურთ. გრაფი

ლიტონი გახლავთ ბაირონის პირდაპირი შთამომავალი ქალიშვილის, ადას მხრიდან. იგი არის ლორდთა პალატის დამოუკიდებელი წევრი და ფრიად გავლენიანი პიროვნება. ორივე მათგანმა მადლობა გადაუხადა ბაირონის შემოქმედების ქართველ მკვლევარს ინესა მერაბიშვილს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ბაირონის საზოგადოების საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებზე და არაერთი საინტერესო დაკვირვება და აღმოჩენა ეკუთვნის ბაირონოლოგიაში. მათ კმაყოფილება გამოთქვეს, რომ ესწრებიან ქართველ ბაირონად აღიარებული პოეტის 120 წლის იუბილეს. „გავეცანი რა ამ თარგმანებს, მასში მართლაც მოსჩანს ბაირონის მონათესავე ბობოქარი სული და სიტყვასთან თამამი გაპაექრება. ჩემს წინაპარს გულით ეწადა სწვეოდა ზღაპრულ მხარეს, საქართველოს, რაც მან ვერ აისრულა. ვეცდები აუცილებლად განვახორციელო მისი ეს ოცნება," – თქვა გრაფმა ლიტონმა.

ლორდ მერევორსმა, რომელიც თავისი საგვარეულოს რიგით მეხუთე ბარონია, ამასთან არის ცნობილი პოეტიც, ბრძანა: „გალაკტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი ხარისხის პოეზია, რომელიც არის სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულების შემქმნელი. მის გარეშე მსოფლიო პოეზია ბევრ აღმოჩენას აუვლიდა გვერდს. მე ორმაგად მიხარია, რომ დღეს აქ შეკრებილ ბრწყინვალე საზოგადოებას ვხედავ, რომელიც იზიარებს ამ შეხედულებას. მსიამოვნებს, რომ ერთ-ერთი პირველი ვარ მათ შორის, ვინც თავიდან გაეცნო პროფესორ მერაბიშვილის თარგმანს. მე ამაყი ვარ იმითაც, რომ სწორედ ჩემი მეგობრების წრემ უზრუნველყო კენინგ ჰაუზის შეთავაზება ამ საღამოს ადგილად. გალაკტიონი სრულიად იმსახურებს ამ დიდებულ ჭერში მოხვედრას, მისი ხმა სწორედ აქ უნდა

გაისმოდეს! მადლობა მინდა ვუთხრა პროფესორ მერაბიშვილს, რომელმაც ასეთი ძვირფასი სამსახური გაუწია უკვდავ პოეტს, მისი სახეები და მეტაფორები ამიერიდან მსოფლიო საკუთრება ხდება და მისით დაინტერესება სულ უფრო გაიზრდება. ეს არის კონგენიალური თარგმანი, სადაც დედნის ღირსებები სავსებით არის შენარჩუნებული," – აცხადებს ლორდი მერევორსი.

ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორმა რიჩარდ კარდველმა, რომელსაც ინესა მერაბიშვილმა პირველად წააკითხა თავისი თარგმანები, გაიხსენა თავისი აღფრთოვანება გალაკტიონის აღმოჩენით, ასევე საქართველოში მოგზაურობაზე და იქ მიღებული დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზეც ესაუბრა საზოგადოებას. საკუთრივ თარგმანზე კი ასეთი აზრი გამოთქვა: „ეს არის მთარგმნელის გამარჯვება, მან წარმატებით ააჟღერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, დედნისეული ტექსტის რთულ მეტაფორები არაჩვეულებრივი ერთგულებითა და სიზუსტით აამეტყველა ინგლისურ ენაზე. ის, რომ ამ თარგმანებში მკითხველი ვერ გრძნობს უცხო წყაროს არსებობას ეს ინესა მერაბიშვილის, როგორც მთარგმნელის დიდი ნიჭიერების და ოსტატობის მაჩვენებელია".

ბერნარდ მაკგარკმა, ნოტინგემის გამომცემლობა Critical, Cultural and Communications Press-ის ხელმძღვანელმა, პატივად მიიჩნია, რომ მათთან დაიბეჭდა ამ რანგის პოეტი. „ვიმედოვნებ, რომ ინესა მერაბიშვილის თარგმანი უამრავ მკითხველს დააინტერესებს ამ სრულიად განსაცვიფრებელი პოეტით, რომელიც საუკუნის დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე და მხოლოდ ახლა ხდება მსოფლიოსთვის მისაწვდომი".

ამერიკელი რობერტ ჯ. გიბსონი კი ასე გამოხატავს

თავის გაოცებას წინამდებარე თარგმანებით: „რომ არ მცოდნოდა ჩემს წინაშე თარგმანია, ჩავთვლიდი, რომ ეს ყოველივე ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია, თუმც იქ საქართველოზე არის საუბარი. ეს ხომ ძალზე იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილ ლიტერატურაში და განსაკუთრებით პოეზიაში. აშკარაა, რომ მის მიერ ინგლისური ენის სილრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს რომ ხელეწიფება.

მსურს მადლობა ვუთხრა მას იმისთვის, რომ მაზიარა გალაკტიონს, რომლის შემოქმედება, უდაოდ, გაცილებით უფრო ფართო აღიარებას იმსახურებს. ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის ელჩის სამსახური, ნამდვილი ლოცვა-კურთხევაა მსოფლიოს პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის, რომელთაც მისი ღვაწლი ლიტერატურაში მომავალშიც დიდხანს ემახსოვრებათ". მსმენელთა უმეტესობას ინგლისელი საზოგადოება წარმოადგენდა. ძირითადად ქალბატონი ინესას კოლეგები და მეგობრები, რომელიც მას მთელს მსოფლიოში ჰყავს. არაერთი მათგანი ჩამოვიდა საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, შოტლანდიიდან, ბრაზილიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან.

საღამოს ჰქონდა საოცრად დახვეწილი დრამატურგია. ეკრანზე ჩანდა გალაკტიონი და მისი სამყარო, ჭყვიშის ქოხი და მთაწმინდა. აქ გაისმოდა შოპენის, კვერნაძის და ვაჟა აზარაშვილის მუსიკა ცოცხალი შესრულებით. როიალთან იყვნენ პიანისტები თამარ საყვარელიძე და რიჩარდ ბლეკი.

გალაკტიონის პოეტური მუსიკის უკეთ შესაგრძნობად ქართულად რამდენიმე ლექსი წაიკითხა ერეკლე კო-

პლატაძემ, ლონდონში მცხოვრებმა სტუდენტმა. ქალბატონი ინესა კი იმავე ლექსების ინგლისურ თარგმანს გვაცნობდა. ერთმანეთის პარალელურად წაკითხულმა ნიმუშებმა უკეთ გამოკვეთა დედნისეული და ნათარგმნი ტექსტების მუსიკალური და მელოდიური სიახლოვე. საზოგადოებამ მოისმინა თვით პოეტის ხმის ჩანაწერი, როგორ კითხულობს იგი „მთაწმინდის მთვარეს“, რომელსაც ინგლისურ თარგმანში მიჰყვებოდა ინესა მერაბიშვილი.

ლონდონში გამართული ეს საღამო უნდა ჩაითვალოს ფრიად ღირსახსოვარ მოვლენად, რომელმაც დაარღვია დრო და დუმილი და გალაკტიონი უბოძა თანაბრად ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჭეშმარიტი პოეზიის ძალა.

გიორგი ლალიაშვილი
ლონდონიდან,
გაზეთი „24 საათი“, 04 დეკემბერი, 2011

2017 წლის ნოემბერში, ლონდონში კვლავ გალაკტიონის იუბილე გაიმართა, რომელიც პოეტის დაბადების 125 წელს მიეძღვნა. ღონისძიება ჩატარდა ლონდონში საქართველოს საელჩოს, საკუთრივ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის თამარ ბერუჩაშვილისა და ლონდონში „აზიის სახლის“ ინიციატივით. ამ დღისათვის ლონდონის ერთ-ერთმა გამომცემლობამ დასტამბა გალაკტიონის ლექსების ორენოვანი კრებული სათაურით „Discover Galaktion“ - „აღმოაჩინეთ გალაკტიონი“. კრებულს თან ახლავს მთარგმნელის ვრცელი ინგლისურენოვანი შესავალი და კომენტარები. ამ თეორიული შესავლის თანახმად, აშკარა ხდება, რომ გალაკტიონს სურს, საქართველოდან მიაწვდინოს ხმა მსოფლიოს და გადაარჩინოს ის. როგორც ინესა მერაბიშვილი

აღნიშნავს, ამას განსაკუთრებით კარგად მოწმობს გალაკტიონის შემდეგი ლექსი:

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაჰქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოზი და ფერდინანდი.
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ საშინელ წელს - ჰოეტი-მეფე -
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,
ჰანგების მეფე - დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი -
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,
რომ გამომევლო ჯერარსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

(„პროლოგი 100 ლექსის“)

საიუბილეო სხდომაზე ძირითადი მომხსენებელი პროფესორი ინესა მერაბიშვილი გახლდათ, რომელმაც საზოგადოებას არა მარტო გალაკტიონის პოეტური სიდიადე ამცნო, არამედ მისი დიდი მისია. აი, რას წერდა ამ საღამოს შესახებ ჟურნალისტი თამარ შაიშმელაშვილი:

„ლონდონის აზიის სახლმა პოეტის 125 წლისთავზე შეკრებილ საზოგადოებას შესთავაზა პროფესორ ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი გალაკტიონის 60 რჩეული ლექსი, რომელიც ლონდონის ერთ-ერთმა პრესტიჟულმა

გამომცემლობამ ახლახან დაბეჭდა.

როგორც ლონდონიდან გვაცნობეს, ინგლისურ ენაზე გამოცემული გალაკტიონის ახალი წიგნი 2 ნოემბრიდან უკვე განთავსდა Amazon-ზე და ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისთვის. წიგნი 215 -გვერდიანია და გალაკტიონის 60 შედევრს შეიცავს. კრებულს თან ახლავს მთარგმნელის ვრცელი შესავალი და კომენტარები, პოეტის არქივში დაცული ფოტო და ხელნაწერი დოკუმენტების ასლები.

საამაყოა, რომ ცნობილმა ქართველმა ანგლისტმა ინესა მერაბიშვილმა ლონდონს თავად წარუდგინა წიგნი და წაიკითხა ბრწყინვალე ლექცია გალაკტიონზე. ამ ლექციის გამორჩეულ ღირებულებაზე აზიის სახლი ვებგვერდზე ერთი თვის განმავლობაში იუწყებოდა.

მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც არცერთი ჩვენი მოღვაწის იუბილე დასავლეთში არ მოწყობილა, გალაკტიონს ლონდონში იუბილე უკვე მეორედ გადაუხადეს. დამსწრეთა შორის იყვნენ ინგლისელი ლორდები, პროფესორები, მწერლები, მხატვრები, პოლიტიკოსები და დიპლომატები.

შეკრებილმა საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ინესა მერაბიშვილის თარგმანს და აღნიშნა, რომ მისი წყალობით გალაკტიონი მსოფლიო საგანძურში მკვიდრდება.

თარგმანის ცნობილი და აღიარებული თეორეტიკოსის, ინესა მერაბიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი გალაკტიონისა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ქართული ლექსი აუცილებლად უნდა თარგმნოს მან, ვინც ქართულსა და უცხოურ ენებს თანაბარ დონეზე ფლობს და არის იმ პოეტის თავდადებული მკვლევარი, რომელსაც თარგმნის, ბუნებრივია, თუ მას პოეტური ნიჭიც მოსდგამს.

ფრიად სასიხარულოა, რომ ამავე საღამოზე ლორდ მერევორსს საქართველოდან ჯილდო გადაეცა – ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთა", რადგან სწორედ მერევორსი გახლდათ ის ინგლისელი პოეტი, რომელიც აღფრთოვანდა გალაკტიონის პოეზიით და გალაკტიონის პირველი იუბილე ლონდონში მისი ინიციატივით ჩატარდა. მადლიერებით აღსავსე ლორდმა შემდეგი განაცხადა:

„მე მართლაც გავაცნობიერე პირველივე კრებულის ღირებულება და წარვუდგინე ის მკითხველს. ახლა უკვე გალას მესამე კრებული გამოიცა ლონდონში, რომელსაც ამაზე მეტი წარდგინება არ სჭირდება, როდესაც ის მთელი მსოფლიოსათვის ხელმისაწვდომია Amazon-ზე. ამგვარად, გალაკტიონის სახეები და მეტაფორები ახლა უკვე მსოფლიოს კუთვნილებაა და მისით დაინტერესება სულ უფრო გაიზრდება.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი პროფესორ ინესა მერაბიშვილს ამ ბრწყინვალე თარგმანისათვის, რომელსაც გენიალურ ნამუშევრად ვაფასებ."

ინგლისელი დიპლომატების რჩევითა და ხელშეწყობით, გალაკტიონმა გეზი ევროპის საბჭოსკენ აიღო, რათა ევროპის ოჯახის დიპლომატებს ერთიანად გაეცნოთ ქართველი პოეტი. 20 თებერვალს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ერთ–ერთ სხდომათა დარბაზში გაიმართა პროფესორ ინესა მერაბიშვილის ლექცია თემაზე: „აღმოაჩინეთ გალაკტიონი", რომელსაც მსოფლიოს 25–მდე ქვეყნის ელჩი და 50-ზე მეტი მაღალი რანგის დიპლომატი დაესწრო. ორატორმა ნამდვილად მიაღწია მიზანს, რადგან გალაკტიონი წარმოჩინდა, როგორც მსოფლიოს უდიდეს პოეტი, რომელიც დიდ სიკეთესა და აღმავლობას სთავაზობს კაცო-

ბრიობას მის მიერ წარმოსახული ჰარმონიული სამყაროს შეცნობის გზით. ეს კი, ბუნებრივია, მის პოპულარიზაციასა და თარგმნას მოითხოვს.

სტრასბურგში ლექციის მერე დისკუსია გაიმართა, სადაც დიპლომატებმა მაღალი შეფასება მისცეს ინესა მერაბიშვილის კვლევას და თარგმანს და განსაკუთრებული ინტერესი გამოთქვეს გალაკტიონის შემოქმედების გაცნობისადმი. სწორედ ელჩების გამოსვლებში გაისმა, რომ ლექციათა ციკლი სასურველია გაგრძელდეს ევროპის სხვა ქვეყნებსა და მთელ მსოფლიოში. ამიტომაც იყო, რომ მიმდინარე წლის თებერვალში გალაკტიონს ევროპის საბჭო გაეცნო. პოლონეთის ელჩმა ევროპის საბჭოში განაცხადა, რომ „გალაკტიონის სახით მან მონათესავე სულის პოეტი იპოვა", ხოლო ირლანდიის ელჩმა აღნიშნა: „ჩვენ ერთდროულად ორი პოეტი ვიპოვეთ – გალაკტიონი და მთარგმნელიო".

მავანი და მავანი იკითხავს: მაინც რით არის გამოწვეული ამგვარი აღფრთოვანება გალაკტიონის ლექსის ინესა მერაბიშვილისეული თარგმანით და რა სძენს განსაკუთრებულ ღირებულებას მის მიერ გაწეულ შრომას? ჩემი აზრით, ეს ყოველივე ემყარება, ერთი მხრივ, ინგლისური პოეტური ენის ოსტატურ დაუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ხანგრძლივ სამეცნიერო კვლევასა და ანალიზს, რაც აუცილებელი პირობა გახლავთ ტექსტის სწორი გაგებისა და ინტერპრეტაციისა.